# დღეს მუშაობას დაიწყებს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომა. იქნებ, ამჯერად მაინც გადავურჩეთ სკანდალურ სიურპრიზებს.

**დღეს**

## საქართველოს პრეზიდენტი სანკტ-პეტერბურგის საიუბილეო ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას




30 მაისს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე სანკტ-პეტერბურგს გაემგზავრა. ორი დღის განმავლობაში იგი მონაწილეობას მიიღებს ქალაქის დაარსების 300 წლისთავისადმი მიძღვნილ ყველა უმაღლესი დონის საზეიმო ღონისძიებაში.

საზეიმო პროგრამის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტი სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორს გადასცემს დიდი რეჟისორის გიორგი ტოვსტონოგოვის ძეგლის მაკეტს, რომლის ავტორები არიან მოქანდაკე გია ჯაფარიძე და მხატვარი მურაზ მურვანიძე. თავად ძეგლი სანკტ-პეტერბურგში მოგვიანებით დაიდგმება მადლიერების ნიშნად იმ წვლილისათვის, რომელიც მიუძღვის გიორგი ტოვსტონოგოვს როგორც რუსული, ისე ქართული კულტურის განვითარებაში.

30 მაისს სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილია, აგრეთვე, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების სახელმწიფოს მეთაურთა ორსაათიანი შეკრება, რომლის შედეგების შესახებაც სახელმწიფოთა მეთაურები პრესასთან ერთობლივი შეხვედრის დროს გააკეთებენ განცხადებას.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი პირისპირ შეხვდება სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს რობერტ ქოჩარიანს.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

**ხვალ დიდოსტატის მშობელ კუთხეში დიდი ზეიმია**

## მეველაბაშელნო, არ გაჯობონ მსოფლიოს უდიდეს მდინარეთა პირად დაბადებულთა!

ხვალ კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმი გაიმართება მწერლის მშობლიურ სოფელ ძველაბაშაში.

— ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის დაბადების დღის ღირსეულად აღნიშვნისათვის ადრევე დავიჭირეთ თადარიგი, — გვეუბნება აბაშის რაიონის გამგებელი სოსო ჭანტურია. — შევქმენით სპეციალური საიუბილეო კომისია, განაწილდა სამუშაოები. რაიონს გვერდში დაუდგა ბატონი ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც 30 ათასი ლარი თავისი ფონდიდან გამოგვიყო.

რა თქმა უნდა, ამისათვის მთელი რაიონის მოსახლეობის სახელით უღრმეს მადლობას მოვახსენებ ჩვენს პრეზიდენტს.

სამუშაო საკმაოდ იყო.

იხ. მე-2 გვ.




„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

„საქართველოს რესპუბლიკა“ ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.


შპს „საქართველოს რკინიგზა“ The Georgian Railway Ltd

# საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №139 (4518) პარასკევი, 30 მაისი, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.


**გვეხმაურებიან**

## როდის იყო გულწრფელი?

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 11 მაისს გამოქვეყნდა წერილი „გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა“... ამ წერილმა დამაფიქრა და წარსული დღეები აღადგინა ჩემს მეხსიერებაში. კერძოდ, გამახსენდა მოქალაქეთა კავშირის პირველი ყრილობა და საარჩევნო კომისიის წევრად ჩემი არჩევა. ერთხელ, გვიან ღამით მირეკავენ შინ და მთხოვენ სასწრაფოდ გამოვცხადდე კინოს სახლში. ნახევარ საათში კინოს სახლში მივედი. დარბაზი გაივსო. ძალიან მაინტერესებდა ჩვენი შეკრების მიზანი. ჩაბნელებულ თბილისში ხალხის დაძახება სარისკოც იყო. გამოდის ზურაბ ჟვანია და გვამცნობს: „ბატონებო! ედუარდ შევარდნაძის სიცოცხლე საფრთხეშია, მზადდება ტერაქტი მის წინააღმდეგ!“

იხ. მე-2 გვ.

**სკოლასთან დამშვიდობება**

## ბოლო ზარი

გუშინ საქართველოს სკოლებში მეთერთმეტეკლასელებისთვის ბოლო ზარი დაირეკა, დაირეკა ის დედაქალაქის 51-ე სკოლაშიც...

სუფევდა საზეიმო განწყობილება... სკოლის დირექტორმა ინეზა იამანიძემ გზის დალოცვასთან ერთად სკოლადამთავრებულებს მოვალეობაც შეახსენა ქვეყნისა და ერის წინაშე.

... დედაქალაქის ქუჩებში მოსეირნე სკოლადამთავრებულები ამბობდნენ: „მშვიდობით, სკოლავ“!

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.



**შევეწიოთ**

## სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა



**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

| | |
|---|---|
| ინდსაწარმო „ხვიჩა სირაძე“ | – 150 ლარი; |
| შპს „დამოუკიდებელი რეესტცენტრი“ | – 5 ლარი; |
| ლუდმილა გეგეჭკორი | – 100 ლარი; |
| თინათინ როსტიაშვილი | – 5 ლარი; |
| მაია სანებლიძე | – 10 ლარი; |
| ირინა მუმლაძე | – 5 ლარი; |
| სკბ „რიონი“ | – 20 ლარი; |
| შპს „ძმები“ | – 50 ლარი; |
| აკა, სოფო, მარიამ მიქელაშვილები | – 15 ლარი; |
| ვიქტორ ბაკაშვილი | – 100 ლარი; |
| მარინა ჯაფიაშვილი | – 20 ლარი; |
| მიხეილ ბარბაქაძე | – 20 ლარი; |
| მამუკა ნოზაძე | – 30 ლარი; |
| დავით ბოლოთაური | – 10 ლარი; |
| ყულაბებიდან | – 1706 ლარი და 634 აშშ დოლარი. |

**მილოცვა**

## საქართველოს გენერალურ პროკურორს ნუგზარ გაბრიჩიძეს

ბატონო ნუგზარ!

პირადად თქვენ და საქართველოს პროკურატურის მთელ კოლექტივს გულითადად გილოცავთ პროკურატურის მუშაკთა დღეს.

ამჟამად, როდესაც ჩვენი სახელმწიფოს მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ეტაპი მიმდინარეობს, პროკურატურისა და მისი თითოეული თანამშრომლის როლი ფასდაუდებელია კორუფციისა და სხვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში. დარწმუნებული ვარ, ამ ბრძოლაში ჩვენ გავიმარჯვებთ, რაზეც დიდად არის დამოკიდებული საქართველოს მომავალი.

მჯერა, საქართველოს პროკურატურა ბოლომდე დარჩება ერთგული იმ ტრადიციებისა, რომლებიც დამკვიდრდა უწყებაში — მაღალი პროფესიონალიზმი, ქვეყნისა და ხალხის ერთგულება და პირნათლად მოიხდის ვალს სამშობლოს წინაშე.

პროკურატურის ყველა თანამშრომელს ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვენი სახელმწიფოს სამსახურში.

ედუარდ შევარდნაძე.

**ჩვენს ამქარში**

## ფრთები, ფრთები გვინდა...

სადღეისოდ, აშკარაა, რომ ქვეყნის განვითარების ახალ ფაზაში ფორმაციათა ცვლის შუალედური, გარდამავალი პერიოდი მძიმე გამოდგა და დიდხანს გაგრძელდა. როგორც ამბობენ, არსებული პრობლემების უზრუნველსაყოფად მთავარი მისია ეკონომიკურად უკვე ჩამოყალიბებულმა მდიდარმა გენმა უნდა იტვირთოს, შეასრულოს... მეცენატობამ და ქველმოქმედებამ თანადგომითა და ფინანსური მხარდაჭერით ქვეყნის გაძლიერებასა და განმტკიცებას ხელი შეუწყოს...

სამწუხაროა, როცა ამჟამად სხვა სატკივართან ერთად განსაკუთრებული სერიოზულობით კულტურის პრიორიტეტულობის საკითხი დაისმის და ხშირად ისმის თითქოს, ტრაფარეტულ და მობეზრებულ ლოზუნგად აღთქმული გამონათქვამი — „გადავარჩინოთ კულტურა და კულტურა გადაარჩენს საქართველოს“.

სწორედ იმ ჟურნალისტებს და იმ მეცენატებს, რომლებიც განსაკუთრებით ზრუნავენ ქართული კულტურის წინაშე მდგარი არაერთი მწვავე პრობლემის გამოკვეთისთვის, გადაწყვეტისთვის, თვალსაჩინო, ეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების ღირსშესანიშნავად წარმოჩენისთვის, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ და ჟურნალ-გაზეთების რედაქციების გაერთიანებულმა პროფკავშირმა, ჟურნალისტთა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის საერთაშორისო ფონდმა და თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურმა პირველად დააწესეს არაორდინარული ჯილდო — „ოქროს ფრთა“ — მარადიულად მახვილი კალმისა და შემოქმედებითი აღმაფრენის სიმბოლოდ.

იხ. მე-2 გვ.

**პროფესიული დღესასწაული**

## ყველა საქმე ლოგიკურ დასასრულამდე მივა

**ნომრის სტუმარია საქართველოს გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე**

იხ. მე-3 გვ.

**წარდგენა**

## ქართულ ტელეცაზე „მზე“ ამოდის

1 ივნისიდან კიდევ ერთი ახალი ტელეკომპანია — „მზე“ გავა ეთერში. იგი კოსტავას ქუჩაზე, ლამაზ კაპიტალურ შენობაშია განთავსებული და თანამედროვე ტელეაპარატურით არის აღჭურვილი.

ეს-ესაა ტელეკომპანიაში პრესკონფერენცია მოეწყო.

„მზე“ 2003 წლის მარტში დაარსდა. მაუწყებლობის არეალს პირველ ეტაპზე მხოლოდ თბილისი წარმოადგენს. როგორც ტელეკომპანიის გენერალურმა დირექტორმა კახა ბექაურმა აღნიშნა, ტელეკომპანიის მისწრაფებაა, იყოს არა მხოლოდ ინფორმაციის პასიური გადამცემი, არამედ რეალური წვლილი შეიტანოს საზოგადოების ყოფის გაუმჯობესებასა და განვითარებაში.

იხ. მე-8 გვ.

**ინფორმაცია**

### გაფორმდა 15-მილიონიანი საკრედიტო ხელშეკრულება

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა საქართველოში ტევფიკ იაპრაკმა საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის მეორე პროექტის ფარგლებში გუშინ 15-მილიონიანი საკრედიტო ხელშეკრულება გააფორმეს.

აღნიშნული პროექტი მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭომ მიმდინარე წლის 15 მაისს დაამტკიცა. იგი სამი კომპონენტისგან შედგება: თემების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა; ინფრასტრუქტურათა რეაბილიტაციის მიკროპროექტები; საქართველოს სოციალური ინვესტიციური ფონდის ინსტიტუციონალური მხარდაჭერა.

კრედიტი 40 წლით გამოიყოფა, მათგან 10 შეღავათიანი პერიოდი იქნება. მომსახურების საფასური 0,75 პროცენტია.

### დაიწყო რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება

გუშინ მოსკოვში დაიწყო რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება სოჭი-თბილისის სარკინიგზო მიმოსვლის განახლების შესახებ. როგორც ცნობილია, სოჭში რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ სოჭი-თბილისის სარკინიგზო მიმოსვლა განახლდეს გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნების სინქრონულად, აგრეთვე ენგურჰესის ერთობლივი რეაბილიტაციის, და იმის შესახებ, რომ მან ელექტროენერგია რუსეთის სამხრეთისთვისაც გამოიმუშაოს.

### აშშ მზად არის

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია მზად არის გამოყოს სახსრები ამერიკის შეერთებული შტატებისა და სუამის სახელმწიფოთაშორისი გაერთიანების წევრი ქვეყნების სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის საინფორმაციო გაცვლის „ვირტუალური ცენტრის“ შექმნის მოსამზადებელ სამუშაოთა დაფინანსებისათვის.

ამ და მთელი რიგი სხვა ერთობლივი პროგრამების რეალიზაციის თაობაზე დოკუმენტებს ხელმოსაწერად წარუდგენენ სუამის სახელმწიფოთა პრეზიდენტებს მომავალი სამიტის დროს, რომელიც 3-4 ივლისს უკრაინაში, იალტაში გაიმართება.

### მშვიდობისმყოფელთა საერთაშორისო დღე

გუშინ პირველად მსოფლიოში გაეროს ეგიდით მშვიდობისმყოფელთა საერთამორსიო დღე აღინიშნა. ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის ოფისში გაიმართა.

საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის ოფისში მიღებული ინფორმაციით, გაეროს სამშვიდობოთა რიცხვი დღეისათვის 37 ათასს შეადგენს და ისინი მსოფლიოს სამ კონტინენტზე, 14 ქვეყნის კონფლიქტურ ზონაში არიან განლაგებულნი.

მშვიდობისმყოფელთა საერთაშორისო ოპერაციებში 89 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ. გაეროს ეგიდით პირველი სამშვიდობო მისია 1948 წლის 29 მაისს პალესტინაში გაიგზავნა. იმ დღიდან მოყოლებული დღემდე, მსოფლიოს სხვადასხვა კონფლიქტურ ზონაში სამშვიდობო ოპერაციებში 1800 „ცისფერჩაფხუტიანი“ დაიღუპა.

### ბატალიონი დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდა

საჩხერის სამთომსროლელთა მე-16 ბატალიონი, რომელიც ნატოს „წვრთნისა და აღჭურვის“ სამთვიან პროგრამაში მონაწილეობდა, დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდა. ხელმძღვანელ პირთა შეფასებით, ბატალიონი ნატოს სტანდარტების დონეზეა გაწვრთნილი და მისი ნაწილი, შესაძლოა, ერაყში საწყობების დასაცავად გააგზავნონ.

ბატალიონის წარმატების გათვალისწინებით, აღნიშნულ პროგრამაში, შესაძლოა, საქართველოს სხვა რაიონების ბატალიონებიც ჩაერთონ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: ინტერ-პრესმა, საქინფორმმა.

**სამყარო**

## მზის რგოლისებური დაბნელება

31 მაისს მოხდება მზის რგოლისებური დაბნელება. ამ დღეს მთვარის დისკო მზის დისკოსთან შედარებით უფრო მცირე ზომისა იქნება. ამის გამო დაუბნელებელი დარჩება მზის დისკოს გარეთა ნაწილი, რომელიც ნათელი რგოლის სახით ირგვლივ შემოევლება მთვარის ბნელ დისკოს.

საქართველოს ტერიტორიიდან, სამწუხაროდ, მზის რგოლისებურ დაბნელებას ვერ დავინახავთ, ჩვენთან ეს მოვლენა გამოჩნდება მზის ნაწილობრივ დაბნელების სახით. დაბნელდება მზის დისკოს მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი.

აბასთუმანში მზის დაბნელება დაიწყება დილის 7 საათსა და 02 წუთზე. თბილისის დროით დაბნელების მაქსიმალური ფაზა დადგება 7 საათსა და 58 წუთზე.



საქართველოს სხვა დასახლებული პუნქტებისათვის ეს მომენტები მხოლოდ რამდენიმე წუთით იქნება ერთმანეთისაგან განსხვავებული.

ვიქტორ ჯაფიაშვილი, პროფესორი.

**უკანასკნელ საათს**

ერაყში „ჩერნობილი“ იწყება: ათასზე მეტი ერაყელი შეიძლება ლეიკემიით დაიღუპოს. ადამიანები რამდენიმე კვირის მანძილზე რძესა და წყალს სვამდნენ ატომური საწარმოებიდან მოპარული ჭურჭლეულით, რომლებსაც ადრე ურანის საშიში შენაერთის შესანახავად იყენებდნენ. დასნებოვნებულია მთელი სოფლები, წყლის რეზერვი, ტბები, მინდვრები და პირუტყვი.



ორგანიზაცია „ჰამასი“ მზად არის, დაიწყოს მოლაპარაკება სხვა პალესტინურ ორგანიზაციებთან ისრაელში ტერაქტების შეწყვეტის თაობაზე. იგი ამ დიალოგს განიხილავს, როგორც „ეროვნულად აუცილებელს იმ რთულსა და პასუხსაგებ პერიოდში, რომელიც ამჟამად უდგას პალესტინელ ხალხს“.



**ამინდი დღეს**

**დასავლეთ საქართველოში** ქარი 8-13 მ/წმ.
დაბლობში ღამით +15⁰, დღისით +24⁰, მთაში ღამით +11⁰, დღისით +21⁰, მაღალ მთაში ღამით +8⁰, დღისით +15⁰.

**აღმოსავლეთ საქართველოში** ქარი 8-13 მ/წმ.
ბარში ღამით +15⁰, დღისით +24⁰, მთაში ღამით +10⁰, დღისით +20⁰. მაღალ მთაში ღამით +6⁰, დღისით +14⁰.

**თბილისში**
ღამით +15⁰, დღისით +24⁰.

**ლარის კურსი**

**28 მაისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.5195 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1450 ლარი |
| ევრო | 1 | 2.5489 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0698 ლარი. |

**გვირეკავენ, გვეკითხებიან**

— ვარ ომის I ჯგუფის ინვალიდი, უსინათლო, მარტოხელა; ვიღებ პენსიას 45 ლარს.

მეკუთვნის თუ არა სოციალური დახმარება 22 ლარის ოდენობით?

ვასო იობაძე, ვანის რაიონი.

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სოციალური დახმარება ენიშნებათ უმწეო მდგომარეობაში მყოფ მარტოხელა არამომუშავე პენსიონერთა ოჯახებს, რომლებიც პენსიას იღებენ თვეში 14 ლარის ოდენობით და არ ჰყავთ კანონით ვალდებული მარჩენალი ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

ვინაიდან თქვენ პენსიას იღებთ გაზრდილი ოდენობით (45 ლარი), სოციალური დახმარების დანიშვნის უფლებას ვერ იპოვებთ.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

**ინტერპანორამა**

პენტაგონმა შეიმუშავა ირანზე სამხედრო დარტყმის გეგმა. თუ ირანი უარს იტყვის აშშ-სთან თანამშრომლობაზე, თეთრი სახლი განიხილავს „სხვა შესაძლებლობებს“, ირანში ანტიტერორისტული ოპერაციების ჩატარების ჩათვლით.




ლუკაშენკომ თავისი ქვეყნის კომპანიების, კავშირებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს აუკრძალა, რომ იწოდებოდნენ პრეზიდენტებად. ამიერიდან პრეზიდენტად უნდა იწოდებოდეს მხოლოდ იგი. ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ლუკაშენკოს ინიციატივა უგანდის დიქტატორის საქციელის გამეორებაა.



ოთხ ჩინელს 10-წლიანი პატიმრობა მიესაჯა ინტერნეტში „ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის“. სასამართლომ ისინი დაადანაშაულა ელექტრონული ფოსტით მთავრობის საწინააღმდეგო სტატიების გაგზავნაში, ერთ-ერთი სტატიის სათაური იყო „ჩინეთის ყალბი დემოკრატია“.



„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

პრეზიდენტი

# „ჯოინთი“: „ედუარდ შევარდნაძე ებრაელი ხალხის ისტორიაში დარჩება“



**„თქვენ ებრაელი ხალხისათვის იქცევით ლეგენდად, რომელიც განასახიერებს ღია, ღრმად მოაზროვნე და დემოკრატიული სულისკვეთებით გამსჭვალულ ადამიანს“, – ასე გამოხატა თავის თანამემამულეთა დამოკიდებულება საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისადმი იონ გოლდეშტეინმა, რომელიც ამერიკულ-ებრაული გაერთიანებული კომიტეტის „ჯოინთის“ სამეთვალყურეო საბჭოს დელეგაციას ხელმძღვანელობს.** „ჯოინთის“ წარმომადგენლები სულ ერთი დღეა, რაც საქართველოში იმყოფებიან, მაგრამ, როგორც საქართველოს პრეზიდენტთან 29 მაისს გამართულ შეხვედრაზე განაცხადეს, უკვე აღფრთოვანებული არიან როგორც ქვეყნის სილამაზით, ისე მისი ხალხის გულგახსნილობითა და სტუმართმოყვარეობით.

„ამ ქვეყანაში ისეთი განცდა გეუფლება, რომ აქ ადამიანთა შორის ურთიერთგაგების სასიამოვნო ექსპერიმენტი მიმდინარეობს. თუნდაც მხოლოდ ჩვენი ერების 26-საუკუნოვანი თანაცხოვრება ადასტურებს, რამდენად ღიაა ეს ხალხი და ქვეყანა სხვა ერებისათვის“, – განაცხადა იონ გოლდეშტეინმა და აღნიშნა, რომ, წასვლის თავისუფალი შესაძლებლობის მიუხედავად, ბევრი ებრაელი შეგნებულად დარჩა საქართველოში და, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, სრულფასოვნად მონაწილეობს ამ ქვეყნის ცხოვრებაში.

საქართველოს პრეზიდენტმა გაიხსენა ის პერიოდი, როდესაც ებრაელებს შესაძლებლობა მიეცათ გამგზავრებულიყვნენ და დამკვიდრებულიყვნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში. „გული დაგვწყდა, რომ ჩვენი ებრაელი ძმები და დები წავიდნენ საქართველოდან, მაგრამ ყველანაირად შევუწყვეთ ხელი ამ პროცესს, რადგან ეს იყო ისტორიული სამართლიანობა“, – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ და აღნიშნა, რომ ისრაელში ყოფნისას იგი ყოველთვის ხვდება ყოფილ თანამემამულეებს და ეს უდიდეს ბედნიერებას ანიჭებს მას. „ვამაყობთ, რომ 26 საუკუნის მანძილზე ჩვენ შორის არანაირი კონფლიქტი არ ყოფილა, და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მომავალი თაობები კიდევ უფრო მეტად დააფასებენ ამ მონაპოვარს“, – განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა.

სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს საქართველოს პრეზიდენტს შეხვედრისათვის, საქართველოში მცხოვრებ ებრაელებზე ზრუნვისათვის და, განსაკუთრებით, იმ ფასდაუდებელი წვლილისათვის, რომელიც მას სამშობლოში ებრაელთა დაბრუნების საქმეში მიუძღვის. „თქვენ თითქმის შიშველი ხელებით, პრაქტიკულად მარტომ მიაღწიეთ მილიონ-ნახევარი ებრაელის დაბრუნებას ისრაელში და ამიტომაც დაიმკვიდრეთ ადგილი ჩვენი ერის ისტორიაში, როგორც ებრაელთა განმათავისუფლებელმა და მეგობარმა. თქვენ დღესაც ძველებურად გაბედულად მოღვაწეობთ, ამიტომაც მთელი მსოფლიოს პოლიტიკური ლიდერები აღფრთოვანებული არიან თქვენით“, – განაცხადა დელეგაციის ხელმძღვანელმა და მთელი ებრაელი ხალხის სახელით მომავალი დიდი წარმატებები უსურვა საქართველოს პრეზიდენტს.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.**

# „ამ არაჩვეულებრივი ქვეყნის შესახებ რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა უნდა იცოდეს“



**29 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გერმანიის ტელერადიოკორპორაციის გენერალური დირექტორი ერიკ ბეტერმანი და „ბეთჰოვენის ფესტივალის“ გენერალური დირექტორი ფრანც ვილნაუერი, რომლებიც ფესტივალის მზადებასთან დაკავშირებით ეწვივნენ საქართველოს.**

„ბეთჰოვენის ფესტივალი“ საქართველოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტთა პატრონაჟით იმართება. როგორც სტუმრებმა განაცხადეს, დიდი სურვილი აქვთ, რომ სექტემბერში ფესტივალს თავად საქართველოს პრეზიდენტი დაესწროს. „თქვენი სახელი ცნობილი და ავტორიტეტულია ჩვენს ქვეყანაში. თქვენ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეთ გერმანიის გაერთიანებაში. მეტიც, თქვენ გარეშე ეს შეუძლებელი იქნებოდა“, – მიმართა ერიკ ბეტერმანმა საქართველოს პრეზიდენტს და აღნიშნა, რომ „დოიჩე ველე“ ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარებაში. „ჩვენი მაუწყებლობა მსოფლიოს 31 ქვეყანაში ვრცელდება. გვინდა, ამ არაჩვეულებრივი ქვეყნის შესახებ რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა იცოდეს“, – განაცხადა „დოიჩე ველეს“ გენერალურმა დირექტორმა და აღნიშნა, რომ ფესტივალის დღეებში ამის განსაკუთრებით კარგი შესაძლებლობა შეიქმნება.

ფესტივალის გენერალურმა დირექტორმა ფრანც ვილნაუერმა მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს ფესტივალისადმი განსაკუთრებული ყურადღებისათვის და ოფიციალურად მიიწვია ბონში. „ეს იქნება არა მარტო ხელოვანთა შეხვედრა, არამედ კულტურათა დაახლოებისა და გამოცდილების გაზიარების მშვენიერი შესაძლებლობა. ერთი კვირის განმავლობაში ბონში თავს მოიყრის მთელი მსოფლიოს კულტურული სამყარო“, – განაცხადა ფრანც ვილნაუერმა და აღნიშნა, რომ ფესტივალზე აჟღერდება საუკეთესო ქართული მუსიკაც. მისი განცხადებით, ფესტივალისათვის ნამდვილი შენაძენი არიან ქართველი შემსრულებლები, რომელთა შერჩევაც ახლა მიმდინარეობს თბილისის კონსერვატორიაში.

ქართული მხარის სახელით, სტუმრებს მადლობა გადაუხადა კონსერვატორიის რექტორმა მანანა დოიჯაშვილმა. მისი განცხადებით, ეს ფესტივალი უდიდეს შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდა მუსიკოსებს და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი მათთვის ამ ასპარეზის მიცემაში საქართველოს პრეზიდენტის დამსახურებას. „თუ დღეს საქართველოში მუსიკალურ ხელოვნებას ვინმე პატრონობს, ეს არის ედუარდ შევარდნაძე“, – განაცხადა კონსერვატორიის რექტორმა.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.**

გვილოცავენ

# მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

**პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,**

**პოლონელი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით გადმოგცემთ, თქვენო აღმატებულებავ, გულითად მოლოცვას საქართველოს ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით, განსაკუთრებით გისურვებთ წარმატებებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ძნელ პროცესში, აგრეთვე ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოებისათვის სწრაფვაში.**

**თქვენი ინიციატივები, რომლებიც მიმართულია სტაბილურობისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის როგორც საქართველოს, ისე სამხრეთ კავკასიის მთელი რეგიონის საკეთილდღეოდ, აგრეთვე საერთაშორისო ასპარეზზე თქვენი მონაწილეობა და აქტიურობა და ურყევი სწრაფვა საბოლოოდ დაუმკვიდროთ საქართველოს სტრატეგიული მიზნები და ადგილი მსოფლიო სისტემაში, გულწრფელ აღიარებას იმსახურებენ.**

**გარწმუნებთ, რომ პოლონეთი განუხრელადაა დაინტერესებული საქართველოსთან თანამშრომლობის განვითარებით. გისურვებთ, რომ პოლონეთ-საქართველოს ტრადიციულად კეთილი ურთიერთობა, რომელსაც ახასიათებს ურთიერთგაგება, კვლავინდებურად განვითარდეს და განმტკიცდეს.**

**რწმენას გამოვთქვამ, რომ ჩვენს სახელმწიფოებს შორის დაწყებულ დიალოგს გავაგრძელებთ და განვავითარებთ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის საკეთილდღეოდ, აგრეთვე პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობის გასაღრმავებლად. ჩვენ აგრეთვე არანაკლებ ვართ დაინტერესებული მყარ ეკონომიკურ თანამშრომლობაში ორივე სახელმწიფოსა და ხალხების საკეთილდღეოდ.**

**საუკეთესო სურვილებითა და პატივისცემით,**

**ალექსანდრ კვაშნევსკი,**
**პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.**

გვეხმაურებიან

# როდის იყო გულწრფელი?

**პირველი გვერდიდან**

ასე ზრუნავდა ზურაბ ჟვანია ედუარდ შევარდნაძის სიცოცხლეზე. დღეს კი მისი ოპონენტია. ჩემთვის გაუგებარია, როდის იყო გულწრფელი, მაშინ თუ დღეს, როდესაც ოპოზიციონერი გახდა და რას არ კადრულობს.

ცამდე მართალია ბატონი სიდამონი, როცა თხოვნით მიმართავს ყველას, დავირაზმოთ პრეზიდენტის ირგვლივ. მართლაც, არ გვეგულება უფრო პატრიოტი, ავტორიტეტული, თანამედროვე გონიერი სახელმწიფო მოღვაწე, ვიდრე ბატონი ედუარდ შევარდნაძეა. მას ჩვენ აუცილებლად უნდა დავუდგეთ გვერდით!

**დავით კახიანი,**
**ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.**

# სამშობლოს ხსნა მხოლოდ სწორი არჩევანით შეიძლება

**გულწრფელად** ვეხმაურები 11 მაისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ ბატონ სიდამონ წერეთლის წერილს და მოკრძალებით ვთხოვ ყველა ჩემს თანამედროვე ახალგაზრდა ქართველს (ქალს თუ კაცს), დაუჭიროს მხარი.

ვფიქრობ, რომ ჩვენი ახალგაზრდების მთავარი ვალია, სამშობლოს ხსნა, რაც მხოლოდ ჭკვიანი მოქმედებითა და სწორი არჩევანით შეიძლება.

ღმერთი იყოს თქვენთან!

**ულრმესი მოკრძალებით,**
**გიორგი მჭედლიძე,**
**ქირურგი, ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრი.**

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 29 მაისი ქ. თბილისი

**ვალერიან იოსავას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში წესრიგისა და კანონიერების განმტკიცებაში, ადამიანთა უფლებების დაცვასა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში შეტანილი პირადი წვლილისათვის მარნეულის რაიონის პროკურორი **ვალერიან იოსავა** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

წოდების მინიჭება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 15 მაისი ქ. თბილისი

**გიორგი ნაჭყებიასათვის ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლის საკლასო ჩინის მინიჭების შესახებ**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, **გიორგი ნაჭყებიას,** საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციის უფროსს, ამავე ინსპექციის მთავარი საჯარო თანამდებობის რანგის მქონე სახელმწიფო მოხელეს, მიენიჭოს ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლის საკლასო ჩინი.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 19 მაისი ქ. თბილისი

**გ. ყურაშვილისათვის პოლიციის გენერალ-მაიორის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ**

მიენიჭოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს, პოლიციის პოლკოვნიკს **გიორგი ყურაშვილს** პოლიციის გენერალ-მაიორის სპეციალური წოდება.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 19 მაისი ქ. თბილისი

**პ. დავითაიასათვის იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის უმაღლესი სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ**

მიენიჭოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს, იუსტიციის უფროს მრჩეველს **პაატა დავითაიას** იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის უმაღლესი სპეციალური წოდება.

**ედუარდ შევარდნაძე.**

კადრები

**საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შაზა ჯოხაძე გათავისუფლდა ბორჯომის რაიონის გამგებლის თანამდებობიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლასთან დაკავშირებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 105-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.**

**საქინფორმი.**



### ქართული კომპანიების მიიღებენ მონაწილეობას

**ერაყის ომის შემდგომი რეკონსტრუქციის პრობლემებისადმი რამდენიმე დღის წინათ ლონდონში გამართულ სემინარზე განხილულ საკითხებს მიეძღვნა 29 მაისს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის გიორგი გაჩეჩილაძის ბრიფინგი.**

**– სემინარი ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტომ და შეერთებული სამეფოს მთავრობამ მოაწყვეს. მის მუშაობაში მონაწილეობა, როგორც ანტიერაყული კოალიციის წევრმა ქვეყანამ, საქართველოს დელეგაციამაც მიიღო, – განაცხადა გიორგი გაჩეჩილაძემ, – ფორუმის ძირითადი ამოცანა იყო რეკონსტრუქციის საკითხებზე ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის დადგენა და კოალიციის წევრი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს ამ პროცესში მონაწილეობის მიღების გზებისა და საშუალებების პრეზენტაცია.**

**გიორგი გაჩეჩილაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამინისტრო ყველა ღონეს იხმარს, რათა ქართულ კომპანიებს ერაყის რეაბილიტაციის პროცესში მონაწილეობის დროს მაქსიმალური ხელშეწყობის რეჟიმი შეექმნათ.**

**ამ საკითხებზე ქართული კომპანიების ინფორმირების მიზნით, 30 მაისს სამინისტროში გაიმართება პრეზენტაცია. მინისტრის განცხადებით სასურველია აღნიშნულ პროცესში მაქსიმალურად ჩაერთონ ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორებიცაა სამრეწველო-სავაჭრო პალატა, გადამზიდველთა კავშირი, ბიზნეს-კონფედერაცია და სხვები.**

### იწყება აღდგენითი სამუშაოები

**საქართველოს კულტურის სამინისტროში 29 მაისს გაიმართა ბრიფინგი, რომლის ძირითადი საკითხი ქართული კულტურის უნიკალური ძეგლი – ატენის სიონი იყო. ტაძრის ჩრდილოეთო საყრდენი კედელი იშლება, რომელიც მდინარე ტანას მხარეს მდებარეობს. ეს კი გამოიწვევს ტაძრის სტრუქტურულ რღვევას. დაზიანებულია ტაძრის სახურავი, ტაძარში ჩამოღვენთილმა წყალმა და მოუწესრიგებელმა სადრენაჟო სისტემამ გამოიწვია ფრესკების დაზიანებაც.**

**ატენის სიონის პრობლემა პირველი რიგის პრიორიტეტად მიიჩნიეს და კულტურის სამინისტრომ უკვე გამოყო 6000 ლარი. იგი მოხმარდება მოსამზადებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებს. საპროექტო სამუშაოები, სავარაუდოდ, თვენახევრის მანძილზე გაგრძელდება.**

### დასაქმებულებს სერტიფიკატები გადასცეს

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ გუშინ დასაქმების 2002 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაქმებულ 8 პირს სერტიფიკატები გადასცა.**

**აღნიშნული პირები შარშან ჯანდაცვის სამინისტროს შრომის, დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტისა და სოცდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ შემუშავებული იმ პროგრამის ფარგლებში დასაქმდნენ, რომელიც მცირე მეწარმეთა და რეგისტრირებულ უმუშევართა სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობას ითვალისწინებს.**

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, ინტერ-პრესმა.**

ჩვენს ამქარში

# ფრთები, ფრთები გვინდა...

**პირველი გვერდიდან**

გუშინ რჩეული და კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით (თავმჯდომარე – ნოდარ ტაბიძე) მოსწავლე-ახალგაზრდობის სარკეებიან დარბაზში საგანგებოდ გამართულ ცერემონიალზე პირველად დასახელდნენ და აღნიშნული სპეციალური პრიზით დაჯილდოვდნენ გამარჯვებული ლაურეატები, კარგად ნაცნობი სახეები და სახელები – ჟურნალისტები **ილია კევლიშვილი, ნანა ღვინეფაძე, კოკა ყანდიაშვილი, მანანა კარტოზია, იოსებ ჭუმბურიძე, ბიზნესმენ-მეცენატი მამუკა ხაზარაძე.**

– „ამ ჯილდოს დაფასებისა და ღირსების სიმბოლოდ აღვიქვამ, რისთვისაც საკმაოდ მადლიერად და ბედნიერად ვგრძნობ თავს ჩემი კოლეგებისა და მეგობრების გარემოცვაში, დიდი მადლობა ყველას“, – ჩვეული სიმშვიდითა და განცდილი სიხარულით ამბობს ჟურნალისტი კოკა ყანდიაშვილი.

– „ჩემს ჟურნალისტურ საქმიანობაში ეს პირველი და ერთადერთი ჯილდოა, რომელიც ჩემმა კოლეგებმა დაფასებისა და დამსახურებისათვის მიწილადეს, ამიტომაც ძალიან მადლიერი გახლავართ“, – აღნიშნავს ღვაწლმოსილი ჟურნალისტი ილია კევლიშვილი.

– „ჩემთვის ეს ჯილდო ძალიან ბევრს ნიშნავს, თუნდაც იმიტომ, რომ დღეს ჟურნალისტთა ამ უზარმაზარ არმიაში გამომარჩიეს და ერთ-ერთმა პირველთაგანმა მივიღე ეს ულამაზესი პრიზი სახელწოდებით „ოქროს ფრთა“, რომელიც უფრო შემასხამს ფრთებს და უფრო მეტ ძალას შემმატებს მომავალ მოღვაწეობაში“, – მადლიერია ღვაწლმოსილი და ელეგანტური ქალბატონი ნანა ღვინეფაძე, რომელიც განუმეორებელი ინტელექტუალური და მომხიბლავი აღნაგობით, უნივერსალურად ფაქიზი, პოეტური სულით ქმნის შეუდარებლად ულამაზეს და უმშვენიერეს, საამაყო ავტოპორტრეტს.

დაბოლოს, სიქველისა და კაცთმოყვარეობისათვის დაწესებული ჯილდო – „ოქროს ფრთა“ ყოველწლიური პრიზი იქნება ღირსეული მოღვაწეებისათვის.

**მზეხა მახარაძე.**



„ოქროს ფრთის“ ლაურეატები: მანანა კარტოზია, ეთერ ჯიმჯარიანი (ჟიურის წევრი), მამუკა ხაზარაძე, ნანა ღვინეფაძე, იოსებ ჭუმბურიძე, ილია კევლიშვილი.

**თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.**

ხვალ დიდოსტატის მშობელ კუთხეში დიდი ზეიმია

# მკვლაბაშელნო, არ გაჯობონ მსოფლიოს უდიდეს მდინარეთა პირად დაბადებულთა!

**პირველი გვერდიდან**

მთავარია, რომ განახლდა მწერლის სახლ-მუზეუმის ხის უძველესი ნაგებობა. შეიძლება ითქვას, რომ აშენდა, როგორც არქიტექტურულად, ისე ხარისხობრივად მაღალ დონეზე შესრულებული მუზეუმი, ოღონდ, ადრე არსებული სტილი, ცხადია, დავტოვეთ. ამ სამუშაოებს თავიდან ბოლომდე უძღვებოდნენ მხატვარი-მოქანდაკე შაქრო ტყავაცირია და მხატვარ-ხელოსანი ბონდო ტყავაცირია. სახლის გვერდით დაიდგა ჯარგვალი, ეზოში – ნალია... აგრეთვე ეზოში – მდინარე ზანას ნაპირზე – განახლდა და კეთილმოეწყო არსებული წყაროს წყალსადენი და მის ირგვლივ მდებარე ტერიტორია. ეზოში დაიდგა ბამბუკის დასასვენებელი ფარდული და მის ირგვლივ – კიდევ სამი პატარ-პატარა ბამბუკის ფარდული, თხმელის ახალი მესრებით შემოკავდა ეზო, განახლდა ძველი ჭიშკარი...

საუბარში ჩაერთო სოფელ ძველი აბაშის გამგებელი მურთაზ ჯალაღონია: – საიუბილეოდ მთელი სოფელი ემზადება, – ამბობს იგი, – უკვე შევაკეთეთ და მოვხრეშეთ სახლ-მუზეუმიდან გზატკეცილამდე არსებული სამკილომეტრიანი მონაკვეთი, რომელიც მიემართება სოფლის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის საშუალო სკოლისკენ და ძველი აბაშის თემის კადარის უბნის ეკლესიისაკენ.

საიუბილეოდ გავწმინდეთ და მოვაწესრიგეთ ადრე თავმინებებული და გაპარტახებული მაცხოვრის სახელობის ეკლესია, რომელიც უძველესი ხანის ძეგლია. ამჟამად აქ წირვა-ლოცვას პერიოდულად ატარებს ჭყონდიდის ეპარქიის სეფიეთის ეკლესიის მღვდელი მამა ანდრია.

განზრახული გვაქვს ამ ეკლესიის აღდგენითი სამუშაოების ჩატარებაც. ამ საქმეში დახმარება რაიონს აღუთქვა საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარემ აკაკი ჩხაიძემ, რომელმაც სამუშაოებზე დასაქმებულთა საცხოვრებლად უკვე გამოგვიგზავნა და უსასყიდლოდ გადმოგვცა მატარებლის ერთი სპეციალური ვაგონი, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით.

ჩაფიქრებულია, რომ შემდგომში ეს ეკლესია გადაკეთდეს მამათა მონასტრად...

ბატონი სოსო ჭანტურია უმატებს: – სახლ-მუზეუმის ეზოში განახლდა ელექტრომომარაგების მთელი სისტემა, დაიდგა ახალი ტრანსფორმატორი და შემდგომ უზრუნველყოფილი იქნება განუწყვეტელი ელექტრომომარაგება.

სამომავლოდ განზრახული გვაქვს სახლ-მუზეუმის ეზოში არსებული ამფითეატრის აღდგენა, ხოლო მისი მწყობრიდან გამოსული სცენის განახლება ამ დღეებში დასრულდება.

ვაპირებთ სახლ-მუზეუმის კომპლექსის სამუშაოების გაგრძელებას. ვფიქრობთ 15-ოდე წლის წინათ არქიტექტორ თამაზ თევზაძის პროექტით დაწყებული ნაგებობების მშენებლობის განახლებას, სადაც მოთავსდება კონსტანტინეს სახელობის მწერალთა შემოქმედების სახლი.

დასანანია, რომ სოფლის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის საშუალო სკოლის შენობა დანგრევის პირასაა მისული. ძველაბაშელები მოითხოვენ მის რეკონსტრუქციას და აქაც ქვეყნის ხელისუფლების დახმარების იმედი აქვთ.




**იოსებ გოგეჩია,**
**„სრ“ საკ. კორ.**
**აბაშა.**

რეაქცია

# დამნაშავე პირები დაისჯებიან

**სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის პროგრამა „60 წუთის“ 25 მაისის გამოშვებაში გაშუქებული იყო ზოგიერთი საბაჟო-გამტარი პუნქტის საქმიანობის ასპექტები. ამასთან დაკავშირებით, 29 მაისს საბაჟო დეპარტამენტის პრესსამსახურმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ვალეს საბაჟო-გამტარი პუნქტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი და რეგიონალური საბაჟო „დასავლეთის“ განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი საკუთარი განცხადების საფუძველზე განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან.**

რაც შეეხება ჟურნალისტური გამოძიებით დადასტურებულ ფაქტს, რომ საქართველო – აზერბაიჯანის საზღვარზე მდებარე საბაჟო-გამტარი პუნქტიდან „წითელი ხიდიდან“ ათიოდე მეტრის გვერდის ავლით ეგრეთ წოდებული „ნეიტრალური“ ტერიტორიიდან კონტრაბანდული ტვირთი მოძრაობს, ამის აღსაკვეთად სათანადო ზომებია მიღებული. კერძოდ, 12 მაისს, საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარედ დავით თარხან-მოურავის დანიშვნიდან რამდენიმე საათში, „წითელ ხიდთან“ დამატებით დამონტაჟდა რკინა-ბეტონის ბლოკები, აგრეთვე გადაითხარა შემოვლითი გზები, რამაც გარკვეული სიძნელეები შეუქმნა კონტრაბანდული ტვირთის მოძრაობას. თუმცა, ამასთან ერთად, განცხადებაში აღნიშნულია, რომ კონტრაბანდული ტვირთი აზერბაიჯანიდან მაინც აღწევს საზღვრისპირა სოფლებში, სადაც შესაბამის ზომებს ატარებს საგანგებო ლეგიონი.

ზემოთ აღნიშნული საკითხები განიხილეს ფინანსთა სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე, სადაც გადაწყდა, რომ დამნაშავე პირთა მიმართ აღიძრას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი.

**საქინფორმი.**

კანონმდებლები

# მოაწესრიგებს სამორინეებისა და სხვა თამაშობათა სფეროს

**„ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონპროექტი განიხილა 29 მაისს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა.**

როგორც სხდომაზე ითქვა, წარმოდგენილი კანონპროექტი, რომლის მიზანია ლატარიების, სამორინეების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების სფეროს მოწესრიგება, შექმნის ამ თამაშობების ორგანიზებისა და ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს.

კანონპროექტით განსაზღვრულია ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიან თამაშობათა სახეობებზე ნებართვის გაცემისა და მოწყობის წესები.

**სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლაშა ჟვანიამ განაცხადა, რომ კანონპროექტში შეტანილია ახალი დეფინიცია** – ეს არის ეროვნული ლატარია. კანონპროექტი ამასთანავე ითვალისწინებს კონკურსის საფუძველზე ეროვნული ლატარიის **ჩატარების უფლებათა გაცემას, ხოლო** ეროვნული ლატარიით მოგებული თანხები მიზნობრივად მოხმარდება უმნიშვნელოვანესი სოციალური პროგრამების – კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსებას.

კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა სიორიძემ განაცხადა, რომ კანონპროექტს, რომლის ინიციატორია ფინანსთა სამინისტრო, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გაიტანენ განსახილველად.

**საქინფორმი.**

## ადამიანი დროში

# ქართველ მენავთობეთა პატრიარქი

## 30 წელი საყვარელი საქმისა და ქვეყნის სამსახურში

**ამ ორი წლის წინათ ქართველ მენავთობეთა სახელოვანმა კოლექტივმა თავისი ნაცადი თავკაცის, ეროვნული ნავთობის მრეწველობის გამოჩენილი ორგანიზატორისა და მეცნიერის, პროფესორ რევაზ თევზაძის დაბადების 70 წლისთავი იზეიმა. ამჯერად კი ისინი ბატონ რევაზს უშუალოდ „საქნავთობში" მოღვაწეობის 30 წლისთავს ულოცავენ.**

რევაზ თევზაძე დაიბადა ქუთაისში. 1955 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ნავთობის ბურღვის სპეციალობით, რის შემდეგ განაწილებით დაიწყო მუშაობა სსრკ ფერადი მეტალურგიის მრეწველობის სამინისტროს კავკასიის ფერადი ლითონების საძიებო ტრესტის „ზაგლიკის" (აზერბაიჯანი) გეოლოგიურ-საძიებო პარტიაში, ჯერ ბურღვის უფროს ოსტატად, შემდეგ კი უფროს ინჟინრად.

1956-1958 წლებში რევაზ თევზაძე მუშაობდა ამიერკავკასიის გეოლოგიური სამმართველოს ფერადი ლითონების ტრესტ „ერწოს" გეოლოგიური პარტიის უფროს ინჟინრად, ხოლო მომდევნო წლებში — ტრესტ „საქნახშირმადნეულძიების" შაორის გეოლოგიური საძიებო პარტიის ბურღვის მთავარ ტექნოლოგად, შემდეგ მთავარ ინჟინრად და პარტიის უფროსად. 1963-1973 წლებში იგი ინიშნება ამავე ტრესტის ჯერ მადნეულის გეოლოგიური საძიებო პარტიის უფროსად, ხოლო შემდეგ საწარმოო გეოლოგიური სამმართველოს მეტალების კომპლექსური გეოლოგიური საძიებო ექსპედიციის უფროსად.

ამ პერიოდში გამომჟღავნდა ბატონ რევაზ თევზაძის, როგორც ხელმძღვანელისა და უმაღლესი რანგის სპეციალისტის, შესანიშნავი ადამიანის თვისებები. სწორედ სასარგებლო წიაღისეულის საბადოების წარმატებული ძიებისა და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების წარმოებაში [illegible] ვის უმაღლესი ჯილდო — სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ეს ჯილდო რევაზ თევზაძეს მიენიჭა 39 წლის ასაკში, პირველს და ერთადერთს ჩვენი ქვეყნის გეოლოგიურ-საძიებო დარგში.

დიდია ბატონ რევაზ თევზაძის დამსახურება საქართველოს მინერალური რესურსების გამოვლენისა და მისი ბაზის განმტკიცებაში, რასაც იგი ინსტიტუტის დამთავრებიდან პირველი 18 წელი ემსახურა. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა საქართველოს ისეთი ცნობილი სამრეწველო მნიშვნელობის საბადოების გახსნას, დაძიებასა და მარაგების დამტკიცებას, როგორიცაა შაორის ნახშირის, მადნეულის სპილენძის, იშვიათი და ნახევარმეტალების, კვაისის ტყვია-თუთიის, ერწოს ვერცხლის წყლის, აფხაზეთისა და რაჭა-ლეჩხუმის ფერადი და იშვიათი მეტალების საბადოები.

იგი ძირითადად იგზავნებოდა ქვეყნის იმ გეოლოგიურ საძიებო ობიექტებზე, სადაც ყველაზე მეტი გაჭირვება და ჩავარდნები იყო, როგორც საიმედო ხელმძღვანელი, რომელსაც შეეძლო ამ ობიექტების „ამოქაჩვა". ასე იყო შაორზე, მადნეულზე და საქართველოს მეტალების კომპლექსური ექსპედიციის საბადოებზე.

ამდენად, იგი ცნობილი გახდა, როგორც გეოლოგიური საძიებო ობიექტების „ავარიული" ხელმძღვანელი. ასეთ მდგომარეობაში დახვდა მას „საქნავთობიც", სადაც ის დაინიშნა ხელმძღვანელად 30 წლის წინათ — 42 წლის ასაკში.

კერძოდ, როგორი ვითარება იყო მაშინ ტრესტ „საქნავთობში" და მის გარშემო? ძალიან მძიმე.

„საქნავთობს", რომელიც შეიქმნა 1929 წელს, 1973 წლამდე შესრულებული ჰქონდა საკმაოდ დიდი მოცულობისა და ღირებულების გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მიღებული შედეგები კი ერთობ მოკრძალებულად გამოიყურებოდა. იმ პერიოდში სულ გამოვლენილი იყო რამდენიმე მცირე სიდიდის საბადო, საიდანაც მიღებულმა ნავთობმა 1,3 მილიონი ტონა ძლივს შეადგინა.

ნავთობის საბადოების მცირე დებიტები ბუნებრივია, ხელს არ აძლევდა არც რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელობას და არც ნავთობის საკავშირო სამინისტროს, რომლის უშუალო დაქვემდებარებაშიც იმყოფებოდა „საქნავთობი".

ფაქტობრივად საკითხი ასე იდგა: „საქნავთობის" ლიკვიდაცია და საქართველოში ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებითი სამუშაოების შეწყვეტა ან მისი საქმიანობის არსის [illegible] მკვეთრ ამაღლებას და ნავთობის მოპოვების ზრდას.

„საქნავთობში" შექმნილი ასეთი მძიმე ვითარების ფონზე რევაზ თევზაძის ტრესტის მმართველად დანიშვნა რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობის მხრიდან აშკარად პროგრესული ნაბიჯი იყო. მან „საქნავთობში" მუშაობის დაწყებიდან უმოკლეს დროში შეძლო გაცნობოდა კოლექტივში შექმნილ რეალურ ვითარებას, სწრაფად განეხორციელებინა ორგანიზაციული და საკადრო ცვლილებები, რამაც ძირეულად შეცვალა ტრესტში დამკვიდრებული არცთუ სახარბიელო სტილი. ამ ცვლილებათა შორის, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო ტრესტის საინჟინრო და განსაკუთრებით გეოლოგიური სამსახურის გაძლიერებისაკენ.

სისტემაში დაიწყო და სწრაფი ტემპით განხორციელდა დარგის რეფორმა. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა მიმართულებების მეცნიერულ შემუშავებას, საძიებო მოედნების გეოფიზიკური მეთოდებით კონდიციურ შესწავლას და ჭაბურღილების ბურღვის და ათვისების ტექნოლოგიური საკითხების დახვეწას. გაძლიერდა თანამშრომლობა და ურთიერთქმედება იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც ამ საკითხებზე მუშაობდნენ საქართველოში, აგრეთვე, საკავშირო სათაო სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო, საწარმოო და სხვა დაწესებულებებთან.

ბატონ რევაზ თევზაძის ამ მტკიცე და გაბედულ ქმედებებს უკვე 1974 წელს მოჰყვა იმდენად მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი წარმატებები, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბდა აზრი საქართველოს წიაღის ნავთობგაზიანობის მაღალპერსპექტიულობის შესახებ. სწორედ ეს წელი იქცა გარდატეხის წლად ქვეყანაში ნავთობისა და გაზის მრეწველობის აღორძინებისა და სწრაფი ტემპებით განვითარების გზაზე. ამავე წელს გაიხსნა თბილისისპირა რაიონში საქართველოში უდიდესი სამგორი-პატარძეულის ნავთობის საბადო, ხოლო დასავლეთ საქართველოში მიიღეს ნავთობის პირველი მნიშვნელოვანი შადრევანი — შრომისუბანი-წყალწმინდის ახალ საძიებო უბანზე.



ამ პერიოდში ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა რევაზ თევზაძის დიდი ორგანიზატორული ნიჭი, მასშტაბური გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების უნარი და ენერგია. მისი პირადი ინიციატივით, დარგის საკავშირო და რესპუბლიკური ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით, უმოკლეს დროში მოხდა უზარმაზარი ფი- [illegible] საძიებო სამუშაოები ფართოდ გაიშალა მთელი საქართველოს მასშტაბით, რასაც შედეგად მოჰყვა შემდგომი დიდი წარმატებები. თბილისისპირა რაიონში გაიხსნა კიდევ რამდენიმე მაღალდებიტიანი საბადო: თელეთი, სამგორის სამხრეთი თაღი, რუსთავი, დასავლეთ რუსთავი. ამასთან, საქართველოს სხვა რეგიონებშიც გამოვლინდა შედარებით მცირე ზომის ნავთობის საბადოები.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო ქვეყანაში ნავთობის მოპოვების სწრაფი ტემპებით ზრდას. 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ყოველწლიურად უკვე მოიპოვებოდა 3-3,3 მილიონი ტონა ნავთობი. მრავლისმეტყველია ასეთი ფაქტი: 1930 წლიდან 1973 წლამდე (ე. ი. 43 წლის მანძილზე) მოპოვებამ შეადგინა სულ 1,3 მლნ ტონა ნავთობი, ბატონ რევაზ თევზაძის „საქნავთობში" მოღვაწეობის პერიოდში კი, ანუ 1973 წლიდან დღემდე, ქვეყნის წიაღიდან ამოღებულია 26 მლნ ტონა ნავთობი და 400 მლნ $მ^3$-მდე გაზი, რაც მთლიანად მოხმარდა საქართველოს მეურნეობის განვითარებას და მოსახლეობას.

დროის ამ მონაკვეთში ინტენსიურად ვითარდებოდა დარგის არა მარტო სამეურნეო და საწარმოოტექნიკური ინფრასტრუქტურა, არამედ მნიშვნელოვნად უმჯობესდებოდა მენავთობეთა სოციალურ-ეკონომიკური პირობებიც. აშენდა ათეულობით საცხოვრებელი ბინა, როგორც დედაქალაქში, ისე, ცალკეულ რაიონებში, დასასვენებელი სახლები — კიკეთში და გრიგოლეთში.

აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტს, როცა 1977 წელს რევაზ თევზაძის ხელმძღვანელობით და საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელის ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით განხორციელდა სამგორი-ბათუმის 530 მმიანი 440 კმ ნავთობსადენის მშენებლობა, რომლითაც აღმოსავლეთ საქართველოში მოპოვებული 26 მილიონ ტონაზე მეტი ნავთობი მრავალი წლის მანძილზე მიეწოდებოდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას. ვფიქრობთ, ამან თავისი დადებითი როლი შეასრულა იმ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, რომელთა საფუძველზეც ჯერ ამოქმედდა ბაქო-სუფსის ნავთობსადენი, ხოლო ახლა მას ემატება მსოფლიო მნიშვნელობის ნავთობისა და გაზსადენები.

ცხადია, ყველა ამ წარმატების მიღწევაში რევაზ თევზაძესთან ერთად უდიდესი წვლილი მიუძღვით „საქნავთობის" წამყვან სპეციალისტებს, მთელ კოლექტივს, რომელთა შრომამ მისი ხელმძღვანელობით ხელშესახები შედეგები გამოიღო. დიდმა ორგანიზატორულმა ნიჭმა, პროფესიონალიზმმა, შესაშურმა ალღომ ბატონ რევაზს საშუალება მისცა „საქნავთობი" ჩამოეყალიბებინა ერთ, მონოლითურად შეკრულ გუნდად, წამყვან თანამდებობებზე დაეწინაურებინა საქმის ცოდნით აღჭურვილი, პრაქტიკული გამოცდილების მქონე ახალგაზრდა ინიციატივიანი სპეციალისტები. [illegible] მიანი პრინციპი დღესაც მოქმედებაშია. ამის ნათელი დასტურია „საქნავთობის" ხელმძღვანელობის ახლანდელი შემადგენლობა, რომელშიც ოპტიმალურად არიან წარმოდგენილი როგორც უფროსი, ისე მომდევნო თაობების მაღალპროფესიონალი სპეციალისტები.

ბატონ რევაზს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს მეცნიერებისადმი, მეცნიერული კადრების აღზრდისადმი, ყოველგვარი მეცნიერული და ტექნოლოგიური სიახლეების საწარმოო პრაქტიკაში დანერგვისადმი. გარდა იმისა, რომ იგი მრავალი წლის განმავლობაში, როგორც პროფესორი, ნაყოფიერად მოღვაწეობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და ქვეყანას უზრდის მაღალი კვალიფიკაციის მბურღავ ინჟინრებს, ამასთან, განუხრელად უწყობს ხელს ორგანიზაციულად, მატერიალურად და მორალურად ყველა იმ სამეცნიერო დაწესებულებას, რომლებიც ურთიერთობაში არიან ქვეყნის ნავთობისა და გაზის მრეწველობასთან. ამის დასტურია „საქნავთობის" სისტემაში მომუშავე ნავთობისა და გაზის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო დაწესებულება, სადაც ნაყოფიერად მოღვაწეობს 100-მდე მაღალკვალიფიციური მეცნიერი და ინჟინერი. და ეს მაშინ, როცა ფინანსური და მატერიალური სირთულეების გამო საქართველოში საქმიანობა შეწყვიტა სახელოვანი ტრადიციების მქონე მრავალმა აკადემიურმა თუ დარგობრივმა სამეცნიერო დაწესებულებამ.

იხ. მე-5 გვ.

## პროფესიული დღესასწაული

# ყველა საქმე ლოგიკურ დასასრულამდე მივა

## ნომრის სტუმარია საქართველოს გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე

— უპირველესად პროკურატურის ყველა მუშაკს ვულოცავ პროფესიულ დღესასწაულს. თითოეულ თანამშრომელს ვუსურვებ წარმატებას როგორც სამსახურებრივ საქმიანობაში, ისე პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ტრადიციულად, პროკურატურა დგას ერისა და ქვეყნის სამსახურში და მომავალშიც ასე იქნება. ხელისშემშლელი პირობები ძალიან ბევრია, მაგრამ მწამს, რომ ჩვენი მუშაკები ყველაფერს გააკეთებენ საქართველოში წესრიგის დასამყარებლად, თითოეული დანაშაულის გამოსაძიებლად და, საერთოდ, მის აღსაკვეთად. საამისოდ პრეზიდენტმაც და პარლამენტმაც ჩვენს მუშაკებს კარგი სტიმული მისცათ. მათ აიღეს მომატებული ხელფასები 1 აპრილიდან. ასევე გადიდებულ ხელფასებს მიიღებენ ჩვენი ტექნიკური მუშაკებიც. ესეც უკვე გადაწყვეტილია.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა იმ ადამიანთა პენსიების მომატება, რომელთაც ჩვენს რიგებში 30-40 წელიწადი იმუშავეს და შემდეგ დამსახურებულად წავიდნენ, თუმცა, კანონით მათი პენსიები უნდა გადიდებულიყო 1 თებერვლიდან. ჩვენ ამ საკითხის გადასაწყვეტად რამდენჯერმე ვესაუბრეთ ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელებს, წერილებიც ბევრჯერ მივწერეთ, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს მივაღწიეთ.

***— ხელფასების მომატება (კარგი იქნებოდა თუ პენსიების მომატებაც ვადებში ჩაეტეოდა), ნამდვილად, კარგი ნობათია, მაგრამ სხვა კიდევ რა ღონისძიებებს აპირებთ სადღესასწაულოდ?***

— ჩვენ ტრადიციულად პროფესიულ დღესასწაულს სათანადოდ აღვნიშნავთ 30 მაისს, მაგრამ ამჯერად იძულებული ვართ ცოტა შევიბოჭოთ. გენერალური პროკურატურის შენობა საგრძნობლად დააზიანა მიწისძვრამ. ამას წინათ მშვენიერ სხდომათა დარბაზში ჭერიც კი ჩამოინგრა. ამიტომ ამჯერად გაცილებით მოკრძალებული ვიქნებით, ბიუჯეტში არაა საამისო თანხები, რომ ადმინისტრაციული კორპუსი შეგვეკეთებინა. შარშან ჩვენ ხელფასების გარდა, ბიუჯეტიდან მივიღეთ გამოყოფილი თანხების 35 პროცენტი, წლევანდელ პირველ კვარტალში კი მხოლოდ 10 პროცენტი. ასეთ პირობებში ძნელდება არამცთუ საკუთარი სახსრებით შენობის გარემონტება, არამედ მუშაკთა მივლინებებში გაშვება, საგამოძიებო ექსპერტიზების ჩატარება, უბრალოდ, საკანცელარიო საქონლის შეძენა. გარდა ამისა, დაგროვდა დიდძალი დავალიანება წყლის, შუქის, ტელეფონის და სხვა.

სადღესასწაულოდ იქნება არც ღირს საკუთარ პრობლემებზე ლაპარაკი, მაგრამ რეალობას ვერ გავექცევით. ეს პრობლემები აუცილებლად მოქმედებს ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაზე, მუშაკთა შრომის ეფექტიანობაზე.

***— ბატონო ნუგზარ, გაჭირვება გაჭირვებად, მაგრამ პროკურატურას ამის გამო სადღეისოდ შეღავათს არავინ აძლევს და არც მომავალში მისცემს. თქვენთან ხომ მუშაობის შეწყვეტა ერთი თვით კი არა, ერთი დღით, ერთი საათითაც არ შეიძლება. პროკურატურა არაა სამეურნეო ორგანიზაცია, რომ წლიწლობით მარტოოდენ შემოდგომაზე დათვალოს, ამიტომ მაინც უნდა გვესაუბროთ თქვენს ძირითად საქმიანობაზე, მის ამჟამინდელ მდგომარეობაზე.***

— ცხადია, პროკურატურას თავისი ფუნქცია აკისრია და იგი ამ ფუნქციას კვალიფიციურად ასრულებს კიდეც. შეღავათი კი არა, ბევრ საქმეს ასეთ პირობებშიც კი გაცილებით მეტი ენერგია და ძალისხმევა მიაქვს. რას ვიზამთ, სადღეისოდ საქართველოში ისეთი სიტუაციაა შექმნილი, რომ აქ სამართალდამცველთა ყურადღების მოდუნება ყოვლად დაუშვებელია. სხვაგვარად შეიძლება ძველებურად ქაოსსა და განუკითხაობაში აღმოვჩნდეთ.

გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაში არსებული განსაკუთრებით რეზონანსული სისხლის სამართლის საქმეებიდან მთავრდება და მალე სასამართლოებში წარიმართება „ლუკოილის" ვიცე-პრეზიდენტის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმისა და სადი შარიფოვის დაღუპვის, ფულის გამოძალვის მიზნით ზაზა ჯიქიას გატაცებისა და უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ვიცე-პოლკოვნიკ ლევან ტაბაღუას განზრახ მკვლელობის საქმეები. რაც შეეხება თბილისში ბახტრიონის ქუჩაზე დარჩიაშვილების ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმისა და ანი შალამბერიძის განზრახ მკვლელობის საქმეს, ამ ეპიზოდებში პრაქტიკულად გამოძიება ამოწურულია. საგამოძიებო ვადა ერთი თვით კიდევ გაგრძელდება მხოლოდ იმის გამო, რომ ბოროტმოქმედთა ჯგუფს წინა წლებში ჩადენილი აქვს სხვა მძიმე დანაშაულობები.

ცალკე მინდა გამოვყო „ვეტერან მეომართა კავშირის" წევრთა საქმე. წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ ამ კავშირის წევრები ჯ. იაკობიძე, ვ. გალდავა, დ. მარტიაშვილი და მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი სხვა პირები 2003 წლის 23-24 მარტს შეიჭრნენ სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე, მოახერხეს მისი ბლოკირება და ხელში ჩაგდება. ისინი დაეუფლნენ სამხედრო ნაწილის ავტომატურ და სხვა სახის ცეცხლსასროლ იარაღს, დიდძალ საბრძოლო მასალას, აამუშავეს და ფარეხებიდან გამოიყვანეს მძიმე სამხედრო ტექნიკა.

დაპატიმრებული და ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული 15 პირი. საქმეზე გრძელდება გამოძიება, რომელიც უკვე მთავრდება. ამასთან, მათ გასაგონად, ვინც უკანონო გზებით ცდილობს ვეტერან გვარდიელთა დაცვა-მფარველობას, მინდა განვაცხადო: შეწყალებისა თუ ამნისტიის მოთხოვნის კანონიერი გზები არსებობს და საჭირო არაა მანიფესტაციებისა და მჯდომარე აქციების გამართვა, რითაც ზოგიერთი ძალები ნიღბავენ დედაქალაქში დესტაბილიზაციის კერების გაჩენის ცდას.

პრაქტიკულად ამოწურულია გამოძიება „ინვალიდთა ლიგის" ხელმძღვანელთა მიერ საეჭვო საბანკო ოპერაციების წარმოების და პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნებისას ბიულეტენების გაყალბების ფაქტებზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე. მათი დამთავრება ვერ ხერხდება, რადგან პირველ საქმეზე გერმანიის და ბელგიის ბანკებიდან ვერ მივაღწიეთ საქართველოდან წარმოებული გადარიცხვების და სხვა საბანკო ოპერაციების შესახებ დოკუმენტაციის მიღებას, ხოლო მეორე საქმეზე კიევის ერთ-ერთ საექსპორტო დაწესებულებაში ტარდება შესაბამისი ექსპერტიზა. ჩვენ მოვითხოვეთ ექსპერტიზის დამთავრების დაჩქარება. უკრაინელმა კოლეგებმა გვაცნობეს, რომ დასკვნა გამოიგზავნება ივნისის დასაწყისში.

***— ყველას აწუხებს სათბობ-ენერგეტიკული სისტემა. იგი განვითარების ნაცვლად დღითი დღე ნადგურდება და ჩანაგდება, ხალხი კი ბეჩავდება. თქვენთან უამრავი საქმე აღიძრა ამ სფეროდან. როგორ მიდის გამოძიება?***

— ქვეყანაში შექმნილი ენერგოკრიზისი სერიოზულად აბრკოლებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობას, რომლის ძირითადი მიზეზებია: კორუფცია, ენერგეტიკის სფეროს მართვის მენეჯმენტის მოუქნელი სისტემა, ელექტროენერგიის არამიზნობრივი ხარჯვა, ხელოვნურად წარმოქმნილი დავალიანება, მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის მოუგვარებლობა, მომხმარებლისაგან ამოღებული თანხების ფლანგვა. ეს ფაქტორები იწვევს ტარიფების უსაფუძვლო ზრდას, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესებას, ხელისუფლებისადმი ხალხის უნდობლობას და სხვა.

ენერგეტიკის სფეროში ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებათა ფაქტებზე 2000-2002 წლებში საქართველოს პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოებში აღძრულია 60-მდე სისხლის სამართლის საქმე. სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი ათეულობით მილიონ ლარს შეადგენს, დარგის მუშაკები კი უხელფასობით იტანჯებიან. საქმეთა უმეტეს ნაწილზე დამთავრებულია გამოძიება და არსებითად განსახილველად წარმართულია სასამართლოში, ნაწილზე კი გამოძიება გრძელდება.



სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების მასალების ანალიზით დადგინდა, რომ საბიუჯეტო თანხების სხვადასხვა ხერხით მითვისებაში ჩართულია მაღალი რანგის თანამდებობის პირები, რომელთა ლობირებით ხდება მითვისებული თანხების გადანაწილება. ამ პირთა სრულად მხილება კი ზოგჯერ ვერ ხერხდება.

***— თქვენ, ალბათ, მხედველობაში გაქვთ ახალი, ცხელ-ცხელი საქმე „საქგაზის" ხელმძღვანელ მუშაკთა მიმართ.***

— თუნდაც ეგ იყოს! კონტროლის პალატის მასალებით, საფინანსო-ეკონომიკური და საბუღალტრო ექსპერტიზების დასკვნებით, სხვა მტკიცებულებებით დადგენილია, რომ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, „საქგაზის" გენერალურმა დირექტორმა გურამ ჩიჩუამ და ამავე საზოგადოების ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა, ამჟამად საქართველოს პარლამენტის წევრმა დავით ბეჟუაშვილმა, საზოგადოების მთავარ ბუღალტერთან ლუდმილა ქეირიასთან ერთად, სახელმწიფო ბიუჯეტს გადასახადის სახით დაუმალეს 1.950.717 ლარი.

ამასთან, დ. ბეჟუაშვილმა, კვლავ მთავარ ბუღალტერთან ერთად, ბუნებრივი აირის მომხმარებლებს, 1999 წლის იანვარ-მარტში ბუნებრივი აირის ტარიფის ხელოვნურად გაზრდის გზით, ზედმეტად გადაახდევინა 3.983.647 ლარი.

დღემდე ვერ მოხერხდა ვერც გ. ჩიჩუას დაპატიმრება და ვერც დ. ბეჟუაშვილისთვის სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნა. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ამ წინადადებას მხოლოდ 20 დეპუტატი დაეთანხმა. საქართველოს პარლამენტის ამდაგვარი უპრინციპო მიდგომა პროკურატურას საშუალებას უსპობს განახორციელოს ბეჟუაშვილისადმი (და კიდევ ბევრი სხვა დეპუტატისადმი) სისხლისსამართლებრივი დევნა, რამეთუ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მის მიმართ სამართალწარმოება შეჩერებულია. სამწუხარო ფაქტია, რომ პარლამენტმა წესად აქცია იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე პროკურორის წინადადებების უგულებელყოფა. ამას ადასტურებს ბოლო წლებში ჩვენს მიერ შვიდი დეპუტატის მიმართ დაყენებულ ანალოგიურ წინადადებებზე უარის თქმა. ასეთი შედეგი მით უფრო გასაოცარია, როცა დეპუტატთა უმრავლესობა ელექტორატის გასაგონად ხმამაღლა აცხადებს, რომ დეპუტატი არ უნდა სარგებლობდეს იმუნიტეტით, ან უნდა სარგებლობდეს შეზღუდული ჯავშნით!

მიუხედავად ამისა, „საქგაზის" ხელმძღვანელ მუშაკთა სისხლის სამართლის საქმე დღეს თუ ხვალ აუცილებლად მივა ლოგიკურ დასასრულამდე.

***— თქვენს საგამოძიებო საქმეებში ბოლო ხანს უხვად გვხვდება თვით საპარლამენტო ინციდენტებიც. კანონმდებლები ხშირად გადადიან მუშტი-კრივზე, ლანძღვაგინებაზე...***

— ეს სამწუხარო ფაქტია. აქამდე ჩვენ სხვადასხვა დარღვევათა გამო საქმეები გვქონდა პარლამენტარების — ფრიდონ ინჯიას, ბორის კაკუბავას, ნოდარ ჯავახიშვილის, ასლან სმირბას, დავით ბეჟუაშვილის მიმართ. ახლა მათ მიემატა პარლამენტარების — პეტრე ცისკარიშვილის, კობა დავითაშვილის საქმეები. სამწუხაროდ, ეს სია გრძელდება. ვერავინ აუვლის გვერდს, მაგალითად, „გაერთიანებული დემოკრატების" შეტაკებას ვახტანგ რჩეულიშვილთან, რომელიც დამთავრდა სისხლითა და ცემა-ტყეპით. საპარლამენტო არჩევნები ტარდება ნოემბერში, ზოგიერთმა დეპუტატმა კი უკვე „გამოავლინა" საკუთარი თავისა და საკუთარი პარტიის ინტერესები, თანაც ისე გამოავლინა, რომ ქვეყანას შეაჯავრა ყველა და ყველაფერი. სიტუაცია გართულდა და პარლამენტს გასცდა, ცემა-ტყეპამ რეგიონებში გადაინაცვლა. თბილისს მოჰყვა გორი, სიღნაღი... ასეთი ხალხი, ალბათ, პოლიტიკაში არ გამოდგება. ამიტომ ხალხმა ხმა უნდა მისცეს მხოლოდ ღირსეულ ადამიანებს. ჩვენი მიზანია ნორმალური არჩევნების ჩატარება და საკანონმდებლო ორგანოში წესიერი, პატიოსანი ადამიანების მოსვლა.

ისე, ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო. ამომრჩეველი ასეთ ატმოსფეროში უფრო კარგად გაარჩევს, თუ ვის მისცეს ხმა. ხალხი ბრძენია. იმედია, მომავალი პარლამენტი უკეთესი „რჩეულებით" შეივსება და იგი მართლაც კრიმინალების თავშესაფარი არ გახდება, როგორც ეს ზოგიერთს სურს. ერთხელ და სამუდამოდ, ბოლო უნდა მოეღოს თავის გატეხვასაც, თვალის ამოგდებასაც, ცხვირის დაბეჟვასაც... ყველამ იცოდეს, რომ პროკურატურა ყოველთვის მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას.

***— ბატონო ნუგზარ, წესით და კანონით, ჩვენ 2004 წლიდან სრულიად ახალი ყაიდის პროკურატურა უნდა გვქონდეს. მოვასწრებთ?***

— პროკურატურაში რეფორმა მიმდინარეობს მთელი ძალით. მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი. ასევე, ახალი ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ. ჩატარდა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდები. წლეულს იგი დამთავრდება. დღემდე ძალიან ცოტა ჩაიჭრა. საერთოდ, ჩვენთან ყველა რგოლში გაცილებით მომზადებული ადამიანები მუშაობენ. 45 ქალაქსა და რაიონში მაინც გადახალისდა პროკურატურის კადრები. კოლეგიის გამსვლელი სხდომები გვქონდა კახეთში, სამეგრელოში, შიდა ქართლში... „სისხლის გადასხმის" პროცესი დღესაც გრძელდება. გრძელდება როგორც სტრუქტურული, ისე ორგანიზაციული ცვლილებებიც. საქმე მართლაც ისე მიდის, რომ მომავალ დღესასწაულზე ჩვენ აუცილებლად ვისაუბრებთ სრულიად ახალი ტიპის პროკურატურის დიდ და ობიექტურ საქმიანობაზე.

ესაუბრა
**ბონდო გულიაშვილი.**

## ფაქტი

# მიღება საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს

26 მაისს საბერძნეთის დედაქალაქში, საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ჩვენმა საელჩომ ბატონ ზვიად ჭუმბურიძის თაოსნობით ათენის ერთ-ერთ პრესტიჟულ სასტუმრო „გრანდ-ბრიტანში" მიღება გამართა, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნების დიპლომატები, პოლიტიკოს, ხელოვნების და სპორტის საბერძნეთისა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიების წარმომადგენლები და სხვა სტუმრები მონაწილეობდნენ.

საღამოს ამშვენებდა საქართველოდან საგანგებოდ მოწვეული ვაჟთა კვარტეტი, რომელიც დამსწრე საზოგადოებისათვის ქართული ხალხური პოლიფონიური სიმღერებით ქმნიდა ლამაზ ატმოსფეროს.

ეს ღონისძიება საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების დამყარება-განვითარების განმტკიცების ხელშეწყობის კიდევ ერთი ხიდი იყო.

**ნინო ბაჯელიძე,**
**„სრ" სპეც. კორ.**

## ოფიციალური ინფორმაცია

# საქართველოში მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომის, ატიპიური პნევმონიის შესაძლო შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის დამატებითი ღონისძიებათა შესახებ

საქართველოში მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომის შესაძლო შემოტანისა და გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა გააძლიეროს სახელმწიფო საზღვრის გამტარ პუნქტებში საერთაშორისო საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტით მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომის ადგილობრივი გადაცემის არეებიდან შემოსული მგზავრების, ეკიპაჟის წევრებისა და მომსახურე პერსონალის სამედიცინო სანიტარიულ-საკარანტინო ზედამხედველობა; სამინისტრომ, აგრეთვე, უნდა შეიმუშაოს სპეციალური ღონისძიებანი მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომის საეჭვო შემთხვევის დროს დაავადებული პირის ჰოსპიტალიზაციისა და მასთან კონტაქტში მყოფი პირების კანონით დადგენილი წესით ეპიდკონტროლის განსახორციელებლად. ამისათვის სამედიცინო დაწესებულებები მზად უნდა იყვნენ მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომით შესაძლო ავადმყოფთა ან ამ დაავადებაზე საეჭვო პირთა ჰოსპიტალიზაციის ან ობსერვაციისათვის; ამავე დროს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებზე დაყრდნობით ექიმები, ეპიდემიოლოგები და სხვა მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ საჭირო ინფორმაციითა და ტრენინგებით;

მოსახლეობა მუდმივად უნდა იღებდეს ინფორმაციას მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომის გავრცელების, რეკომენდებულ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა და ეპიდსაწინააღმდეგო სავალდებულო მოქმედებათა შესახებ.

შესაბამისი დავალებები მიიღეს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა. კერძოდ, მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომის ადგილობრივი გავრცელების არეებში ნამყოფი მოქალაქეების აღრიცხვისა და შემდგომი სამედიცინო მეთვალყურეობის მიზნით გამკაცრდება საპასპორტო კონტროლი, აიკრძალება მგზავრებისა და ეკიპაჟის გადაადგილება სამედიცინო სანიტარიული კონტროლის გარეშე.

ფინანსთა და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროებმა დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად ხელი უნდა შეუწყონ სატრანსპორტო საშუალებებში, სადგურებში, აეროპორტებში, ნავსადგურებში სათანადო პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ორგანიზებას და მომსახურე პერსონალის ინფორმირებას მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომის დამახასიათებელი სიმპტომების ამოცნობის, დაავადების პროფილაქტიკისა და ინფორმაციის დადგენილი წესით გადაცემის თაობაზე.

საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევალა უზრუნველყოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოში აკრედიტებულ უცხოეთის საელჩოებს შორის ოპერატიული კავშირისათვის სათანადო დახმარება მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომის ქვეყანაში შემოტანისა და გავრცელების მაქსიმალურად შეზღუდვისათვის ერთობლივ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებმა, ქალაქების მერებმა და რაიონების გამგებლებმა თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომის შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის მიზნით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კოორდინირებით უნდა შეიმუშაონ ამ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის გადაუდებელ ღონისძიებათა ოპერატიული გეგმა და შექმნან შესაბამისი შტაბები.

ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტმა, იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა, რომლებიც დაკავებული არიან საზღვარგარეთის ქვეყნებში ტურისტული და საქმიანი ვიზიტების ორგანიზაციით, რეკომენდაცია უნდა გაუწიონ საქართველოს მოქალაქეებს დაავადების ადგილობრივი გავრცელების არეალში მათი გამგზავრების მაქსიმალური შეზღუდვის თაობაზე.

**საქინფორმი.**

## სულიერება

# დიდი შემწე

დღეს საქართველოს გენერალურ პროკურატურას ესტუმრება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, პროფესიულ დღესასწაულთან დაკავშირებით იგი პროკურატურის ეზოში აკურთხებს იმ ადგილს, სადაც უნდა აიგოს პატარა ეკლესია. ეკლესია აიგება შემოწირულობებითა და დახმარებებით, რომელსაც განკარგავს ამ მშენებლობისათვის სპეციალურად შექმნილი საქველმოქმედო ფონდი.

ღმერთმა ქნას, ამ საქველმოქმედო ფონდში იმდენი თანხა შევიდეს, რომ იგი მარტოოდენ ეკლესიის აგებას კი არა, თვით პროკურატურის ადმინისტრაციული კორპუსის გარემონტებასაც ეყოს. პროკურატურის ხელმძღვანელთა განცხადებით, ამ ორი შენობის შეხმატკბილებული მუშაობა კეთილად წაადგება საერთო-საქვეყნო საქმეს.

**ბადრი იაშვილი.**

## დაფასება

# პლუს ჯილდო



გლდანი-ნაძალადევის პროკურორი ლენა კაპანაძე ღირსების ორდენით დაჯილდოვდა. „ჩვენო ლენა, შენ რომ დაიბადე, უკვე მაშინ იყავი ღირსეული", — ამ სიტყვებით ულოცავენ მას კოლეგები ამ ჯილდოს.

2002 წლის 30 მაისს სამართლის სფეროში მომუშავე ჟურნალისტებმა პროკურატურის მუშაკებს ორიგინალური სიურპრიზი მოუმზადეს: ფართომასშტაბიანი გამოკითხვა მოაწყეს და სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული პროკურორები და გამომძიებლები გამოავლინეს, პროკურატურის პროფესიული დღისადმი მიძღვნილ საღამოზე კი გამარჯვებულები შესაბამისი სერტიფიკატებითა და სიმბოლური საჩუქრებით დააჯილდოვეს.

„ყველაზე პოპულარული პროკურორი" — ეს ნომინაცია ერგო გლდანი-ნაძალადევის პროკურორს ლენა კაპანაძეს. „ამ ნომინაციაში გამარჯვება ჩემს უფლებებს ერთი წუთითაც არაფერს მატებს, მოვალეობებს კი აასკეცებს", — განაცხადა მაშინ საქართველოში ერთადერთმა პროკურორმა ქალმა. იგივეს იმეორებს უკვე ღირსების ორდენოსანი და ამატებს, რომ „ამ ძნელბედობის ჟამს ძალიან დიდი პატივია, ქვეყნის პრეზიდენტმა და ხელმძღვანელობამ გამონახოს დრო საიმისოდ, რომ შეაფასოს შენი მუშაობა, რაც უდიდესი სტიმულია ჩემთვის".

ვულოცავთ ყველაზე პოპულარულ პროკურორს ღირსების სახელმწიფო დონეზე დადასტურებას და ვუსურვებთ, ღირსეულად ეტარებინოს ის ტვირთი, რასაც მას, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებისმიერი ჯილდო ავალდებულებს.

**პროკურატურის პროფესიული დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზატორთა სახელით**

**ნანა აკობიძე,**
**რუსიკო მუმლაძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# საქართველოს კანონი

## საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ

### თავი I

### ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. კანონის მიზნები**

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს და არეგულირებს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის დამტკიცებას, შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს, აგრეთვე ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას.

**მუხლი 2. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა**

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების ვალდებულებათა შესრულების მიზნით ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და გამოყენების მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის, საბიუჯეტო პროცესისა და შესაბამისი ბიუჯეტების ერთობლიობა.

**მუხლი 3. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება**

1. ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მინისტრი – საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლება – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები;

გ) ადგილობრივი ხელისუფლება – საქართველოს ტერიტორიული ერთეულების (სოფელი, დაბა, თემი, რაიონი, ქალაქი და ქალაქი, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში) თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები;

დ) ბიუჯეტი – საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსულობების, აგრეთვე მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების ნუსხა, რომლებიც დამტკიცებულია ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი დონეების მიერ;

ე) ცენტრალური ბიუჯეტი – ცენტრალური ხელისუფლების ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შემოსულობებსა და გადასახდელებს;

ვ) სახელმწიფო ბიუჯეტი – ცენტრალური ბიუჯეტისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების ერთობლიობა;

ზ) ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი, რომლებიც მოიცავს ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ტერიტორიული ერთეულების (სოფელი, დაბა, თემი, რაიონი, ქალაქი და ქალაქი, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში) ბიუჯეტებს, მათ შემოსულობებსა და გადასახდელებს;

თ) ადგილობრივი ბიუჯეტი – საქართველოს ტერიტორიული ერთეულების (სოფელი, დაბა, თემი, რაიონი, ქალაქი და ქალაქი, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში) ბიუჯეტი, მათი შემოსულობები და გადასახდელები;

ი) სპეციალური სახელმწიფო ფონდი – ფონდი, რომელიც იქმნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ცალკეული და განსაკუთრებული მიზნებისათვის.

კ) მხარჯავი დაწესებულება – ბიუჯეტის ხარჯების ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით პირველი თანრიგის დაწესებულება, რომლისთვისაც ბიუჯეტით გათვალისწინებულია ასიგნება ან საშემოსავლო პროგნოზი და რომელიც პასუხისმგებელია ხარჯებისა და შემოსავლების მართვაზე;

ლ) საბიუჯეტო ორგანიზაცია – მხარჯავი დაწესებულება ან მის დაქვემდებარებაში მყოფი ერთეული, რომელიც ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას დადგენილი ნორმების, სტანდარტებისა და წესების შესაბამისად;

მ) საბიუჯეტო (ფისკალური) წელი – კალენდარული წელი;

ნ) სახელმწიფო ხაზინა – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური;

ო) წლიური საბიუჯეტო კანონი – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი;

პ) ვალდებულების აღება – მომავალში გადახდაზე პასუხისმგებლობის აღება;

ჟ) ბიუჯეტის შემოსულობები – ბიუჯეტებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების ანგარიშებზე მისაღები ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობა;

რ) ბიუჯეტის გადასახდელები – ბიუჯეტებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების ანგარიშებიდან გასაცემი ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობა;

ს) ბიუჯეტის შემოსავლები – კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების ანგარიშებზე მისაღები ფულადი სახსრები, რომელთა დაბრუნება და ანაზღაურება არ ხდება;

ტ) ბიუჯეტის ხარჯები – ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ მათი ამოცანებისა და ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ფულადი სახსრები.

**მუხლი 4. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები**

საბიუჯეტო სისტემის ყველა მონაწილემ საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე უნდა დაიცვას შემდეგი პრინციპები:

ა) ყოვლისმომცველობა – ბიუჯეტის ყველა შემოსულობისა და გადასახდელის სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტებში;

ბ) გამჭვირვალობა – ბიუჯეტების პროექტების საკანონმდებლო ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის;

გ) ანგარიშვალდებულება – საბიუჯეტო პროცესის მონაწილე ყველა პირის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაზე;

დ) დამოუკიდებლობა – სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების დამოუკიდებლობა, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსავლების წყაროები და საკუთარი ხარჯების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, ადგილობრივი ხელისუფლების შემოსავლები და ხარჯებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა დგინდება კანონმდებლობით;

ე) ერთიანობა – ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ საერთო საფუძვლებით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, ანგარიშთა ერთიანი ჩამონათვალით, საბიუჯეტო დოკუმენტაციით, საქართველოს კონტროლის პალატის ზედამხედველობით სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა;

ვ) უნივერსალურობა – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ამ კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან, არც ერთი შემოსულობა, დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსავლების გარდა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული ხარჯის ან/და ღონისძიების დასაფინანსებლად. მხარჯავი დაწესებულების მიერ მიღებული შემოსავლების შენარჩუნება მისი მიზნებისათვის დაუშვებელია;

ზ) კონსოლიდირება – ყველა სახელმწიფო შემოსულობით სახელმწიფო კონსოლიდირებული ფონდის შექმნა, ამ ფონდიდან ხარჯების გაწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფონდის მართვა სახელმწიფო ხაზინის მიერ და მისი განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში.

**მუხლი 5. საბიუჯეტო პროცესი**

1. საბიუჯეტო პროცესი საქართველოს საბიუჯეტო სისტემის განუყოფელი ნაწილია. საბიუჯეტო პროცესი არის საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.

2. ბიუჯეტის პროექტის მომზადებაზე, დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლება:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტისათვის – საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისათვის – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო;

გ) საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის – შესაბამისი ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლება.

3. ბიუჯეტის პროექტის განხილვაზე, დამტკიცებასა და კონტროლზე უფლებამოსილია შესაბამისი საკანონმდებლო ხელისუფლება:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტისათვის – საქართველოს პარლამენტი;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისათვის – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;

გ) საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის – შესაბამისი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანო.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ზედამხედველობს და კოორდინაციას უწევს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას. საბიუჯეტო სისტემის ყველა დონეზე საბიუჯეტო პროცესის ერთიანობისა და ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მინისტრი გამოსცემს სათანადო სამართლებრივ აქტებს.

**მუხლი 6. ცენტრალური ბიუჯეტის შემოსულობები**

ცენტრალური ბიუჯეტის შემოსულობებია:

ა) შემოსავლები, მათ შორის:

ა.ა.) მიმდინარე საგადასახადო შემოსავლები – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადები;

ა.ბ) მიმდინარე არასაგადასახადო შემოსავლები – სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებიდან მიღებული წმინდა მოგება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებული მოგება, ადმინისტრაციული გადასახდელები (მათ შორის, მოსაკრებლები), ჯარიმები და საურავები, ბიუჯეტიდან გაცემული სესხების დაბრუნებით მიღებული და სხვა არასაგადასახდო შემოსავლები (კაპიტალური შემოსავლების გარდა);

ა.გ) კაპიტალური შემოსავლები – ფიქსირებული კაპიტალური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, აქციების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, მიწისა და არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი და არასახელმწიფო წყაროებიდან მიღებული კაპიტალური ტრანსფერები;

ბ) გრანტები – საშინაო და საგარეო წყაროებიდან ფულადი ფორმით მიღებული გრანტები ან სასაქონლო ფორმით მიღებული და მონეტიზებული გრანტები;

გ) სესხები – საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კანონმდებლობლით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში, ქვეყნის შიგნით და გარეთ აღებული სესხები.

**მუხლი 7. სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსულობები**

სპეციალური სახელმწიფო ფონდები ფინანსდება შესაბამისი კანონებითა და წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული შემოსავლებით. სპეციალური სახელმწიფო ფონდების ბიუჯეტები სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია და მტკიცდება და სრულდება სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად.

**მუხლი 8. ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების შემოსულობები**

ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების შემოსულობებია:

ა) შემოსავლები, მათ შორის:

ა. ა) მიმდინარე საგადასახადო შემოსავლები;

ა. ბ) მიმდინარე არასაგადასახადო შემოსავლები;

ა. გ) კაპიტალური შემოსავლები;

ბ) გრანტები – საშინაო და საგარეო წყაროებიდან ფულადი ფორმით მიღებული გრანტები;

გ) სესხები – ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული და ამ კანონით განსაზღვრული სხვა სესხები.

**მუხლი 9. ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობები**

ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობებია:

ა) შემოსავლები, მათ შორის:

ა.ა) მიმდინარე საგადასახადო შემოსავლები;

ა.ბ) მიმდინარე არასაგადასახადო შემოსავლები;

ა.გ) კაპიტალური შემოსავლები;

ბ) გრანტები – საშინაო და საგარეო წყაროებიდან ფულადი ფორმით მიღებული გრანტები;

გ) სესხები – ცენტრალური ბიუჯეტიდან, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან მიღებული და ამ კანონით განსაზღვრული სხვა სესხები.

**მუხლი 10. ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების და სპეციალური სახელმწიფო ფონდების გადასახდელები**

ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების და სპეციალური სახელმწიფო ფონდების გადასახდელებია:

ა) ხარჯები, მათ შორის:

ა. ა.) მიმდინარე ხარჯები – ხელფასები, დახმარებები, საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული სხვა ხარჯები, მიმდინარე ტრანსფერები, სუბსიდიები, პროცენტის დაფარვა და საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული სხვა მიმდინარე ხარჯები;

ა. ბ) კაპიტალური ხარჯები – კაპიტალური აქტივების შეძენა, კაპიტალური ტრანსფერები და საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული სხვა კაპიტალური ხარჯები;

ბ) დაკრედიტება, სააქციო კაპიტალში მონაწილეობა;

გ) ვალის ამორტიზაცია – სესხის ძირითადი თანხის დაფარვა.

**მუხლი 11. საბიუჯეტო კლასიფიკაცია**

1. საბიუჯეტო კლასიფიკაცია არის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების სისტემური კლასიფიკაცია, რომელიც მოიცავს: შემოსავლების კლასიფიკაციას შემოსავლების წყაროების მიხედვით, მიმდინარე და კაპიტალური შემოსავლების გამიჯვნით; ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციას ხარჯების სახეების მიხედვით, მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების გამიჯვნით; ხარჯების ფუნქციონალურ კლასიფიკაციას ხარჯების მიზნების მსგავსობის მიხედვით; ხარჯების ორგანიზაციულ კლასიფიკაციას მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით.

2. საბიუჯეტო კლასიფიკაციას საქართველოს კონტროლის პალატასთან კონსულტაციებისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტებთან შეთანხმების საფუძველზე ამტკიცებს მინისტრი.

3. საბიუჯეტო კლასიფიკაცია ქვეყნდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 12. ასიგნებები**

1. ასიგნება არის ფისკალური წლის განმავლობაში საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მიზნებისათვის დამტკიცებული მოცულობის ფარგლებში ხარჯის გაწევის უფლებამოსილება, რომელიც გათვალისწინებულია ბიუჯეტით. ასიგნების გარეშე ხარჯის გაწევა და ვალდებულების აღება დაუშვებელია.

2. პროგნოზირებული ასიგნება წარმოადგენს ასიგნებას, რომელიც დაკავშირებულია ვალის მომსახურებასა და ამორტიზაციასთან ან/და სახელმწიფოს მიერ გარანტირებულ სესხებზე გადახდასთან. პროგნოზირებული ასიგნების ზევით ვალდებულების აღება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მინისტრი საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს წარუდგენს ანგარიშს პროგნოზირებული ასიგნების გადაჭარბების მიზეზის შესახებ და წლის ბოლოს მისაღები შედეგის პროგნოზს, ხოლო პროგნოზირებული ასიგნების კორექტირება გათვალისწინებული იქნება წლიურ საბიუჯეტო კანონში სათანადო ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტში, რომლის მიღების შემდეგაც შეიძლება შესაბამისი ხარჯის გაწევა.

3. ფიქსირებული ასიგნება წარმოადგენს პროგნოზირებულის გარდა ყველა სხვა ასიგნებას. ცენტრალური, ავტონომიური და ადგილობრივი ხელისუფლებებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების მიერ ფიქსირებული ასიგნების ზევით ხარჯის გაწევა და ვალდებულების აღება დაუშვებელია.

**მუხლი 13. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი**

1. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი იქმნება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით. ამ ფონდის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ფიქსირებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2 პროცენტს.

2. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისეთი საგანგებო შემთხვევებისათვის, როგორიცაა ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფები და გაუთვალისწინებელი სახელმწიფო ვალდებულებები. აღნიშნული სახსრები გამოიყოფა წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მოცულობისა და პირობების შესაბამისად.

3. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხებს მხარჯავი დაწესებულების განაცხადისა და ფონდის მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად, პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფს მინისტრი. მხარჯავი დაწესებულება ვალდებულია ზუსტად განსაზღვროს საჭირო თანხის მოცულობა და მიზნობრიობა.

4. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის სახსრების ხარჯვის შესახებ კვარტალურ ანგარიშებს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

**მუხლი 14. ავტონომიური რესპუბლიკების სარეზერვო ფონდები**

ამ კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისათვის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში იქმნება სარეზერვო ფონდები.

**მუხლი 15. ბიუჯეტის პროფიციტი და დეფიციტი**

1. ერთი მხრივ, ბიუჯეტის შემოსავლებსა და ფულად გრანტებს და, მეორე მხრივ, ხარჯებსა და დაკრედიტებას შორის დადებითი სხვაობა წარმოადგენს ბიუჯეტის პროფიციტს, ხოლო უარყოფითი სხვაობა – ბიუჯეტის დეფიციტს.

2. სპეციალური სახელმწიფო ფონდების ბიუჯეტები, როგორც წესი, უდეფიციტოა. მათი დეფიციტის დაფარვა ხდება ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

### თავი II

### ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა და დამტკიცება

**მუხლი 16. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესის კოორდინირება**

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს და პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

**მუხლი 17. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტები**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან, საქართველოს ეროვნულ ბანკთან და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრულ სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან კოორდინაციით, ყოველი წლის 1 მარტს იწყებს მუშაობას ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტებზე (საშუალოვადიან მაკროეკონომიკურ პროგნოზზე, საშუალოვადიან ფისკალურ პროგნოზებზე და საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე). ამ მიზნით სახელმწიფო დაწესებულებები (სამინისტროები, უწყებები, დაწესებულებები, ორგანიზაციები), აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ მოთხოვნილი ინფორმაცია.

2. საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზი ეფუძნება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმის პროექტს. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაკროეკონომიკურ მიმოხილვას და მოიცავს მთლიან შიდა პროდუქტს, ინფლაციას, ხელფასების ცვლილებებს, წარმოებას სექტორების მიხედვით, სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსს, ვალუტის კურსს, მონეტარულ მაჩვენებლებს და სხვა ძირითად ელემენტებს.

3. საშუალოვადიანი ფისკალური პროგნოზები ეფუძნება საშუალოვადიან მაკროეკონომიკურ პროგნოზს. ისინი მოიცავს შემოსავლების, ხარჯებისა და დაფინანსების ძირითად ელემენტებს და ითვალისწინებს სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატურ გეგმას. ფინანსურ და პოლიტიკურ ვალდებულებებს.

4. საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ეფუძნება საშუალოვადიან მიკროეკონომიკურ პროგნოზს, საშუალოვადიან ფისკალურ პროგნოზებს, მიმდინარე წლის ფისკალური მდგომარეობისა და სტრატეგიის ანგარიშს. ისინი მოიცავს მიმდინარე ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობას, წინადადებებს ბიუჯეტის სტრატეგიის შესახებ, რომელიც გამომდინარეობს აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკისა და პრიორიტეტებისაგან, ძირითად ფისკალურ და ფინანსურ დირექტივებსა და მიზნებს, შემოსავლებისა და ხარჯების ძირითად კატეგორიებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის.

5. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტები მოიცავს:

ა) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების მაჩვენებლებს გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმისშემდგომი საბიუჯეტო წლებისათვის;

ბ) გასული საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;

გ) დასაგეგმი და არანაკლებ დასაგეგმისშემდგომი საბიუჯეტო წლებისათვის:

გ. ა) ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზებს;

გ. ბ) საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული სახელმწიფო პრიორიტეტების სექტორების მიხედვით, ფისკალური საფუძვლების პროგნოზებით:

გ. გ) სახელმწიფო ფისკალურ პოლიტიკას, ძირითადი ფისკალური მიზნებისა და ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად საჭირო მოთხოვნებს;

გ. დ) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების მთლიანი შემოსავლების, ხარჯებისა (ძირითადი ფუნქციებისა და ეკონომიკური მუხლების მიხედვით) და ბიუჯეტის დეფიციტის თანაფარდობას მთლიან შიდა პროდუქტთან;

გ.ე) შემოსავლების, ხარჯების, გრანტებისა და სესხების აგრეგირებულ მაჩვენებლებს.

6. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს არა უგვიანეს 15 აპრილისა.

7. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტებს საქართველოს პრეზიდენტი წარუდგენს საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პროფილის კომიტეტებს არა უგვიანეს 1 მაისისა. ამ კომიტეტებში განხილვების შედეგების გათვალისწინებით საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ამზადებს დასკვნას, რომელიც ეგზავნება პრეზიდენტს არა უგვიანეს 1 ივნისისა.

**მუხლი 18. საბიუჯეტო ცირკულარის მომზადების ვადები და წესი**

1. საბიუჯეტო განაცხადის მომზადების დროს ყველა მხარჯავი დაწესებულება და სპეციალური სახელმწიფო ფონდი იყენებს ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ საბიუჯეტო ცირკულარში მითითებულ ძირითად პარამეტრებს. საბიუჯეტო ცირკულარი მოიცავს თითოეული მხარჯავი დაწესებულებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდის მიხედვით ინფორმაციას კადრებისა და ხარჯების ზღვრული მოცულობების შესახებ. საბიუჯეტო ცირკულარს გამოსცემს მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის მიერ მხარჯავი დაწესებულებებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების კადრებისა და ხარჯების ზღვრული მოცულობების 15 ივნისამდე დამტკიცებიდან 5 დღის ვადაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს კონტროლის პალატის კადრებისა და ხარჯების ზღვრულ მოცულობებს პარლამენტის მიერ წარდგენილი პროექტის საფუძველზე განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი. ამასთან, საქართველოს პარლამენტის ხარჯების ზღვრული მოცულობის დამტკიცებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ იგი არ უნდა იყოს გასულ საბიუჯეტო წელს დამტკიცებულ მოცულობაზე ნაკლები.

**მუხლი 19. მხარჯავი დაწესებულებებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების მიერ საბიუჯეტო განაცხადების წარდგენა**

1. მხარჯავი დაწესებულებებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების ხელმძღვანელები საბიუჯეტო განაცხადებს წარუდგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არა უგვიანეს 15 აგვისტოსი. საბიუჯეტო განაცხადი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული საბიუჯეტო წლის ფაქტობრივ შემოსულობებსა და გადასახდელებს, მიმდინარე საბიუჯეტო წლის მოსალოდნელ შემოსულობებსა და გადასახდელებს, დასაგეგმი საბიუჯეტო წლის შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზებს, მათ შორის, ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მესამე დონის შესაბამისად მიმდინარე, კაპიტალურ და პროგრამულ ხარჯებს;

ბ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით დასაგეგმისშემდგომი საბიუჯეტო წლისათვის გაანგარიშებულ შემოსულობებსა და გადასახდელებს;

გ) ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი თანამშრომლების მოთხოვნილ ოდენობას, მიმდინარე მაჩვენებლიდან გადახრების ჩათვლით;

დ) შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზების დასაბუთებას;

ე) მიღებულ ან მისაღებ არაფულად გრანტებს საცნობარო მუხლის სახით.

2. საბიუჯეტო განაცხადები, რომლებიც შეიცავს ვალდებულებებს ან/და მრავალწლიან ხარჯს, საინვესტიციო პროექტებსა და დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებს, წარმოდგენილი უნდა იქნეს თითოეული საბიუჯეტო წლისათვის ცალკე სავარაუდო ხარჯთაღრიცხვით.

3. ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ზღვრული მოცულობების ზევით საბიუჯეტო განაცხადის წარდგენა დაუშვებელია.

**მუხლი 20. საბიუჯეტო განაცხადების განხილვა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამოწმებს საბიუჯეტო განაცხადებს და მხარჯავ დაწესებულებებთან და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებთან ერთად იხილავს არა უგვიანეს 30 აგვისტოსი.

2. მხარჯავ დაწესებულებას ან სახელმწიფო სპეციალურ ფონდს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის შეუთანხმებელი საკითხები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს არა უგვიანეს 5 სექტემბრისა.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და მას განსახილველად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს არა უგვიანეს 15 სექტემბრისა.

**მუხლი 21. წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტის წარდგენა**

1. საქართველოს პრეზიდენტი არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტს თანდართული მასალებით, რომლებიც მოიცავს:

ა) საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა.ა) ინფორმაციას ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობის შესახებ;

ა.ბ) ინფორმაციას საბიუჯეტო წინადადებებისა და მათი გაანგარიშების საფუძვლის შესახებ;

ა.გ) საბიუჯეტო რისკისა და საკრედიტო მდგრადობის საშუალოვადიან ანალიზს;

ბ) ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლებისა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მეორე რიგის მუხლების მიხედვით თითოეული მხარჯავი დაწესებულებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდის ხარჯების ნუსხას, საინვესტიციო პროექტების შემთხვევაში, აგრეთვე თითოეული საბიუჯეტო წლისათვის ცალკე სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას და დეტალურ ინფორმაციას დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ;

გ) ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას, პროფიციტის გამოყენების ღონისძიებებს ან დეფიციტის დაფინანსების წყაროებს;

დ) ინფორმაციას სახელმწიფო ვალის, სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სესხების და გაუთვალისწინებელი ვალდებულებების, ასევე გარანტიის ამოქმედების შედეგად გადასახდელი თანხების პროგნოზის შესახებ;

ე) ასიგნებებისა და საშემოსავლო პროგნოზების დასაბუთებას;

ვ) წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს, მათ შორის, აუცილებლობის შემთხვევაში საგადასახადო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პაკეტს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმისშემდგომი წლებისათვის. ამასთან, დასაგეგმისშემდგომი წლის შესახებ ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს ზოგად მაჩვენებლებში.

3. წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტი თანდართულ მასალებთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს საქართველოს პარლამენტში წარდგენისთანავე.

**მუხლი 22. წლიური საბიუჯეტო კანონის მიღება**

1. საქართველოს პარლამენტში საკომიტეტო მოსმენების შემდეგ წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტი განიხილება პლენარულ სხდომაზე.

2. საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტსა და მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებას წარადგენს საქართველოს პრეზიდენტი ან მთავრობის რომელიმე წევრი პრეზიდენტის შესაბამისი აქტით მიღებული დავალებით. პარლამენტი ასევე ისმენს საქართველოს კონტროლის პალატისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოხსენებებს.

3. წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით. ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს კანონის შესაბამის შესწორებულ პროექტს. კანონის მიღება უნდა მოხდეს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე.

4. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული წლიური საბიუჯეტო კანონი დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მეორე რიგის მუხლების მიხედვით თითოეული მხარჯავი დაწესებულებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდის ასიგნებების მოცულობას;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებებისათვის ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობას;

გ) საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მოცულობას;

დ) ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;

ე) პროფიციტის გამოყენების ღონისძიებებს ან დეფიციტის დაფინანსების წყაროებს;

ვ) საშინაო და საგარეო ვალების ძირითადი თანხის დაფარვისათვის საჭირო ასიგნებების მოცულობას;

ზ) სახელმწიფო ვალის, სახელმწიფო სესხებისა და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სესხების ლიმიტებს;

თ) ინფორმაციას საბიუჯეტო წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის არსებული სახელმწიფო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ.

5. თუ საქართველოს პარლამენტი არ მიიღებს წლიურ საბიუჯეტო კანონს, საქართველოს პრეზიდენტი 2 კვირის ვადაში წარუდგენს მას კანონპროექტის ახალ ვარიანტს.

6. წლიური საბიუჯეტო კანონი და მისი დანართები უნდა გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისათვის.

**მუხლი 23. ასიგნებები წლიური საბიუჯეტო კანონის მიუღებლობის შემთხვევაში**

დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე წლიური საბიუჯეტო კანონის მიუღებლობის შემთხვევაში, კანონის ამოქმედებამდე, მინისტრი უფლებამოსილია მხარჯავ დაწესებულებებზე და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებზე ყოველთვიურად გასცეს თანხები არა უმეტეს გასული წლის ასიგნებების 1/12-ის ოდენობით.

**მუხლი 24. წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანა**

1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილების შეტანის შესახებ წინადადებას ვალდებულების აღებამდე და ხარჯის გაწევამდე საქართველოს პრეზიდენტი წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, გარდა ამ კანონის 36-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის პროექტს, რომელიც გავლენას ახდენს წლიური საბიუჯეტო კანონით დადგენილი შემოსავლების ან/და ხარჯების პროგნოზებზე, საქართველოს პარლამენტი მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ახლავს კანონპროექტი წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, გარდა ამ კანონის 36-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ღონისძიება, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობაზე, დაუყოვნებლივ ან სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მომდევნო კვარტალური ანგარიშის განხილვის დროისათვის მაინც უნდა იქნეს ასახული კანონპროექტში წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ.

3. წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტზე დართული მასალები უნდა შეიცავდეს სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო შედეგის პროგნოზებს, საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზის განახლებულ ვერსიასთან და საშუალოვადიან ფისკალურ პროგნოზებთან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათი წარდგენა საჭირო არ არის ცვლილებების შინაარსიდან გამომდინარე.

4. თუ წლის პირველი ნახევრის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშიდან ნათელია, რომ წლიურად პროგნოზირებული შემოსავლები და გრანტები განიცდის 10 პროცენტით ან მეტ დანაკლისს, საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტს.

**მუხლი 25. ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა, წარდგენა და დამტკიცება**

1. ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა, წარდგენა და დამტკიცება ხორციელდება ამ კანონისა და ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვის, წარდგენისა და დამტკიცების მიზნებისათვის, საბიუჯეტო ცირკულარის გამოცემისთანავე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას უზრუნველყოფს საბიუჯეტო ცირკულარის შესაბამისი ტექნიკური მითითებებით.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება ვალდებულია დროულად და სრულად წარუდგინოს მას ინფორმაცია ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესახებ.

**მუხლი 26. ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა, წარდგენა და დამტკიცება**

1. ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა, წარდგენა და დამტკიცება ხორციელდება ამ კანონისა და „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

2. ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვის, წარდგენისა და დამტკიცების მიზნებისათვის, საბიუჯეტო ცირკულარის გამოცემისთანავე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივ ხელისუფლებას უზრუნველყოფს საბიუჯეტო ცირკულარის შესაბამისი ტექნიკური მითითებებით.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია დროულად და სრულად წარუდგინოს მას ინფორმაცია ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ.

**მუხლი 27. საგანგებო ბიუჯეტი**

1. საქართველოში ან მის ცალკეულ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტს საქართველოს პრეზიდენტის წარდგენით შეუძლია დაამტკიცოს საგანგებო ბიუჯეტი საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის.

2. საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით დამატებითი ხარჯების დასაფინანსებლად გადასახადებს, მოსაკრებლებსა და სხვა სავალდებულო გადასახდელებს აწესებს საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის წარდგენით.

### თავი III

### ბიუჯეტის შესრულება

**მუხლი 28. ასიგნებული თანხების გაწერა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე პასუხისმგებლობა**

1. საქართველოს პრეზიდენტის მიერ წლიური საბიუჯეტო კანონის ხელმოწერისთანავე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თითოეულ მხარჯავ დაწესებულებას აწვდის ინფორმაციას მისთვის გამოყოფილი ასიგნებების შესახებ.

2. მხარჯავი დაწესებულებები პასუხისმგებელნი არიან ასიგნებების შესაბამისად ხარჯების გაწევაზე და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსავლების მოკრებაზე. ამასთან, ისინი პასუხისმგებელნი არიან ბიუჯეტის, სახელმწიფო აქტივებისა და ვალდებულებების მართვაზე და პროცედურებისა და მოთხოვნების კონტროლზე.

3. მინისტრი ზედამხედველობს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ორგანიზებასა და მართვას, საქართველოს კონტროლის პალატასთან შეთანხმებით კოორდინაციას უწევს საალრიცხვო კონტროლსა და შიდა აუდიტს და გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტებს.

**მუხლი 29. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულება**

1. შემოსავლების მოკრებაზე პასუხისმგებელმა უწყებებმა უნდა უზრუნველყონ ბიუჯეტში ჩასარიცხი თანხების სრული და დროული მოკრება კანონმდებლობის შესაბამისად.

2. წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებული შემოსავლები წარმოადგენს პროგნოზებს და არ ზღუდავს ფაქტობრივ მოკრებას მაჩვენებლების გადამეტებით.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა შემოსულობა ექვემდებარება დაუყოვნებლივ დეპონირებას სახელმწიფო კონსოლიდირებული ფონდის შესაბამის ქვეანგარიშზე.

4. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების აღრიცხვისას უნდა გაკეთდეს კორექტირებები უკან დაბრუნებული თანხებისათვის. ამ შემოსულობების უკან დაბრუნება ხდება სახელმწიფო კონსოლიდირებული ფონდის შესაბამისი ქვეანგარიშიდან.

5. საგადასახადო შემოსავლების გაწერაში საბიუჯეტო წლის ნახევრისა და კვარტლის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები არ უნდა იყოს წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებული წლიური მაჩვენებლის შესაბამისად 48 და 23 პროცენტზე ნაკლები.

იხ. მე–5 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

დოკუმენტი

# საქართველოს კანონი

## საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ

(მეოთხე გვერდიდან)

**მუხლი 30. ფულის მართვისა და გაცემის გეგმები**

1. საბიუჯეტო დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის პროცესი უნდა შეესაბამებოდეს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს და ეფუძნებოდეს ყოველთვიურ ოპერატიულ ფინანსურ გეგმას.

2. მინისტრი ამზადებს მცურავ ყოველკვარტალურ ფინანსურ გეგმას, რომელიც ეფუძნება შესაბამის პერიოდებში შემოსავლების ფაქტობრივი მოკრების პროგნოზებს, დაფინანსების სხვა წყაროებსა და მოსალოდნელ გადასახდელებს.

3. მინისტრის მიერ გამოცემული წესების თანახმად, თვის დაწყებამდე სახელმწიფო ხაზინა მხარჯავ დაწესებულებებს აცნობებს ყოველთვიურ ოპერატიულ ფინანსურ გეგმას.

**მუხლი 31. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება**

1. მხარჯავი დაწესებულებების მიერ ვალდებულებების აღებისა და ხარჯების გაწევის უფლებამოსილებები განისაზღვრება მინისტრის მიერ ამ კანონის შესაბამისად გამოცემული წესებით.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინასწარი თანხმობის გარეშე საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ ხარჯის გაწევა და ვალდებულების აღება დაუშვებელია. ხარჯის გაწევა უნდა მოხდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ აღებული და დამტკიცებული ვალდებულების შესასრულებლად, თუ ამ კანონით ან მინისტრის მიერ ამ კანონის შესაბამისად გამოცემული ნორმატიული აქტებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. ამ მუხლის დებულებები არ გამოიყენება სპეციალური სახელმწიფო ფონდების მიმართ.

**მუხლი 32. სახელმწიფო ხაზინა**

1. სახელმწიფო ხაზინის საქმიანობა ხორციელდება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ყველა სახელმწიფო ფინანსური ოპერაციის გამჭვირვალობა და ანგარიშგება.

2. სახელმწიფო ხაზინა პასუხისმგებელია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების სრულ და სწორ აღრიცხვაზე.

3. სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის მართვისა და ოპერირების კონტროლის, აგრეთვე, ამ ანგარიშიდან თანხების მოხსნის შესახებ ნებართვის გაცემის უფლება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, აქვს მხოლოდ სახელმწიფო ხაზინას.

4. სახელმწიფო ხაზინის ფულადი რესურსები ინახება საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ ერთ ან მეტ საბანკო ანგარიშზე, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო კონსოლიდირებული ფონდის ქვეანგარიშს, აგრეთვე, სხვა ბანკებში, სახელმწიფო ხაზინის კონტროლით. საოპერაციო მიზნებისათვის სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია გასცეს ნებართვა დამატებითი საბანკო ანგარიშების გახსნის შესახებ. ეს ანგარიშები შენარჩუნებული იქნება ნულოვანი ბალანსის საფუძველზე.

5. ცენტრალური ბიუჯეტის ყველა შემოსულობა და გადასახდელი სრულდება სახელმწიფო სახაზინო სისტემის მეშვეობით და მინისტრის მიერ გამოცემული წესების შესაბამისად. სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია მოახდინოს სპეციალური სახელმწიფო ფონდების ან შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე სხვა იურიდიული პირების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შემოსულობებისა და გადასახდელების ადმინისტრირება.

6. სახელმწიფო ხაზინის თანხმობის გარეშე დაუშვებელია ცენტრალური ხელისუფლების საბიუჯეტო დაწესებულების (ორგანიზაციის) საბანკო ანგარიშის გახსნა. სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია გააუქმოს ნებართვა საბანკო ანგარიშის გახსნის შესახებ და გასცეს ბრძანება ამ ანგარიშის დახურვის თაობაზე. მხარჯავი დაწესებულებები უზრუნველყოფენ, რომ მათ მიერ მიღებული ყველა შემოსავალი სრულად და დაუყოვნებლივ აღირიცხოს სახელმწიფო კონსოლიდირებულ ფონდში. ნებისმიერი თანამდებობის პირი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებს კანონით დადგენილი ვადის დარღვევით ინახავს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის გარეთ, პასუხს აგებს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით სახელმწიფო ხაზინა უწევს მას ტექნიკურ მომსახურებას სახაზინო ოპერაციების, აგრეთვე, ანგარიშებისა და მოხსენებების მომზადებისათვის. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგენს პროცედურებსა და სააღრიცხვო მეთოდოლოგიას, რომლებიც შესაბამისმა ხელისუფლებამ უნდა დაიცვას ფინანსური ოპერაციების წარმოებისას.

8. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საბოლოო ანგარიშსა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგების პროექტს, რომელიც წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს.

**მუხლი 33. სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულება**

1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება ხორციელდება საკასო მეთოდით.

2. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების გაცემის უფლებამოსილება წყდება მიმდინარე საბიუჯეტო წლის 31 დეკემბერს 24 საათზე.

3. მიმდინარე საბიუჯეტო წლის 31 დეკემბრის შემდეგ მიღებული შემოსულობები ითვლება დასაგეგმი საბიუჯეტო წლის შემოსულობებად.

**მუხლი 34. სახელმწიფო ხაზინის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის აღრიცხვა და ანგარიშგება**

1. სახელმწიფო ხაზინა ახორციელებს თითოეული მხარჯავი დაწესებულების დაქვემდებარებაში მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციაზე და სპეციალურ სახელმწიფო ფონდზე გაცემული გადასახდელების აღრიცხვას (ცენტრალური ბიუჯეტის შემთხვევაში აღრიცხვა მოიცავს ინფორმაციას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების გაწევის ყველა ეტაპის (ვალდებულებები, დამოწმება, თანხების გაცემა და გადასახდელები) შესახებ), აგრეთვე, მხარჯავი დაწესებულებისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდის შემოსავლებისა და სხვა შემოსულობების აღრიცხვას. ამასთან, სახელმწიფო ხაზინა აღრიცხვას აწარმოებს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული შემოსულობებისა და ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების მიხედვით.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო ხაზინის მეშვეობით, ყოველი თვის დასრულებიდან 20 დღის განმავლობაში ამზადებს ანგარიშს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, დეფიციტისა და დაფინანსების წყაროების ჩვენებით. სპეციალური სახელმწიფო ფონდის გადასახდელების შესახებ ანგარიშში შეიძლება მოცემული იყოს ინფორმაცია მის მიერ გაცემული თანხების მხოლოდ საერთო რაოდენობის შესახებ.

**მუხლი 35. სახელმწიფო ბიუჯეტის ყოველკვარტალური მიმოხილვა**

ყოველი კვარტალის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების ყოველკვარტალურ მიმოხილვას, რომელიც მოიცავს:

ა) მაკროეკონომიკისა და საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე მოვლენებს;

ბ) შემოსულობების, გადასახდელების, დეფიციტის, სესხების ან დაფინანსების სხვა წყაროების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებულ მოცულობებთან, ძირითადი განსხვავებების განმარტებებს.

**მუხლი 36. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება**

1. რომელიმე მხარჯავი დაწესებულებიდან ან სპეციალური სახელმწიფო ფონდიდან ერთ ან რამდენიმე მხარჯავ დაწესებულებასა და სპეციალურ სახელმწიფო ფონდზე ასიგნებების გადანაწილება შეიძლება მხოლოდ წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანის გზით.

2. მხარჯავი დაწესებულებისათვის ან სპეციალური სახელმწიფო ფონდისათვის გამოყოფილი ასიგნებების მთლიანი ოდენობიდან თანხები ერთი ან მეტი ასიგნებიდან ერთ ან მეტ ასიგნებაზე შეიძლება გადანაწილდეს მხოლოდ მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ამგვარი გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს პირველადი ასიგნების ოდენობის 10 პროცენტის ფარგლებში.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით საქართველოს პარლამენტს მისთვის გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილებისათვის ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი უფლების გამოყენება შეუძლია შეუზღუდავად.

**მუხლი 37. ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულება**

1. ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულება ხორციელდება ამ კანონის 25-ე და 28-36-ე მუხლების დებულებებისა და ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარუდგენს ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

**მუხლი 38. ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულება**

1. ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულება ხორციელდება ამ კანონის 26-ე და 28-36-ე მუხლების დებულებებისა და „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

2. ადგილობრივი ხელისუფლება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარუდგენს ინფორმაციას ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

### თავი IV

### სესხები და ვალი

**მუხლი 39. სესხის აღების უფლება**

1. სახელმწიფო სესხების აღება და მათზე გარანტიების გაცემა შეიძლება მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ხელისუფლებებს უფლება აქვთ სესხი აიღონ მხოლოდ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახით ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნებართვით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 40. სახელმწიფო სესხების ლიმიტები და სასესხო გარანტიები**

1. წლიური საბიუჯეტო კანონი ადგენს ლიმიტებს წლიურ წმინდა სესხებაზე, აგრეთვე, სახელმწიფო ვალის მთლიან ოდენობაზე, რომელიც შეიძლება დაუფარავი იყოს წლის შესაბამის მონაკვეთში. ლიმიტები ცალ-ცალკე დგინდება საშინაო და საგარეო ვალებისათვის. ცალკე ლიმიტირებას ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკიდან აღებული სესხი.

2. წლიური საბიუჯეტო კანონი ადგენს ლიმიტებს სახელმწიფო გარე და შიდა სასესხო გარანტიებზე, რომლებიც შეიძლება გაიცეს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

**მუხლი 41. სესხებისა და გარანტიების გაცემის პროცედურები**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წლიური საბიუჯეტო კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო ვალის აღებისა და სახელმწიფო გარანტიების გაცემის შესახებ

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის დაცვით აიღოს სესხი მისი მიმღებისა და გამცემისათვის მისაღები ნებისმიერი ფორმით. ფინანსთა სამინისტრო თავისუფალია ფინანსური ინსტრუმენტის სახის არჩევისას, მისი მახასიათებლებისა და პირობების ჩათვლით. მონეტარული პოლიტიკის ინტერესების ფარგლებში სამინისტრო მოქმედებს საქართველოს ეროვნულ ბანკთან კონსულტაციის საფუძველზე.

3. „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის დადებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს სახელმწიფო ვალის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებას.

**მუხლი 42. სესხის აღების გამჭვირვალობა**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს სახელმწიფო ვალებისა და სახელმწიფო გარანტიების აღრიცხვას, აგრეთვე, სახელმწიფოს მიერ აღებული და გაცემული სესხების აღრიცხვასა და გადახდას. ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებელია სახელმწიფო ვალის მართვასა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

2. საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშები უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას დაუფარავი ვალის შესახებ.

### თავი V

### აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი

**მუხლი 43. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგია და პასუხისმგებლობა**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საერთაშორისო სტანდარტების პრინციპების საფუძველზე გამოსცემს შესაბამის ნორმატიულ აქტებს, რომლებიც უზრუნველყოფს მხარჯავი დაწესებულებების, სპეციალური სახელმწიფო ფონდების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ სტანდარტული სააღრიცხვო პროცედურებისა და ანგარიშგების მოთხოვნების დაცვას.

2. მხარჯავი დაწესებულებები, სპეციალური სახელმწიფო ფონდები, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებები პასუხისმგებელნი არიან შემოსულობებისა და გადასახდელების ბუღალტრულ აღრიცხვაზე, კონტროლზე და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტებთან მათ შესაბამისობაზე.

3. საკუთარ შემოსავლებთან და გაწეულ ხარჯებთან ერთად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებელია სესხებთან და სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული და კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ოპერაციების ბუღალტრულ აღრიცხვასა და შემოწმებაზე.

**მუხლი 44. შიდა აუდიტი**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ერთობლივად მიღებული (გამოცემული) შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე მხარჯავი დაწესებულება, სპეციალური სახელმწიფო ფონდი, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებები ამტკიცებენ შემოსავლებთან და ხარჯებთან დაკავშირებულ ოპერაციებზე შიდა აუდიტის განხორციელების პროცედურებს. შიდა აუდიტი ხორციელდება მხარჯავი დაწესებულების, სპეციალური სახელმწიფო ფონდის, ავტონომიური და ადგილობრივი ხელისუფლებების ხელმძღვანელების უშუალო ზედამხედველობით.

**მუხლი 45. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშისა და ანგარიშგების მომზადება და წარდგენა**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციების შესაბამისად და დადგენილ ვადებში მხარჯავი დაწესებულებები და სპეციალური სახელმწიფო ფონდები ამზადებენ საბოლოო ანგარიშებსა და ანგარიშგებებს, რომელთა საფუძველზედაც ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშსა და ანგარიშგებას. ეს ანგარიში და ანგარიშგება და საქართველოს კონტროლის პალატის შესაბამისი დასკვნა წარედგინება საქართველოს პარლამენტს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ვადებში.

**მუხლი 46. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშგების შინაარსი**

წლიური ანგარიშგება მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამის ანგარიშებსა და წლიური საბიუჯეტო კანონის შესრულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, კერძოდ:

ა) სახელმწიფო კონსოლიდირებული ფონდის ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;

ბ) დამტკიცებულ ბიუჯეტსა და ფაქტობრივ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ აღნიშნული შეუსაბამობა აღემატება 10 პროცენტს;

გ) მოხსენებას სახელმწიფო ვალის მართვასთან დაკავშირებული ოპერაციების შესახებ, აგრეთვე, ფინანსური გარანტიების თაობაზე, რომელთა გაცემა განხორციელდა სახელმწიფო ვალთან დაკავშირებით;

დ) ანგარიშს საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის სახსრების ხარჯვის შესახებ.

ე) ინფორმაციას გაუთვალისწინებელი ვალდებულებების შესახებ.

**მუხლი 47. საქართველოს კონტროლის პალატის მიერ წლიური ანგარიშების შემოწმება**

საქართველოს კონტროლის პალატა ვალდებულია განახორციელოს ცენტრალური ბიუჯეტის, სპეციალური სახელმწიფო ფონდებისა და ადგილობრივი ხელისუფლების საბოლოო ანგარიშების შემოწმება და შემოწმების შედეგების შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს შესაბამისად საქართველოს პარლამენტს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს. კონტროლის პალატის დასკვნაში უნდა აისახოს, თუ რამდენად ზუსტი და სრულია წარმოდგენილი ანგარიშები.

**მუხლი 48. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების დამტკიცება**

1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების განხილვისა და საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენების მოსმენის შემდეგ საქართველოს პარლამენტი არა უგვიანეს 1 ნოემბრისა იღებს დადგენილებას ანგარიშების დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დაუმტკიცებლობის, აგრეთვე, წლიური საბიუჯეტო კანონის დარღვევის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ნაწილში მთავრობის საქმიანობა მიიჩნიოს არადამაკმაყოფილებლად და საქართველოს პრეზიდენტის წინაშე დასვას აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით მისცეს პრეზიდენტს რეკომენდაციული ხასიათის წინადადებები.

**მუხლი 49. ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების წლიური ანგარიშების მომზადება, წარდგენა და დამტკიცება**

ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი ბიუჯეტების წლიური ანგარიშების მომზადება, წარდგენა და დამტკიცება ხორციელდება ამ თავში განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

### თავი VI

### პასუხისმგებლობა კანონის დარღვევისათვის

**მუხლი 50. პასუხისმგებლობა**

ამ კანონის დამრღვევი პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### თავი VII

### გარდამავალი დებულებანი

**მუხლი 51. მისაღები ნორმატიული აქტები**

1. ამ კანონის მიღებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს შემდეგი ნორმატიული აქტების პროექტები:

ა) საქართველოს კანონის პროექტი „ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ“;

ბ) საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო ხაზინის შესახებ“;

გ) საქართველოს კანონის პროექტი „საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის განაწილებისა და საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდებიდან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ნორმატივების შესახებ“;

დ) საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“;

ე) საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შეიმუშავებს და იღებს ამ კანონის ამოქმედებისათვის აუცილებელი ნორმატიული აქტების პროექტებს საბიუჯეტო და სახაზინო საქმიანობის შესახებ.

**მუხლი 52. ძალადაკარგული ნორმატიული აქტი**

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონი.

### თავი VIII

### დასკვნითი დებულებანი

**მუხლი 53. კანონის ამოქმედება**

1. ეს კანონი, გარდა 30-ე მუხლისა, ამოქმედდეს 2004 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის 30-ე მუხლი ამოქმედდეს 2005 წლის 1 იანვრიდან.

**საქართველოს პრეზიდენტი**
**ედუარდ შევარდნაძე.**

**თბილისი, 2003 წლის 24 აპრილი.**

---

ადამიანი დროში

(მესამე გვერდიდან)

# ქართველ მენავთობეთა პატრიარქი

## 30 წელი საყვარელი საქმისა და ქვეყნის სამსახურში

დიდი ღვაწლი მიუძღვის ბატონ რევაზს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის და მისი ნავთობისა და გაზის მრეწველობასთან დაკავშირებული კათედრების და კვლევითი ლაბორატორიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვაში. ამ ფაკულტეტის სასწავლო-ლაბორატორიული მრავალსართულიანი კორპუსი მთლიანად „საქნავთობის“ თანხებით არის აშენებული. 27 წლის მანძილზე იგი ქვეყნის ნავთობის მრეწველობის საინჟინრო-სამეცნიერო საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარეა.

რევაზ თევზაძის მეცნიერული, შემოქმედებითი და ორგანიზატორული მიღწევები სათანადოდაა შეფასებული სამამულო და უცხოური სამეცნიერო წრეების მიერ. იგი არის საქართველოს საინჟინრო და ეროვნული ენერგეტიკული აკადემიების წევრი, ბუნების და საზოგადოების შესახებ მეცნიერების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი.

არასრული იქნებოდა ბატონ რევაზ თევზაძის პიროვნების, საქართველოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარებაში მისი როლის შეფასება, თუ არ შევეხებოდით მის მოღვაწეობას ბოლო წლების განმავლობაში, როდესაც საქართველომ მოიპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ქვეყანაში რადიკალურად შეიცვალა სამეურნეო საქმიანობის გარემო. ასეთ ვითარებაში, როცა ბევრმა ტრადიციულმა საწარმომ და დარგმაც კი ვერ მოახერხა ახალ პირობებთან ადაპტაცია და ფაქტობრივად შეწყვიტა ფუნქციონირება, მან საკმაოდ სწრაფად აუღო ალღო დროის მსვლელობას და მივიდა ერთადერთ სწორ დასკვნამდე, რომ „საქნავთობის“ გადარჩენა შესაძლებელია მხოლოდ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მეშვეობით. აქედან გამომდინარე, „საქნავთობის“ თავკაცმა დაიწყო დარგში მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, უცხოურ ნავთობკომპანიებთან მოლაპარაკებები და მჭიდრო საქმიანი კონტაქტების დამყარება, „საქნავთობის“ შიდა სტრუქტურის რეორგანიზაცია და ახალი გარემოებების გათვალისწინებით დახვეწა.

ყველა ამ მიმართულებით წარმატებული მოღვაწეობის შედეგად და ქვეყნის მეთაურის — ედუარდ შევარდნაძის აქტიური მხარდაჭერით, რევაზ თევზაძემ ჩამოაყალიბა „საქნავთობისა“ და უცხოური ნავთობკომპანიების თანამონაწილეობით რამდენიმე ერთობლივი საწარმო, რომლებმაც უკვე 1995 წლიდან აქტიურად დაიწყეს ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოება საქართველოში.

ამჟამად ქვეყანაში წარმატებით მუშაობს ათამდე ერთობლივი საწარმო, რომელთა საქმიანობაში პარტნიორის სტატუსით თანამონაწილეობენ „საქნავთობი“ და უცხოელი ინვესტორები (ამერიკული, ინგლისური, შვეიცარიული, კანადური, გერმანული და სხვა კომპანიები). დღეისათვის მათ მიერ ინვესტირებულია 200 მლნ დოლარზე მეტი, მოპოვებულია 850 ათას ტონაზე მეტი ნავთობი, 136,4 მლნ კუბმეტრი გაზი, გაბურღულია 40 ათას მეტრამდე საძიებო ჭაბურღილები, ჩატარებულია 3955 გრძივი კმ სეისმური კვლევები; ინერგება დასავლური ტექნოლოგიები და ახალი მეთოდები, რომელთა შედეგები ქმნიან ყველა წინაპირობას საიმისოდ, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში ნავთობისა და გაზის მოპოვება მნიშვნელოვნად გაიზარდოს. ქვეყანაში უკვე გამოვლენილია 2,5 მლრდ ტონა ნავთობისა და 180 მლრდ კუბური მეტრი გაზის რესურსი.

„საქნავთობის“ ინიციატივით ქვეყანაში დაიწყო ახალი ნავთობგადამამუშავებელი სიმძლავრეების მშენებლობა. 1998 წელს ქართულ-ამერიკულმა კომპანიამ ააშენა სამგორის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა „გაორი“. ასევე „საქნავთობის“ მიერ გამოვლენილია და დამუშავების ბოლო სტადიაშია ნავთობის საბადოებზე გაზის მიწისქვეშა გაზსაცავების მშენებლობა. ამის მეშვეობით „საქნავთობი“ ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, ქვეყნის გაზით სტაბილურად მომარაგებას (განსაკუთრებით გაზის პიკური მოხმარების პერიოდში ან სხვა ექსტრემალური ვითარებისას), ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს წიაღიდან დიდი რაოდენობით დამატებითი ნავთობის მოპოვებას.

ბატონი რევაზი „საქნავთობში“ თავისი მოღვაწეობის ოცდაათწლიან იუბილეს ხვდება, როგორც ეროვნული ნავთობის ინტელექტუალური, ინფორმაციული და ტექნოლოგიური პოტენციალის მოთავე.

ჩვენი კოლექტივების სახელით ვულოცავთ მას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, შემოქმედებით აღმავლობას და კვლავაც ქვეყნის საკეთილდღეო მოღვაწეობას.

**გია ითონიშვილი,**
საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსი;

**გიორგი მახარაძე,**
სს ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობის“ გენერალური დირექტორი;

**ზურაბ მგელაძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, აკადემიკოსი.

---

თაობა მოდის

# რატომ ვერ გადადის მოცეკვავეთა ანსამბლში ირინა ხაჩატუროვა

ამ პატარა გოგონამ, თბილისის 136-ე სკოლის მეორე კლასის მოსწავლემ **ირინა ხაჩატუროვამ** უკვე აალაპარაკა საზოგადოება, როგორც გამორჩეული ხედვისა და ხელწერის მხატვარმა. მის შემოქმედებას გულთბილი წერილები უძღვნეს ჟურნალმა „ნაკადულმა“, „მთავარმა გაზეთმა“, „თბილისმა“. მას ხუთი წლის ასაკში დაუწყია „ფერებთან თამაში“, შეჰხაროდა ყველაფერს, რასაც ირგვლივ მისი თვალი ხედავდა — მზეს, ყვავილებს, პეპლებს, სახლებს. მშობლებმა ისნის რაიონის მოსწავლეთა სასახლეში მიიყვანეს. გამოცდილი პედაგოგის — რობერტ ნერსესიანის თვალს არ გამოეპარა ირინას ხალასი ნიჭი, როგორ იოლად ითვისებდა ხატვის ტექნიკას, რა თამამად აზროვნებდა. ეს არ იყო ბავშვის უბრალო გატაცება, რადგან თითოეულ სურათს ღრმა, ფსიქოლოგიური დატვირთვა ჰქონდა. ირინა ხაჩატუროვასთვის სერიოზული გამოცდა იყო კოპენჰაგენის საერთაშორისო კონკურსი, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბავშვთა ათასამდე ნამუშევარში მისი ტილო გამოარჩიეს და სათანადო სერტიფიკატით აღნიშნეს. საჩუქრებიც — ფანქრები, სათლელი, ხელსაწმენდი და მაჯის საათი „დისნეი“ მართლაც საკადრისი იყო!



ამ გამარჯვებით ფრთაშესხმულმა გოგონამ „აიწყვიტა“ — აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ თუ საერთაშორისო გამოფენებში. მისი ნახატები იხილეს თბილისელებმა, თურქებმა, ჩეხებმა, პოლონელებმა... როგორც ისანი-სამგორის ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ჯული დანელია ამბობს, ირინა ხაჩატუროვა მუდმივად მონაწილეობს აქ მოწყობილ თემატურ გამოფენებში, სისტემურად იბეჭდება ჟურნალ „თეთრ წეროში“. მაინც რა მოსწონთ პატარა მხატვრის ნაყალმარში? ორიგინალობა და თემის გადაწყვეტის ხერხები. ამ მხრივ სანიმუშოა მისი „მატრიოშკები“, ნაღმები, რომლებიც ჯერჯერობით უვნებლად აწყვია მიწაში, მაგრამ არავინ იცის, როდის რა ვნებას მოიტანს.

ამას წინათ საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაში ირინა ხაჩატუროვას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა მოეწყო. დამთვალიერებლებმა პირველი სტრიქონები ჩაწერეს შთაბეჭდილებათა წიგნში, რომელიც გოგონამ თვათონვე გააფორმა. „ჩემი პირველი გამოფენა“ — ასე უწოდა მან ამ წიგნს. პირველი, ვინც თავისი შთაბეჭდილება ჩაუწერა, იყო საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე პროფესორი ალექსი გერასიმოვი. „დიდი სიამოვნება მომანიჭა ირინა ხაჩატუროვას პერსონალურმა გამოფენამ. დარწმუნებული ვარ, რომ იგი დიდი მხატვარი გამოვა. დიდი მადლობა სიამოვნებისათვის“ — წერს იგი.

„გაოცებული ვარ ამ ბავშვის ნიჭიერებით. მისი შემოქმედება გამოირჩევა თემის მრავალფეროვნებით. საოცარია ფერთა შეხამება. ყოველ ნახატს აქვს სივრცე და სიღრმე, რაც აკვარელში ძნელი განსახორციელებელია. ვუსურვებ ამ პატარა ხელოვანს ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, მომავალში უფრო დიდ წარმატებებს, — წერს ცნობილი ფოტოხელოვანი ზურაბ დათუაშვილი.

გულთბილ სურვილებს არ იშურებენ სხვა ჩანაწერთა ავტორებიც.

ირინა იმითაც არის დასაფასებელი, რომ არ ავიწყდება თავისი უპირველესი მოვალეობა — სწავლა. სკოლაში ფრიადოსანი, უცხო ენებსაც ეუფლება და ქართულ ცეკვებზეც დადის, ღედიკოსაც ეხმარება და თანატოლებში თამაშსაც ასწრებს. ერთი სიტყვით, ყველასათვის მისაბაძია. ოღონდ ეგ არის, თურმე გემრიელი ნამცხვრები უყვარს, ამიტომ ცოტა წონაში მოიმატა. თუ ამ პრობლემასაც გადაჭრის, მაშინ მოცეკვავეთა ანსამბლში გადაყვანას ჰპირდებიან...

ჩვენ რომ მისი მონდომების ამბავი ვიცით, ამ სურვილსაც უთუოდ შეისრულებს.

**გუჯა რთველაძე.**

**სურათზე: ნორჩი მხატვარი ირინა ხაჩატუროვა.**

**იური მეჩითოვის ფოტო.**

---

სიახლე

# ყველაზე დიდი სიმდიდრე

**„ქართულ მწერლობას დასაბამითვე ეროვნული სატკივარის წარმოჩენა, ცხოვრებისეული პრობლემების ლიტერატურული ასახვა და მათი სიღრმისეული გააზრება ევალებოდა. თხუთმეტსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე სწორედ მწერლობა აიძულებდა ქართველობას, საკუთარ თავში ჩაღრმავებულიყო და ათასგზის ჩიხში მომწყვდეულს ეძია „გზა ხსნისა“.**




**ვფიქრობთ, არც დღეს უნდა იყოს სადავო ქართული მწერლობის ფუნქციის ამგვარი განსაზღვრა, რადგან თვითგადარჩენის ინსტინქტმა სწორედ იქ უნდა იმძლავროს, სადაც ყველაზე დიდი სიმდიდრე, გონებრივი პოტენციალია დაგროვილი“.**

... ამ სიტყვებს ამოიკითხავთ საქველმოქმედო ასოციაცია „კვალის“ (დაფუძნებულია ამერიკაში მცხოვრებ თანამემამულეთა მიერ) მეოხებით გამოცემული წიგნის დასაწყისში — წიგნი წარმოადგენს იმავე საერთაშორისო ასოციაცია „კვალის“ მიერ დაარსებულ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულ ავტორთა რჩეულს (საგამომცემლო სახლი „მარსი“, თბილისი, 2003 წ. კომპიუტერული უზრუნველყოფა შპს „აისი“, მხატვარი გიორგი ბაგრატიონი).

ამ რჩეულში შეგხვდებათ როგორც ნაცნობი, ასევე უცნობი სახელებიც. იმედია, მკითხველი დაინტერესდება კონკურსში გამარჯვებული პროზაიკოსებისა და დრამატურგთა ქმნილებებით, რომელთა ავტორებიც არიან ირაკლი სამსონაძე („ყურთბალიში“), გელა ჩქვანავა („მზის პრემიის ლაურეატები“), ეკა ღაღანიძე („აჯაფსანდალი“), თამარ ფხაკაძე („ორმაგი დღე“).

ეს რაც შეეხება პროზას.

დრამატურგიის ნაწილი კი მოიცავს ვანო ჩხიკვაძის („მონოლოგი ერთი მსახიობის თეატრისათვის“), თამაზ ჭილაძის („ნადირობის სეზონი“), მამუკა დოლიძის („თამაშგარეთ დარჩენილ თეატრში“), ელისაბედ ყვავილაშვილის („ძირითადი ინსტინქტი“), მანანა დოიაშვილის („თამაში რემარკის გარეშე“) პიესებს.

აი, სწორედ ამ კრებულის წარდგინებაა დღეს გათვალისწინებული ეროვნული ბიბლიოთეკის III კორპუსში, 17 საათზე.

**ნანა ღვინეფაძე.**

## შ.პ.ს. „GTS-ლადა ვაზი"

ს.ს. „ავტოვაზის" ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში

გთავაზობთ თბილისში:

- ს.ს. "ავტოვაზის" წარმოების ავტომანქანებს განბაჟების, ნომრების და საგარანტიო მომსახურების ჩათვლით

ვაზ – 21214[1]* "ნივა" (ინჟექტორით)
ვაზ – 21213 "ნივა" (კარბურატორით)
ვაზ – 21074 (1600სმ³ ძრავით)
ვაზ – 21099[2]* (ინჟექტორით)

შენიშვნა:
[1]* ავტომანქანა ვაზ 21214 დამზადებულია "EVRO2"-ის სტანდარტების შესაბამისად და აღჭურვილია საქარხნო გატაცების საწინააღმდეგო იმობილაიზერით და ტონირებული მინებით.
[2]* ვაზ 21099-ის ფასში გათვალისწინებულია "მეტალიკის" ფერის ღირებულება. აგრეთვე ცენტრალური საკეტი და ტონირებული მინები

- ავტომობილები ჩამოყვანილია სპეცვაგონებით, აქვს ნულოვანი გარბენა;
- გაყიდვა წარმოებს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით;
- შესაძლებელია ავტომობილების გარანტიით გაყიდვა 6 თვის ვადით ან 11.000 კილომეტრი გარბენით; იყიდება ავტომობილები 18 - 24 თვის განვადებით
- წინასწარ ავტომანქანის პარტიის (მინიმუმ 10 მანქანა) შეკვეთის შემთხვევაში მიწოდების ვადა 45-60 დღე ხელშეკრულების გაფორმების დღიდან;
- მცირე პარტიის (მინიმუმ 5 ავტომანქანის) შეძენისას შესაძლებელია ფასდაკლება;

საკონტაქტო ტელეფონები: (995 32) 55 21 19, მობილური (995 99) 55 12 94, (995 99) 55 69 14
მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი 7 (ცეკავშირის შენობა), ოთახი 510, 514
E-mail: gtsladavazi@mail.ru


## საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის (PCC)

## განცხადება

საქართველოს მთავრობამ, მსოფლიო ბანკის დახმარებით, მოამზადა საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) და გარემოს დაცვის მსოფლიო ფონდის (GEF) ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი (ARET). პროექტი რატიფიცირებული იქნა პარლამენტის მიერ და 2001 წლის თებერვალში გახდა ეფექტური. პროექტი ბიძგს მისცემს ეფექტიანი და რენტაბელური სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელების სისტემის განვითარებას: (1) ფერმერულ მეურნეობებში გამოყენებითი კვლევებისა და ტექნოლოგიების დანერგვა-გავრცელებას საკონკურსო გრანტების სისტემის ჩამოყალიბებით, (2) სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების სისტემის ინსტიტუციური რეფორმით, (3) შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეების სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებით დაბინძურების შემცირებით.

ინსტიტუციური რეფორმის პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობისა და მეხილეობის კათედრების რეფორმის პროგრამის განხორციელებას, მონიტორინგსა და შეფასებას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი — მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი აცხადებს კონკურსს კონსულტანტის (იურიდიული პირის) შერჩევის მიზნით, რომელიც მოამზადებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაზმომარაგების პროექტს (ტექნიკური პირობა, სამშენებლო ნახაზები, სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა, სამუშაოსათვის საჭირო მასალათა სპეციფიკაცია).

კონკურსში გამარჯვებული შეირჩევა მსოფლიო ბანკის შესაბამის სახელმძღვანელოში „მსოფლიო ბანკის სესხის ამღებების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება", 1997 წლის იანვარი (გადასინჯულია 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში) მითითებული პროცედურების შესაბამისად.

პროექტების საკოორდინაციო ცენტრი იწვევს კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე კონსულტანტებს, რომ მათ გამოხატონ ინტერესი ზემოაღნიშნული მომსახურების განსახორციელებლად. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია (ბროშურები, მსგავსი ხასიათის სამუშაოების აღწერა, შესაბამისი კვალიფიკაციის მუშაკების არსებობა, ფინანსური შესაძლებლობები, იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, ლიცენზია აღნიშნული მომსახურების განხორციელებისათვის და სხვა) იმის შესახებ, რომ მათ გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია ამ მომსახურების განხორციელებისათვის.

კონკურსით დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე (შაბათკვირის გარდა) 10 სთ-დან 17 სთ-მდე.

საკონკურსო განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა: 2003 წლის 13 ივნისის 11 საათი. განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საჯარო სამართლის იურიდიული პირის — მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ოფისი, კოსტავას 41, მე-5 სართული, ოთახი 540.
ტელ/ფაქსი: 934651,
ე-ფოსტა: office@adpcc.org.ge

დავა

# ვინ ვის ავიწროებს?!

ᲒᲐᲖᲔᲗ „საქართველოს რესპუბლიკის" მიმდინარე წლის 4 მაისის ნომერში რუბრიკით „გზა სამართლისკენ" გამოქვეყნდა სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის" წერილი სათაურით „ფრთხილად, ცრუ მეწარმე ავიწროებს". ეს წერილი გახლავთ პასუხი ჩვენი სამსახურის მიერ ამავე გაზეთში 2002 წლის 10 იანვარს გამოქვეყნებულ პუბლიკაციაზე. ახლა იმის შესახებ, თუ ვინ ვის ავიწროებს.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1994 წლის 25 ივლისის დადგენილებით ჩვენი სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი პოლიგრაფიული საწარმო „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი" დაფუძნდა სააქციო საზოგადოებად. პრივატიზაციის გეგმისა და ქონების შეფასების აქტების თანახმად „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის" საწესდებო კაპიტალი შეადგენს 24.352,9 ათასი მანეთის ღირებულების 3960 კვ. მ. შენობის ფართობს, რასაც ოფიციალურად ადასტურებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო 2001 წლის 17 ივლისის №09-1053/6-1 წერილით. ამრიგად, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ადასტურებს, რომ გაყიდა მხოლოდ 3960 კვ. მ. შენობის ფართობი. კომბინატის მიერ სამინისტროში წარდგენილ საპრივატიზაციო დოკუმენტებში, მათ შორის, ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციისა და გადაფასების შედეგების უწყისში არსად არ ფიგურირებს შენობის სხვა ფართობი, გარდა, ვიმეორებ, 3960 კვადრატული მეტრისა, რომელიც ამ საწარმოს ბალანსზე ირიცხებოდა და რომელიც სახელმწიფომ გადასცა სააქციო საზოგადოებას დაფუძნებისას. [illegible] 1994 წლის 19 ოქტომბერს გაცემული გენგეგმა, რომელზეც კომბინატი წარმოდგენილია მარჯანიშვილის ქ. №5-ში მდებარე შენობა-ნაგებობათა მფლობელად.

II. ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის უფროსის მოადგილის ა. სანიკიძის მიერ 1996 წლის 24 იანვრის თარიღით კომბინატის სახელზე გაცემული არ არის ამ საწარმოს, არამედ „წიგნის სასახლის" მთელი შენობა-ნაგებობების ტექნიკური პასპორტი.

ჩვენს შეკითხვაზე, რა უფლებით და რის საფუძველზე გასცა ტექნიკური პასპორტი, [illegible] ორი დოკუმენტი წარმოადგინა: პირველი — საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1995 წლის 20 ივლისის №5/152 დადგენილება და მეორე — საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1997 წლის №06-7/2109 წერილი.

ამ ორი დოკუმენტიდან არც ერთი არ წარმოადგენს ტექნიკური პასპორტის გაცემის არავითარ საფუძველს.

ახლა მივუბრუნდეთ 4 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილს, რომელიც სავსეა აბსურდული მოსაზრებებით. ერთ-ერთი ასეთი აბსურდული მოსაზრება [illegible] მის მე-15 პუნქტისა, არ არის დაფიქსირებული „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის" საწესდებო კაპიტალში შესული შენობის ფართობი კვადრატულ მეტრებში. ან, საერთოდ, როგორ შეიძლება პრივატიზაციის გეგმაზე იმსჯელო, არა როგორც სერიოზულ იურიდიულ დოკუმენტზე, რომლის საფუძველზეც ხდება სააქციო საზოგადოებად დაფუძნება, არამედ როგორც რებუსზე, და იმის დასამტკიცებლად, რომ საწესდებო კაპიტალში, თითქოსდა, მხოლოდ 3960 კვ. მ. არ არის შესული, წარმოადგინო ასეთი სასაცილო განმარტება: „ქართული ენის გრამატიკის ცოდნაა საჭირო, რომ გაიგო მე-15 პუნქტში გამოყენებული მაქვემდებარებელი კავშირით გამოხატული აზრი. ასეთი კავშირი მიუთითებს, რომ ციფრი 3960 აკონკრეტებს მის წინ მოყვანილ ციფრს და ამ ციფრით გადმოცემულ აზრს".

რა არის ეს, თუ არა რებუსი-გამოცანა?! რა მაქვემდებარებელ კავშირზეა საუბარი, რისი უკანა ციფრის მიერ წინა ციფრის დაკონკრეტებას გვთავაზობენ, ან, საერთოდ, რატომ უნდა ვიმარჩიელოთ, წინა ციფრით რა აზრია გადმოცემული უკანა ციფრის დასაზუსტებლად, ან პირიქით, უკანა ციფრის მიერ წინა ციფრის დასაზუსტებლად. ქართული ენისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩინური ენის ცოდნა კი ნამდვილად საჭიროა ამ აბდაუბდაში გასარკვევად. ფაქტი სახეზეა: ს/ს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის" საწესდებო კაპიტალში პრივატიზაციის გეგმის შესაბამისად შესულია მხოლოდ 3960 კვ. მ. ფართობის შენობა, და ვერავითარი მაქვემდებარებელი კავშირი ამ ციფრს ვერ შეცვლის.

ს/ს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატმა" თავის საგაზეთო წერილში საგანგებოდ მიიჩნია ჩვენთვის იმის შეხსენებაც, რომ პრივატიზაციის გეგმისა და ქონების შეფასების აქტების შედგენაში თავად ჩვენი სამსახურის ხელმძღვანელი მუშაკები მონაწილეობდნენ. ეს მართლაც ასეა. იმ ხანად პოლიგრაფიულ საწარმოებს საქართველოს პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის სამსახურის თავმჯდომარის მაშინდელი მოადგილე კურირებდა. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში სწორედ მის მიერ იქნა წარდგენილი და ვიზირებული „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის" სააქციო საზოგადოებად დაფუძნების დოკუმენტაცია, რომელიც იყო არასრულყოფილი და შეიცავდა მნიშვნელოვანი ხასიათის უზუსტობებს.

საწესდებო კაპიტალის მოქმედი კანონმდებლობით ფორმირების თაობაზე ს/ს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი" თავის წერილში იხსენიებს საქართველოს კონტროლის პალატის მიერ 1996 წლის 1 მარტის ბრძანების საფუძველზე ჩატარებული შემოწმების აქტს, რომელსაც, სხვათა შორის, ოსტატურად იყენებს ხოლმე წაყენებული ბრალდებისაგან სასამართლოებში თავის დასაცავად. იძულებული ვართ მკითხველს დაწვრილებით გავაცნოთ ამ აქტის შექმნის გარემო და მისი ობიექტურობა.

საქართველოს კონტროლის პალატის 1996 წლის 1 მარტის №193 ბრძანებით [illegible] „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის" [illegible] რომლებსაც კომბინატში შემოწმების ჩატარების პერიოდში ჰქონდათ საკმაოდ დიდი და თანაბარი რაოდენობის აქციები. სწორედ ეს იყო, ალბათ, მიზეზი იმისა, რომ კონტროლის პალატის წარმომადგენლებმა ისე ჩაატარეს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის" სააქციო საზოგადოებად დაფუძნების კანონიერების შემოწმება, ჩვენი სამსახურიდან არ გამოუთხოვიათ არავითარი დოკუმენტი და, საერთოდ, უგულებელყვეს ჩვენი სამსახურის მუშაკების რაიმე სახით ჩართვა შემოწმების პროცესში. და ეს მაშინ, როდესაც შემოწმების აქტი შეადგინეს ს/ს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის", ანუ იმ დაწესებულების ხელმძღვანელებთან ერთობლივად, რომელი დაწესებულების საქმიანობის შემოწმებასაც ვითხოვდით კონტროლის პალატისაგან. ამის ნათელი დასტურია აქტზე კონტროლის პალატის ორი, ხოლო ს/ს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის" ოთხი თანამშრომლის, მათ შორის, დირექტორის, მისი მოადგილის, ეკონომიკური განყოფილების უფროსისა და მთავარი ბუღალტრის ხელმოწერები, და, საერთოდ, შემოწმების აქტის აშკარა ტენდენციურობა, დოკუმენტების მახინჯი ინტერპრეტაცია და სხვა ლაფსუსები.

შემმოწმებლებმა ისე დაასრულეს შემოწმება, რომ არ გამოურკვევიათ, როგორ აღმოჩნდა ს/ს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის" მესვეურთა ხელში 13805 კვ. მ. ფართობის შენობა-ნაგებობათა ტექნიკური პასპორტი (ისიც დაფუძნებიდან ორი წლის შემდეგ), როდესაც ამ საწარმოს საწესდებო კაპიტალში შესულია მხოლოდ 3960 კვ. მ. ფართობის შენობა-ნაგებობანი. არ გამოურკვევიათ ისიც, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში წარდგენილ სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში რატომ არ არსებობს კომბინატის შენობის ტექნიკური პასპორტი, ნახაზები, [illegible] სასამართლოს თავმჯდომარეს ი. ბაჩიაშვილს წარუდგინა აღნიშნულ შენობა-ნაგებობათა კუთვნილების თაობაზე წარმოქმნილ დავასთან დაკავშირებით. აი, რას ვკითხულობთ ამ წერილის დასკვნაში: „ქ. თბილისში, უზნაძის ქ. №18-ში და მარჯანიშვილის ქ. №5-ში განლაგებული შენობა-ნაგებობების პრივატიზება მოხდა კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 48-ე, 148-ე მუხლების, სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 9 აგვისტოს კანონის 23-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, აღნიშნული სახელმწიფო ქონების — ქ. თბილისში, უზნაძის ქ. №18-ში და მარჯანიშვილის ქ. №5-ში განლაგებული შენობა-ნაგებობების პრივატიზების ხელშეკრულება ექვემდებარება გაბათილებას.

დაბოლოს, რეზიუმეს სახით მკითხველს ერთხელ კიდევ შევახსენებთ, რომ:

**ს/ს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის" საწესდებო კაპიტალში საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში წარდგენილი პრივატიზაციის გეგმისა და ქონების შეფასების აქტების თანახმად შესულია ამ საწარმოს 3960 კვ. მ. ფართობის შენობა, რომლის ღირებულება შეადგენს 48534 ლარს.**

**სააქციო საზოგადოებად დაფუძნების შემდეგ — 1994 წლის 19 ოქტომბერს ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის უფროსის მოადგილემ ა. სანიკიძემ ს/ს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის" სახელზე გასცა ყალბი გენგეგმა, რომლის საფუძველზეც კომბინატი უკანონოდ დაესაკუთრა 9100 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთს.**

**1996 წლის 24 იანვარს ქ. თბილისის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის უფროსის მოადგილემ ა. სანიკიძემ ს/ს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის" სახელზე კვლავ გასცა ყალბი დოკუმენტი — ამჯერად მთელი სადავო შენობა-ნაგებობების ტექნიკური პასპორტი, რომლის საფუძველზე კომბინატმა მიითვისა დიდი ოდენობის ქონება, რომელიც შეადგენს 8597 კვ. მ.**

**ასეთია რეალობა და ვერავითარი სიყალბე, მოსამართლეთა მოსყიდვის მცდელობა და სხვა არამართლზომიერი ქმედება წინ ვერ აღუდგება სიმართლეს.**

**საქართველოს პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის სამსახური.**


## მიმდინარეობს ლიკვიდაციის პროცესი

სს კბ „მერკურში", მიმდინარეობს ლიკვიდაციის პროცესი. მეანაბრეებმა მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი 7, ცეკავშირის შენობა, მე-6 სართული, ოთახი 625, ტელეფონი 442-421 ან ვაჟა-ფშაველას 32-ა, ბანკი „მერკური".

მიმდინარეობს შპს სადაზღვევო სააგენტო „ალდაგის შიდა ქართლის" ლიკვიდაცია. შესაძლო კრედიტორებს შეუძლიათ დაკავშირება

ქ. თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, I მკრ, კორპ. 13, ბ. 20.
ტ.: 32-75-14, 899 96-64-44.

## საკონკურსო წესით



წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდი საკონკურსო წესით სამუშაოზე მისაღებად იწვევს მშენებლობის (მათ შორის, სასურველია საკულტო ნაგებობათა) ორგანიზაციის არანაკლებ ათი წლის გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციურ ინჟინერ-მშენებლებს, წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდის ორგანიზაციებში სამუშაოდ.
დაწვრილებითი ცნობებისათვის, საკონტაქტო ტელეფონები: 92-35-68, 99-63-03.


# მიწვევა ტენდერზე

1. საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველო, თბილისი 380060, გაგარინის ქ. 29 ა აცხადებს ორეტაპიან ღია ტენდერს **ა.** ქუთაისი-ხონი-სამტრედიის ს/გზის კმ. 10-15 მონაკვეთის რეაბილიტაციის; **ბ.** ახალციხე-ნინოწმინდა-სომხეთის საზღვრის ს/გზის 67, 68, 69, 70, 87, 88, 89 კმ-ის რეაბილიტაციის; **გ.** ზესტაფონი-ბაღდათის ს/გზის კმ. 1-კმ. 10 მონაკვეთის რეაბილიტაციის; **დ.** ქ. რუსთავისა და გარდაბნის დამაკავშირებელი მშენებელთა ქუჩის პერიოდული შეკეთების; **ე.** გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის ს/გზის მე-14 კმ.-ში არსებული რკ/ბეტონის მილის მოწყობის; **ვ.** თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზაზე, ქ. გორის შემოსავლელი ს/გზის 87-ე კმ.-ზე მეწყერული მოვლენების შედეგად დაზიანებული მილის რეაბილიტაციის; **ზ.** თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 84-ე კმ.-ში გზაგამტარზე მალთანაშენის საყრდენი ნაწილის აღდგენისა და ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოების ანალოგიური სახის მომსახურებისათვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად საპროექტო ორგანიზაციებს.

უნდა განხორციელდეს: 1. საველე საკვლევაძიებო და კამერალური სამუშაოები; 2. პროექტისა და ს/გზების რეაბილიტაციის, პერიოდული შეკეთების, მილის მოწყობისა და რეაბილიტაციის და მალთანაშენის საყრდენი ნაწილის აღდგენის სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო სატენდერო დოკუმენტაციის შედგენა.

საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის ეგზემპლარების რაოდენობა – 7 ცალი.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ღირებულების განსაზღვრა კონკურსში მონაწილე საპროექტო ორგანიზაციის მიერ, თავისი ძალებითა და სახსრებით (ანაზღაურების გარეშე) მოხდება შესასრულებელი სამუშაოების ადგილზე დათვალიერებისა და შეფასების მიხედვით.

2. მომსახურების გაწევის ვადაა 07.07.03-07.07.04 წ.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები, სადაც ასახული იქნება თავიანთი ზოგადი მოსაზრებები, თუ როგორ განახორციელებენ აღნიშნულ საპროექტო სამუშაოებს და ამ სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, სატენდერო კომისიას ქართულ ენაზე უნდა წარუდგინონ ღირებულების გარეშე, დალუქული კონვერტებით 13.06.03-დან 16.06.03-ის დღის 4 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი, მე-13 სართული, ოთახი № 13, საკონკურსო სამმართველოს შესყიდვების განყოფილება.

კომისია პირველ ეტაპზე განიხილავს მოწვეული საპროექტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებს, რის საფუძველზეც განისაზღვრება პრეტენდენტები, ხოლო შემდეგ მოხდება შერჩეული პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი პირველადი სატენდერო წინადადებების განხილვა.

პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი პირველადი სატენდერო წინადადების შეფასებისას მხედველობაში მიიღება მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

საპროექტო სამუშაოები უნდა შესრულდეს არსებული ნორმებისა და წესების დაცვით.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა. ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ. ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ. ცნობას შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა. ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ. ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გარდა ამისა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

– მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით); რეგისტრაციის ადგილი; მოღვაწეობის ადგილი; წესდება:

– უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გაწეული მომსახურების საერთო მოცულობა ლარებში. ტენდერში მონაწილეს ბოლო 5 წლის განმავლობაში ერთ-ერთ წელს მაინც უნდა ჰქონდეს შესრულებული არა ნაკლებ 200 000 ლარის ღირებულების საპროექტო სამუშაოები;

– უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური ხასიათისა და სირთულის მომსახურება (მომსახურების დასახელების, შემსყიდველის დასახელების და ხელშეკრულების ღირებულებების ჩვენებით). ტენდერში მონაწილეს ბოლო 5 წლის განმავლობაში, ან მოცემულ პერიოდში უნდა გააჩნდეს ორი ან მეტი ანალოგიური ხასიათის და სირთულის სამუშაოთა შესრულების გამოცდილება, რომელთაგან თითო ობიექტის ღირებულება იქნება არანაკლებ 50 000 ლ. (მხედველობაში მიიღება ის სამუშაოები, რომლებიც დღევანდელი დღისათვის 70 პროცენტით მაინც არის დასრულებული);

– მომსახურების გაწევისათვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარები (მიუთითეთ მოწყობილობა-დანადგარების სახე, რაოდენობა, მოდელი და ასაკი). ტენდერში მონაწილეს უნდა გააჩნდეს აღნიშნული საპროექტო მომსახურების გაწევისათვის საჭირო ყველა მოწყობილობა-დანადგარები;

– ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება (მიუთითეთ თანამდებობა, გვარი, სახელი, მუშაობის საერთო და ანალოგიურ თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილებები წლების ჩვენებით). ტენდერში მონაწილე საპროექტო ორგანიზაციის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავე პერსონალის მუშაობის საერთო გამოცდილება არ უნდა იყოს 10 წელზე ნაკლები, ხოლო ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება კი – 5 წელზე ნაკლები;

– ლიცენზია;

– ინფორმაცია სუბ-კონტრაქტორის შესახებ. სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში პრეტენდენტმა წინასწარ უნდა შეუთანხმოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორის ვინაობა და მასზე გადასაცემი ობიექტის დასახელება.

– მონაწილე (ხელმძღვანელი) ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება, ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 20.06.03.-დან 23.06.03.-ის დღის 6 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი, მე-13 სართული, ოთახი №13, საკონკურსო სამმართველოს შესყიდვების განყოფილება.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი, მე-13 სართული, ოთახი №13, საკონკურსო სამმართველოს შესყიდვების განყოფილება (საკონტაქტო ტელეფონი 37-63-95, გია დიასამიძე).

შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვით.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# ● ერაყის ომისშემდგომი მოწყობისათვის
# ● ბავშვები ფეხბურთს თამაშობდნენ... სასაფლაოზე
# ● 11 სექტემბრის ცნობილმა მოვლენებმა მრავალი საოცარი პროექტი დაბადა

## მსოფლიოს 15 ქვეყანა გაგზავნის ჯარებს ერაყში ვითარების სტაბილიზაციაში მონაწილეობისათვის

სადღეისოდ მსოფლიოს 15 ქვეყანა დათანხმდა გაგზავნოს ჯარები საერთაშორისო ძალებში მონაწილეობისათვის, რომლებიც შეუწყობენ ხელს ქვეყანაში ვითარების სტაბილიზაციას, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მოადგილემ პოლიტიკურ საკითხებში დუგლას ფაიტმა. როგორც მან აღნიშნა, ივლისისათვის დამატებით შეიქმნება ორი „მრავალეროვნული დივიზია", რომლებსაც ბრიტანელები და პოლონელები უხელმძღვანელებენ. ამ დივიზიებს დაეკისრებათ ერაყის ტერიტორიაზე უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანების შესრულება. პენტაგონს ეს მთავარ ამოცანად მიაჩნია, რომლის განხორციელებაზეც მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული წარმატების მიღწევა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური აღდგენის საქმეში, დასძინა ფაიტმა.



ამჟამად ბაღდადში იმყოფება კოალიციის ძალების 45 ათასი სამხედრო მოსამსახურე. ამ რაოდენობის თითქმის ნახევარი აქტიურად მონაწილეობს წესრიგის დამყარება-შენარჩუნების ოპერაციებში. ერაყის დედაქალაქში ყოველდღიურად ხორციელდება 500 საპატრულო მისია, სახელმწიფო დეპარტამენტი კი აპირებს იქ გაგზავნოს ათასი ექსპერტი, რომლებიც შეუწყობენ ხელს ეროვნული პოლიციის ფორმირებას.

პენტაგონის შეფასებით, „ბაღდადში უშიშროების სფეროში არსებული ვითარება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა", ქვეყნის ტერიტორიის დანარჩენ ნაწილში კი იგი „სტაბილურია". თუმცა, ერაყის სამხრეთში კვლავ გრძელდება „ცალკეული კონფლიქტები" მუსლიმან-სუნიტებსა და შიიტებს შორის, ჩრდილოეთში კი — არაბებსა და ქურთებს შორის.

## ბასრაში იპოვეს კიდევ ერთი სამმო საფლავი

სამხრეთ ერაყის ქალაქ ბასრაში იპოვეს კიდევ ერთი სამმო საფლავი. როგორც ამერიკის რადიო იტყობინებოდა ქუვეითიდან, ამ მასობრივი სამარხის პოვნაში ამერიკელებს დაეხმარა ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრები, რომელიც მოწმე იყო იმ საზარელი მოვლენებისა, როცა 1991 წელს შიიტთა სტიქიური აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ერაყის არმია სასტიკად უსწორებდა ანგარიშს ქალაქის მოსახლეობას.

საფლავი მდებარეობდა ქალაქის ცენტრში, სკოლის ტერიტორიაზე. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, ერაყელმა ჯარისკაცებმა დახოცილთა გვამები ჩაყარეს ორმოში და ჩააბეტონეს. ამ მოედანს ბავშვები მრავალი წლის განმავლობაში ფეხბურთის სათამაშოდ იყენებდნენ.

სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ, ერაყში პრაქტიკულად ყოველდღე პოულობდნენ დიქტატორის მიერ დატოვებულ სისხლიან კვალს. მაგალითად, მაისში ერაყის გაზეთები წერდნენ, რომ საუდის არაბეთის მოსაზღვრე მუთანის პროვინციაში იპოვეს 15 სამმო საფლავი. მანამდე კი ბაბილის პროვინციის ქალაქ ელ-მუსაიბში აღმოაჩინეს სამმო საფლავი, რომელშიც 43 კაცის ნეშტი იპოვეს.



ერაყის ეროვნული კონგრესის მონაცემებით, სადამ ჰუსეინის რეჟიმმა სიკვდილით დასაჯა მილიონზე მეტი კაცი. სავარაუდოდ, ერაყში მდებარე ყველა ასეთ უსახელო სამარხში უამრავი ადამიანი უნდა განისვენებდეს.

## სუპერბალახი და ფუტკრები — ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში

იმ ახალ ტექნოლოგიებს შორის, რომლებსაც იყენებს ამერიკის ზოგიერთი სამართალდამცავი ობიექტი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხშირად საკმაოდ უჩვეულოებიც გვხვდება. ერთ-ერთი ასეთი ინიციატივაა ბიოლოგ ჯუნ მედფორდის წინადადება ბალახის სპეციალური „ანტიტერორისტული" ჯიშის გამოყენების შესახებ.

ეს იდეა ითვალისწინებს ბალახის გენეტიკურ მოდიფიკაციას ისე, რომ მან, ლაკმუსის ქაღალდივით იცვალოს ფერი ჰაერში, ან მიწაში მავნე ქიმიკატების აღმოჩენის შემთხვევაში. ყოველივე ამან ძალზე დააინტერესა პენტაგონი. კოლორადოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელშიც მედფორდი მუშაობს, მიიღო 500 ათასი დოლარის ოდენობის გრანტი.



თუ მედფორდის გამოკვლევები წარმატებით დასრულდება, ალბათ, ყოველი ამერიკელის სახლის წინ იხარებს ქიმიური შეტევის ადრეული შეტყობინებისათვის გამიზნული კარგად შეკრეჭილი და მოვლილი სისტემა. „ხალხმა სხვაგვარად დაიწყო აზროვნება 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, — თქვა მეცნიერმა, — და პენტაგონში მითხრეს, რომ არ იქნებოდა ურიგო მოგვესინჯა, რა გამოვიდოდა ამით. თუ ეს გაამართლებს, შეიძლება უდიდეს პროგრესად ჩაითვალოს".

ეს მხოლოდ ერთი მაგალითია იმის, თუ როგორ ცდილობს პენტაგონი გამოიყენოს ბუნებრივი კომპონენტები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. არის სხვა მაგალითებიც.

კერძოდ, ვირჯინიის შტატის ქალაქ რიჩმონდიში მეცნიერთა ჯგუფი ბიოლოგ კარენ კესტერის ხელმძღვანელობით ცდილობს „ასწავლოს" ხოჭოებს, ფუტკრებს და ჭრიჭინებს ქიმიურ და ბიოლოგიურ აგენტებზე რეაგირების მოხდენა. თუმცა, ამ პროგრამაში რაიმე პროგრესის მიღწევის შესახებ ჯერჯერობით არ იტყობინებიან. პროგრამის მთავარი იდეაა ის, რომ ფუტკრებმა თაფლის ნაცვლად მავნე ნივთიერებები შეაგროვოს და სინჯები მიუტანოს სამხედროებს, რომლებიც შეძლებენ მათ შესწავლას და იმის შეტყობას, თუ რომელი ნივთიერება გამოიყენეს ტერორისტებმა. ადამიანებისგან განსხვავებით, ფუტკრებს მთელი დღე-ღამის განმავლობაში შეუძლიათ მუშაობა, გარდა ამისა, მათ არც ქიმიური დაცვისათვის განკუთვნილი ძვირადღირებული კოსტიუმები დასჭირდება, მიაჩნია კესტერს.



პენტაგონში არც უფრო ტრადიციულ ტექნოლოგიებზე ამბობენ უარს, რომლებიც, ჯერჯერობით მხოლოდ სამეცნიერო-ფანტასტიკურ ფილმებში გვხვდება.

მაგალითად, ჩიკაგოს ერთ-ერთი კომპანია მუშაობს დნმ-ს ანალიზისათვის განკუთვნილი პორტატიული მოწყობილობის შესაქმნელად. მის გამოყენებას ის პირებიც კი შეძლებენ, რომლებსაც სპეციალური სამედიცინო განათლება არ გააჩნიათ. ამ მოწყობილობის მეშვეობით შესაძლებელი იქნება დიაგნოზის ოპერატიულად დასმა, მაგალითად, ვირუსის დნმ-ს გაშიფვრა, აგრეთვე, იმის შეტყობა, დაავადებულია თუ არა ადამიანი ყვავილით. ამ მოწყობილობით შესაძლებელი იქნება აგრეთვე, წყალში ყველა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების გამომწვევი მიკრობების არსებობის დადგენა.

იგი ასევე ძალზე წაადგება საფოსტო განყოფილებების მუშაკებს, რომლებსაც აღარ მოუწევთ ყველა იმ კონვერტის გაგზავნა ექსპერტიზაზე, საეჭვო თეთრ ფხვნილს რომ შეიცავენ.

კალიფორნიის SRI International კვლევითი კომპანია მუშაობს უნივერსალური პორტატიული ავტომატური თარჯიმნის შექმნისათვის, რომლითაც პერსპექტივისათვის აღჭურვავენ ყველა მებაჟეს აეროპორტებში და ჯარისკაცებს საზღვარგარეთ, რათა უფრო ადვილად დაამყარონ კონტაქტი უცხოელებთან. ახლა შეიქმნა მისი სამრეწველო პროტოტიპი.

მრავალმა ასეთმა პროექტმა მიიღო სახელმწიფო დაფინანსება 11 სექტემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ. სახელმწიფო მოხელეებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ ყველა გამოკვლევა ვერ დასრულდება ნამუშევრის სამრეწველო დანერგვით, მაგრამ ისინი მზად არიან გაიღონ დიდი ფული მეცნიერთა დასახმარებლად, რადგან ამ ნამუშევართაგან რამდენიმემ მაინც შეიძლება მოიტანოს სარგებელი და რევოლუციაც კი მოახდინოს ტერორისტული აქტების თავიდან აცილების საქმეში.

## რა არ ხდება...

დაგეგმილია შარონისა და აბასის შეხვედრა. 4 ივნისს კი ისრაელისა და პალესტინის ავტონომიის პრემიერ-მინისტრები მოლაპარაკებას გამართავენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჯორჯ ბუშთან. როგორც ვარაუდობენ, შეხვედრის დროს განიხილავენ ახლო აღმოსავლეთში ვითარების მოწესრიგების გეგმას — ეგრეთ წოდებულ „საგზაო რუკას".

* * *

ბელგიაში გარდაიცვალა ნობელის პრემიის ლაურეატი ილია პრიგოჟინი. ნობელის პრემია ქიმიის დარგში მას მიენიჭა 1977 წელს თერმოდინამიკაში შეუქცევადი პროცესების შესახებ ნაშრომებისათვის და, განსაკუთრებით, დისიპატიური სტრუქტურების თეორიისათვის.

* * *

იაკ-42 თვითმფრინავის კატასტროფის შედეგად დაღუპულთა ნათესავები მოითხოვენ ესპანეთის თავდაცვის მინისტრის გადადგომას. მათი აღშფოთება გამოიწვია იმან, რომ ესპანელთა ჯარების გადაყვანისათვის თავდაცვის სამინისტრო იყენებს არა ესპანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებს, არამედ უკრაინის კომერციული ავიაკომპანიებისაგან იჯარით აღებულ თვითმფრინავებს, რომლებიც, მათი აზრით, არასაიმედოა.

* * *

ტონი ბლერის კაბინეტს ზედმეტად ხელგაშლილობაში ადანაშაულებენ. მას შემდეგ, რაც ბლერი მოვიდა ხელისუფლების სათავეში, მისი კაბინეტის მინისტრებმა თითქმის სამჯერ გაზარდეს ალკოჰოლური სასმელების, დელიკატესებისა და სხვა სიამოვნებისათვის გათვალისწინებული ხარჯები. ოპოზიციონერი პარლამენტარები ბლერის კაბინეტის წევრებს გადასახადების გადამხდელთა ფულის ფლანგვაში ადანაშაულებენ და მოითხოვენ, რომ მთავრობამ წარმოადგინოს ანგარიში მოხმარებული სახსრების თაობაზე.

* * *

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა ვაშინგტონსა და სეულს „ბირთვული კატასტროფით" დაემუქრა. ეს ხაზგასმულია „მიმართვაში ყველა კორეელისადმი". დოკუმენტში მკაცრადაა დაგმობილი ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ კორეის პრეზიდენტების უკანასკნელი შეხვედრის შედეგები, რომლის დროსაც მათ განაცხადეს, რომ მიიღებენ „ახალ ზომებს" ფხენიანის წინააღმდეგ, თუ იგი არ აიღებს ხელს ბირთვული პროგრამის განხორციელებაზე.



უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
**ზაზა ბეჟანიძემ.**

მოვლენა

## კახიმ და დიდამ დიდად გაგვახარეს

**გილოცავთ, ძვირფასო გულშემატკივრებო — ამიერიდან ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორთა კოჰორტას 25 წლის ქართველი ფეხბურთელი კახი კალაძეც შეემატა.** ორწლიანი პირადი ტრაგედიით სვეგამწარებულმა სამტრედიელმა მცველმა სამშობლო შორეულ მანჩესტერში, „მილანის" მაისურით ასახელა, როცა გამობრძმედილ პარტნიორებთან ერთად დრამატული ფინალი არანაკლებ ამბიციურ მეორე იტალიურ კლუბს — ტურინის „იუვენტუსს" მოუგო პენალტების სერიაში — 3:2 (ძირითადი და დამატებითი დრო — 0:0). იგი პირველი ჩვენი თანამემამულე არწივია, ასე მაღლა რომ აფრინდა. ვიმედოვნებთ, კახის დამსახურება მის საყვარელ საქართველოშიც სათანადოდ დაფასდება და კარიერის დასრულების შემდეგ იგი არ გაიზიარებს ერთადერთი ჩვენებური ოლიმპიური ჩემპიონის — გელა კეტაშვილის ხვედრს, რომელიც ავტოინსპექტორის კვერთხით ერთ-ერთ ტრასაზე ცდილობს ლუკმაპურისთვის საკმარისი ფულის შოვნას. ახლა კი, მოდით, „ოლდ ტრაფორდს" დავუბრუნდეთ.

იტალიური ფინალის მონაწილეებს, მომქანცველი სეზონის შემდეგ, არცთუ ოპტიმალური კონდიციებით მოუწიათ გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაბმა, მაგრამ მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ფაქტორს ხელი არ შეუშლია, დაუვიწყარი სპექტაკლი დაედგათ ფეხბურთის აკვანში. აღნიშნული შეხვედრის პერიპეტიების ჩამოთვლას, ვფიქრობთ, უკვე აზრი აღარა აქვს, მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ „წითელ-შავებმა" საერთო ჯამში უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს და დამსახურებულად სძლიეს დისკვალიფიცირებული „ყოჩის" ნედვედის გარეშე მობურთალ მრისხანე მეტოქეს. საილუსტრაციოდ იმ ეპიზოდის დასახელებაც კმარა, როცა გერმანელმა მსაჯმა მარკუს მერკმა თანაშემწის სიგნალის გათვალისწინებით, პასიური თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა და შევჩენკოს გოლი გააუქმა. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ თითქმის მთელი დამატებითი დრო კარლო ანჩელოტის ანსამბლმა ტრავმირებული როკე ჟუნიორით ითამაშა, მაგრამ საწადელს მაინც მიაღწია.

მიაქციეთ, ალბათ, ყურადღება — არაფერი გვითქვამს მატჩისშემდგომი ლატარიის შესახებ. ასე შეგნებულად მოვიქეცით — პენალტების სერია ხომ ბედისწერადაა აღიარებული, თუმცა, ფორტუნასაც ჰყავს რჩეულნი — ამ შემთხვევაში „მილანის" ბრაზილიელი მეკარე დიდა, რომელმაც ტრეზეგეს, ზალაიეტასა და მონტეროს დარტყმები მოიგერია. სხვათა შორის, თავი არც მის კოლეგას — ბუფონს შეურცხვენია, — მან ხომ კონტინენტის რეკორდსმენს ზეედორფსა (იგი ლიგის გამარჯვებული სამი სხვადასხვა კლუბის — „აიაქსის", „რეალისა" და „მილანის" შემადგენლობაში გახდა) და კალაძეს მოუგო დუელები, თუმცა, სამი, როგორც ცნობილია, მაინც სჯობია ორს...

**გია პლატონიშვილი.**







ევრო — 2004

## დაივიწყეთ წარსული



**დიდი მადლობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცებს, ჩემს თანაშემწეებს, გუნდის თითოეულ წევრს, გულშემატკივრებსა და ჟურნალისტებს რუსეთის ნაკრებთან მოგებული შესარჩევი მატჩის დროს თანადგომისათვის, მაგრამ, გთხოვთ, კარგად შეიგნოთ, რომ ეს უკვე წარსულია და წინ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი შეხვედრა გველის საკუთარი ხელწერით გამორჩეულ ირლანდიელებთან, რომელთაც იან ჰარტი და რობი კინი დაემატებათ — ასე დაიწყო გუშინდელი პრესკონფერენცია „შინდისფერთა" მთავარმა მწვრთნელმა ივო შუშაკმა და დაასახელა ის 22 რჩეული, ვისაც 11 ივნისს ჩვენი ქვეყნის პრესტიჟის დაცვა მოუწევს დუბლინის „ლენსდაუნ როუდზე" (ცნობისათვის: თამაშს ესპანელი მსაჯი იტურალდე გაუძღვება):**

ლომაია, გვარამაძე, ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, კალაძე, ბურდული, კვირკველია, ნემსაძე, ცქიტიშვილი, ასათიანი, დემეტრაძე, დიდავა, შაშიაშვილი, ალექსიძე, იაშვილი, ამისულაშვილი, სირაძე, კობიაშვილი, ქინქლაძე, დარასელია, რეხვიაშვილი და შოთა არველაძე.

— შეკრებას დიღმის ბაზაზე 2 ივნისს, 10 საათსა და 30 წუთზე დავიწყებთ, — განაგრძო ხორვატმა სპეციალისტმა, — თუმცა, პრობლემატურად მესახება რამდენიმე ლეგიონერის დროულად ჩამოსვლა — 31 მაისს „მილანს", „დანდისა" და „გლაზგო რეინჯერსს" ეროვნული თასის გათამაშების ფინალური მატჩები აქვთ, რის გამოც, შესაძლოა, კალაძემ, ნემსაძემ, ხიზანიშვილმა და შოთა არველაძემ დაიგვიანონ. სათუო გახლავთ კობიაშვილისა და ცქიტიშვილის მდგომარეობაც — ისინი ტრავმებს იშუშებენ და ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის ჩადგებიან მწყობრში. ვითვალისწინებთ, აგრეთვე, იმასაც, რომ მომქანცველი სეზონის შემდეგ გამორიცხული არაა დიდი დატვირთვების გამო კიდევ ვინმე გამოგვაკლდეს, ამიტომ სარეზერვო ვარიანტიც შევარჩიეთ: ზოიძე, გოგობერიშვილი, ახალაია, მელქაძე, ბაბუნაშვილი, მენთეშაშვილი.

დასასრულ, ივო შუშაკმა ისიც გვაუწყა, რომ გამგზავრებამდე საქართველოს ნაკრები ღია ვარჯიშებს „დინამოს" სტადიონზე გამართავს.

**გია პლატონიშვილი.**

კარტინგი

## გოგონამ ბიჭებს აჯობა

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კარტინგში შვიდ ეტაპად იმართება.**

ამ დღეებში „რუსთავი-რინგზე" 10-მა თბილისელმა და ერთმა რუსთაველმა მონაწილემ გაითამაშეს პირველი ეტაპის ჯილდოები. სპორტსმენებს ეძლეოდათ 3 ცდა, საიდანაც ჩათვლაში 2 საუკეთესო შედეგი შედიოდა. შეჯიბრების ერთი წრე უდრიდა 980 მეტრს. „მინი" კლასში (6 წრე) საუკეთესო იყო ასპარეზობის ერთადერთი მონაწილე გოგონა, 12 წლის ანი იაშვილი (თბილისი). მეორე ადგილზეა დიმიტრი უმიკაშვილი (რუსთავი). ბრინჯაოს პრიზიორი გახდა მურმან იაშვილი (თბილისი).

„სუპერ-ა" კლასში (10 წრე) ყველა ხარისხის ჯილდო ხვდათ დედაქალაქელებს. პირველობა მოიპოვა ლევან იაშვილმა (ანის ძმამ), მომდევნო ადგილებზე შესაბამისად არიან გიორგი არჯევანიძე და გიორგი ოგბაიძე. ჩემპიონატის მეორე ეტაპი სტარტს აქვე 7 ივნისს აიღებს.

**გარი ამირხანოვი.**

ყოველი მხრიდან

### ახალი თანამდებობა — სახელმწიფო მწვრთნელი

**— სახელმწიფო მწვრთნელის მოვალეობაა, განახორციელოს სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ღონისძიებები სპორტის კონკრეტულ სახეობაში, — განაცხადა რუსეთის სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ვიაჩესლავ ფეტისოვმა მას შემდეგ, რაც ამ მაღალი და დიდად საპასუხისმგებლო თანამდებობის მოწმობები გადასცა პირველ 23 კაცს — ეროვნული ნაკრებების ახალ თავკაცებს.**

ახალ სახელმწიფო მწვრთნელებთან კონტრაქტი 4 წლით გააფორმეს. მათ ევალებათ ბიუჯეტით გამოყოფილი ხარჯების მიზნობრივი ხარჯვა, სპეციალისტების მიზიდვა ნაკრებებში სამუშაოდ, სპორტსმენთა წახალისება, აგრეთვე, საერთაშორისო ფედერაციებთან ურთიერთობა წესებისა თუ რეგლამენტის ცვლილებათა თაობაზე და, რასაკვირველია, პასუხისმგებლობაც საერთაშორისო არენაზე მოპოვებული წარმატებისთვის თუ მარცხისთვის.

### ალიმენტს არ იხდიდა

**მსოფლიო კრივის „ახალგამომცხვარმა ჩემპიონმა 86,2 კგ-მდე წონაში IBF ვერსიით ამერიკელმა ჯეიმს ტოუნიმ, ზედმეტსახელად „ლამფას ჩაუწი" რომ ჰქვია, დიდი გამარჯვების სიამტკბილობა ვერც კი მოასწრო, რომ ციხეში აღმოჩნდა.**

სამართალდამცავებმა იგი ათი წლის ქალიშვილისთვის ალიმენტის გადაუხდელობაში ამხილეს.

1999 წლის დეკემბრიდან გოგონასათვის მას არ გადაუხდია 100 ათას დოლარზე მეტი.

### შეღავათი აღარ იქნება

**ალბათ, გახსოვთ, ნაგანოში ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე მოთხილამურეთა შეჯიბრებებში მონაწილეობდა კენიელი ფილიპ ბოიტი, რომელმაც თოვლი პირველად სწორედ მაშინ იქ, იაპონიაში ნახა (?!).** სიდნეის ოლიმპიადაზე კი ეკვატორულმა გვინეამ გამოგზავნა მოცურავე ერიკ მოუსამბანი, რომელიც, ძნელად დასაჯერებელია, აუზში საერთოდ არ იყო ნამყოფი. მან 100-მეტრიანი დისტანცია თამაშების ისტორიაში ყველაზე უარეს დროში გაცურა.

სწორედ ასეთმა კურიოზებმა ათქმევინა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ჟაკ როგეს, რომ მომავალში სოკ-ი აღარ მიანიჭებს Wild Card-ს იმ ქვეყნებს, რომლებსაც უნდათ, თავიანთი სპორტსმენები ოლიმპიადაზე გაგზავნონ სპორტის იმ სახეობებში, რომელიც მათთან არც განვითარებულია და არც პოპულარული.

### კიდევ ერთი სუპერტურნირი დამთავრდა



**სარაევოში მე-9 ტურით დასრულდა ბოსნიის 33-ე საჭადრაკო სუპერტურნირი, ცხრა შესაძლებლიდან 6,5 ქულით გაიმარჯვა ჰოლანდიაში მცხოვრებმა დიდოსტატმა ივან სოკოლოვმა. 6-6 ქულა დააგროვეს მოვსესიანმა (სლოვაკეთი) და კასიმჯანოვმა (უზბეკეთი).**

### წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი

**სხვადასხვა დროს მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის — ევერესტის — დამპყრობმა 200-მდე მთამსვლელმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო აქ დაღუპულ ალპინისტთა ხსოვნას. მათ ნეპალის დედაქალაქის კატმანდუს მემორიალურ პარკში ხეები დარგეს.**

ეს ცერემონია გაიმართა ევერესტის დაპყრობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს პროგრამის ფარგლებში.

**სპორტის რედაქცია**

## განცხადება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საქართველოს კანონით „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად შპს „მამონტის" მიერ წარმოდგენილია I კატეგორიის საქმიანობაზე:
**ქ. ხაშურში შპს „მამონტის" ზეთის დამამზადებელი წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.**

საპროექტო დოკუმენტაციების გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია ა. წ. 15 ივლისამდე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პრესცენტრში, თბილისი, კოსტავას № 68 ა, VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტში, თბილისი, ფალიაშვილის № 87, ტ. 25-02-19.

საჯარო განხილვა შედგება 2003 წლის 15 ივლისს, 12 საათზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.

გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი.

## თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ყოფილი ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი) მაგისტრატურა

აცხადებს მიღებას 2003/2004 სასწავლო წელს შემდეგ სპეციალობებზე:

პედაგოგიური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, იტალიური, რუსული ენები);

მთარგმნელობითი (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ენები);

საერთაშორისო ურთიერთობები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ენები);

ჟურნალისტიკა (ინგლისური ენა).

საბუთები მიიღება 1 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 45. ტელეფონი: 23-05-08.

**მიმღები კომისია.**

## DSH – Deutsche Sprachprufung fur den Hochschulzugang auslandischer Studienbewerber

პირველად საქართველოში თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2003 წლის ივნისის შუა რიცხვებში ჩატარდება გამოცდა გერმანულ ენაში (DHS), რომელსაც მიიღებენ ქართველი და ქ. მიუნსტერის უნივერსიტეტიდან მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები.

*დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ცენტრს 12 სთ-დან 16 საათამდე. თბილისი, ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში.*

მის. ი. ჭავჭავაძის 45, ტელ. 29-45-89.

**DSH - ცენტრი.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



როდესაც ქალაქ ფოთში საქვეყნოდ ცნობილი ექსპერიმენტი ტარდებოდა, მაშინ ქალბატონი ლეილა კაკულია ქალაქის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო.

მოსკოვის მაშინდელი ქალაქკომის მდივანი ბორის ელცინი, გამოცდილების გაზიარების მიზნით, ფოთს ეწვია. ეს სურათიც სწორედ იმ დროს არის გადაღებული.

1980 წელი.

ფოტო მოგვაწოდა მარადი ანასაშვილმა.

## ღიმილის დოზა



— დედა, რა არის „ტრანსვესტიტი"?

— ზუსტად არ ვიცი, შედი სამზარეულოში და ჰკითხე ბიძია ნატაშას.

* * *

ყველა ქალი რაღაცით ჰგავს თავის თავს.

* * *

განცხადება საბაჟოზე: „ასდოლარიანი ქრთამი განიხილება როგორც ზეპირი მადლობა".

* * *

გასულ კვირას დაიწყო კონკურსი ყველაზე გრძელ ანეკდოტზე. დღეს უკვე მოყოლილია პირველი ანეკდოტის ნახევარი.

* * *

ახალი რედაქცია ბალეტისა სექსუალური უმცირესობებისთვის — „მძინარე მზეთუნახავი ჭაბუკი".

* * *

ძველი ანეკდოტი:

1. „დაინიშნოს კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო სკკპ ცკ გენერალურ მდივნად.

2. დაიმარხოს იგი წითელ მოედანზე".

* * *

თვითმფრინავი 5 ათასი მეტრის სიმაღლეზე მიფრინავს. სალონში პარაშუტისტი-კურსანტები სხედან, რომლებიც პირველი ნახტომისთვის ემზადებიან.

დგება გადამწყვეტი წამი — პილოტი აცხადებს გადახტომისთვის სრულ მზადყოფნას.

ერთი ინსტრუქტორი მეორეს ეუბნება:

— ხედავ, როგორ ნერვიულობენ?

მეორე:

— ვხედავ, მშვიდი გამომეტყველება აქვთ.

— სამაგიეროდ — ჰაერი!!

* * *

— გუშინ ცოლს საყვარელთან წავასწარი და ულტიმატუმი წავუყენე: „ან ის, ან მე"!

— მერე?

— მერე მორჩა ყველაფერი! ახლა იმ საყვარელს გააქვს დილ-დილობით ნაგვის ვედრო.

* * *

ჯოხმა მაიმუნი გააადამიანა. მეორე ჯოხმა ადამიანი მოთხილამურედ აქცია.

* * *

— ქმრისთვის არასოდეს მიღალატია!

— არ მჯერა შენი, ლენა! დავიჯერო, არც ერთხელ?!

— სინდისს გეფიცები! რაღაც ბედი არ მწყალობდა.

* * *

ქმარი სამსახურიდან ურეკავს ცოლს:

— ხომ კარგად ხარ? მშვიდობაა, ხომ?... როგორ არიან ისინი?.. რა ჰქვია იმაათ... აი, ისინი... ბავშვები!

## პოლიკლინიკის სტუმრად

ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის გადაწყვეტილებით ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, 2003 წლის 1 ივნისს, თბილისის ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ჩატარდება ღია კარის დღე — უფასო პროფილაქტიკური კონსულტაციები.

თბილისის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის საქალაქო სამსახური.

ნიმუში

## განცხადება

### ქ. რუსთავის ს/ს „ყაზბეგის" აქციონერთა კრების მოწვევის შესახებ

ს/ს „ყაზბეგის" დირექცია იწვევს საზოგადოების აქციონერებს აქციონერთა მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2003 წლის 20 ივნისს, 12 საათზე, ქ. რუსთავში, მშვიდობის ქ. №6.

დღის წესრიგი

1. 2002 წლის წლიური ანგარიში.
წლიური ანგარიშის წარმოდგენა დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშებთან ერთად.
2. დირექტორის ანგარიშის დამტკიცება.
3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება.
4. მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.
5. 2003 წლისათვის აუდიტორის არჩევის შესახებ.

დღის წესრიგის საკითხების თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ საზოგადოების დირექციაში.

ს. კალანდაძე,
ქ. რუსთავის ს/ს „ყაზბეგის" გენერალური დირექტორი.

## წარდგენა

# ქართულ ტელეცაზე „მზე" ამოდის

(პირველი გვერდიდან)

— ტელეკომპანია „მზე" მიზნად ისახავს საქართველოში შექმნას მაუწყებლობის საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სტანდარტი.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ დამოუკიდებელი არხი ვართ, ჩვენ ვამბობთ, რომ დამოკიდებულები ვართ ხალხზე, — მითხრა გენერალურმა დირექტორმა. ხალხთან აქტიური კავშირი, მათი აზრის გაზიარება ტელეკომპანიის საქმიანობის ძირითადი ქვაკუთხედი იქნება. ყველაფერში ვეცდებით მაყურებლის აზრი და სურვილი გავიზიაროთ — პროექტების შინაარსიდან დაწყებული, წამყვანების გარეგნული იერითა და სტუდიის გაფორმებით დამთავრებული. ტელეკომპანია შეეცდება, თავის საქმიანობაში გამოიყენოს მსოფლიოს უდიდეს და უძველეს ტელეკომპანიათა მდიდარი გამოცდილება. ჩვენ ვთანამშრომლობთ ინგლისის ტელეკომპანიასთან, — აღნიშნა კახა ბექაურმა და მადლობა გადაუხადა ტელეცენტრს, გაერთიანებული ქართული ბანკისა და TBC ბანკის ხელმძღვანელობას, რომლებმაც ახალი ტელეკომპანია „მზე" დააფინანსეს.

— ქვეყანაში მასმედიის განვითარება მისასალმებელია. მე ყოველთვის მხარს დავუჭერ ასეთ წამოწყებას. „მზემ" თავისი სახელი უნდა გაამართლოს — თქვა TBC ბანკის პრეზიდენტმა მამუკა ხაზარაძემ.

ტელეკომპანია „მზე" ეთერში გავა დილის 9 საათიდან ღამის 2 საათამდე. ქართული მაუწყებლობის ისტორიაში „მზე" პირველი გაუშვებს საინფორმაციო პროგრამას ყოველ ერთ საათში — ეს იქნება პროგრამა „მზერა". ღამის „მზერა" არის პოლიტიკური თოქ-შოუ, რომელიც შეაჯამებს დღის მთავარ ამბებს და პირდაპირ ეთერში მაყურებელს განსხვავებული მოსაზრებების ადამიანებთან დისკუსიას შესთავაზებს. შეხვდებით ცნობილ სახეებს, აღმოაჩენთ ახალ ვარსკვლავებს, იხილავთ საყვარელ ფილმებს.

ჩვენთვის ყველასათვის ნაცნობი ტელეჟურნალისტები და ჯერ კიდევ უცნობი სახეები ინგა გრიგოლია, ეკა ბერიძე, სოფო მოსიძე, ირაკლი მაისურაძე, ლაშა დვალიშვილი, ირაკლი იმნაიშვილი ტელეკომპანია „მზეს" ტელეწამყვანები იქნებიან. ვუსურვოთ, გაამართლონ სახელწოდება, მართლაც მზესავით იკაშკაშონ ჩვენს ტელეეკრანებზე!

ნანა სულავა.



## ხსოვნა

### ალექსანდრე ბრეგვაძე



ქართულმა ეკონომიკურმა და ისტორიულმა სამეცნიერო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ყოფილი განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალექსანდრე ბრეგვაძე.**

პროფ. ალ. ბრეგვაძე დაიბადა 1915 წელს. 1939 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. მან ღირსეული მონაწილეობა მიიღო მეორე მსოფლიო ომში, შემდეგ კი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1960 წლიდან პროფ. ალ. ბრეგვაძე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტში. იგი ხელმძღვანელობდა სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილებას.

პროფ. ალ. ბრეგვაძე არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომლებიც ძირითადად საქართველოს ეკონომიკური ისტორიის პრობლემებს ეძღვნება. იგი წარმატებულ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. იყო თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტის დამაარსებელი. მას დიდი წვლილი მიუძღვის, ასევე სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 10-მდე სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

პროფ. ალ. ბრეგვაძე გაწეული ნაყოფიერი შრომითი და მეცნიერული საქმიანობისათვის დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით, მათ შორის აღსანიშნავია ღირსების ორდენი.

ჩვენგან წავიდა შესანიშნავი მეცნიერი, პრინციპული და თავმდაბალი, უაღრესად კეთილშობილი ადამიანი. პროფ. ალ. ბრეგვაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგების და მეგობრების გულში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის
სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივი.

### ალექსანდრე გრიგოლია



შრომისა და ცხოვრების დიდი გამოცდილება ამშვენებდა ბატონ **ალექსანდრე (კოჩობა) გრიგოლიას** ნათელ ბიოგრაფიას.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი, საზოგადოებისათვის ილვწოდა, იხარჯებოდა.

სოხუმში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა. იყო აფხაზეთის ავტოსატრანსპორტო სამმართველოს უფროსი, მუდამ გარს ეხვია უამრავი ნაცნობი და უცნობი, ის გულდასმით უსმენდა ყველას და რჩევა-დარიგებებს აძლევდა, მზად იყო მათ დასახმარებლად.

სოხუმის დაცემის შემდეგ იგი სენაკში დაბინავდა.

ნიჭიერი და ენერგიული კაცი რაიონში ჩატარებული ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიების მონაწილე გახლდათ.

დარჩა ღირსეული შთამომავალი, შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები, რომლებიც სახელოვნად განაგრძობენ კოჩობა გრიგოლიას ღირსეულ ტრადიციებს.

81 წლის ასაკში წავიდა ვალმოხდილი კაცი, უღალატო ადამიანი, რომელიც დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და ახლობლების გულში.

მეგობრები.

---

მეუღლე აირა, შვილები გელოდი, გიული, რძლები ნუნუ, ნაზი, შვილიშვილები ანჟელა, ალექსანდრე, ირინა, კონსტანტინე, ქეთინო, თამარი, გიული, შვილთაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთიდან დევნილი
ალექსანდრე (კოჩობა) მელიტონის ძე გრიგოლია
დაკრძალვა 1, VI, ქ. სენაკში, კოსტავას ქ. №36.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს კოლექტივი თანაუგრძნობს ირინა გრიგოლიას ბაბუის
ალექსანდრეს (კოჩობა)
გარდაცვალების გამო.

---

არმაზ სანებლიძე, გურამ გოგიაშვილი, ალეკო ასლანიშვილი, რუსლან რუსია, ბონდო გულიაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს გენერალური პროკურატურის სასწავლო ცენტრი თანაუგრძნობს თენგიზ და ნუგზარ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს გენერალური პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახური სამძიმარს უცხადებს ბატონ ნუგზარ შოშიაშვილს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

გია მეფარიშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

ილია ხუციშვილი და გია მიქელაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

მალხაზ სალაყაია ოჯახით მწუხარებით თანაუგრძნობს ბატონებს ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

ლაური ჯანაშია ოჯახით სამძიმარს უცხადებს ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილების ოჯახს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ბატონებს ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო

---

გივი ნადარეიშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

გულიკო ნადაშვილი და პაატა ბოლაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

ტარიელ ღვაბერიძე ოჯახით თანაუგრძნობს ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო მიხეილის ძე შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

კახეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

გურამ გიოშვილი ოჯახით სამძიმარს უცხადებს ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

გურჯაანის რაიონული პროკურატურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

გია მირიანაშვილი ოჯახით სამძიმარს უცხადებს ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი გივი ჯიქია ოჯახით სამძიმარს უცხადებს ბატონებს ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურატურა სამძიმარს უცხადებს ბატონებს ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

თენგიზ მახარაძე ოჯახით თანაუგრძნობს ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

მარიკა, გურამ ქარქაშაძეები თანაგრძნობას უცხადებენ ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს გენერალური პროკურატურის სახელმწიფო ბრალდების სამმართველო თანაუგრძნობს ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

რევაზ ყიფიანი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

სამტრედიის რეგიონული სატრანსპორტო პროკურატურა თანაუგრძნობს ბატონ ნუგზარ შოშიაშვილს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო და სულითა და გულით იზიარებს მისი ოჯახის მწუხარებას.

---

ქუთაისის სატრანსპორტო პოლიციის რეგიონული განყოფილების ხელმძღვანელობა თანაუგრძნობს ბატონ ნუგზარ შოშიაშვილს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

კიაზო ჭანტურია ოჯახით თანაუგრძნობს ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო მიხეილის ძე შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

კახა კობერიძე თანაუგრძნობს ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო მიხეილის ძე შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

ქუთაისის საოლქო სასამართლოს თანამშრომლები მწუხარებით თანაუგრძნობენ ბატონ ნუგზარ შოშიაშვილს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

## გახსენება

### ლევან ჟორბენაძე



სულ ორმოციოდე დღე გავიდა ტრაგედიიდან, რომელმაც ასე ულმობლად წაგვართვა შენი თავი, **ლევან,** რომელმაც ასე ულმობლად ჩაგვინგრია გულ-მკერდი.

თითქოს დრო აირია, თითქოს ცხოვრების თანმიმდევრობამ დაკარგა თავისი კანონზომიერება.

შემზარავია იმის დაჯერება, რომ შენ ამ ქვეყნად აღარ ხარ, შემაძრწუნებელია იმის დაჯერება, რომ შენს გულიან სიცილს ვეღარ გავიგონებთ და შენს მოსწრებულ, მახვილ იუმორზე ვერ გავიცინებთ, ყველა ჩვენგანისათვის ახლობელო და საყვარელო ლევიკო.

ურთიერთობაც გამორჩეული შეგეძლო. ყველას, ვინც შენ გიცნობდა, უნდოდა, უხაროდა და სიამოვნებდა შენთან ურთიერთობა. შენ გაბრაზებული არავის უნახიხარ. საოცარი უნარი გქონდა წონასწორობის შენარჩუნებისა. შენგან ნაწყენი კაცი არ დაიარება ამ ქვეყანაზე იმიტომ, რომ შენ უზადოდ ფლობდი ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებას, სიყვარულით სავსე, ლამაზო და ფაქიზი სულის ბიჭო.

როგორ ვანუგეშოთ მამაშენი და დედაშენი? უშენობით როგორ ვანუგეშოთ შენმა ახლობლებმა ერთმანეთი?

ჩემო ლევან, ჩვენი ნუგეში ის იქნება, რომ გულის ჭრილობა, რომელიც შენი ამ ქვეყნიდან წასვლამ მოგვაყენა, ღიად დარჩება, ის აღარ შეხორცდება, მთელი ცხოვრება გვემახსოვრება, რომ გულის ის შეუხორცებელი ჭრილობა შენ იქნები.

ისეთი ადამიანის სულისათვის, როგორიც შენ იყავი, უფალს ზეცაში ნათელი სასუფეველი გააჩნია.

ჩვენ ვილოცებთ შენი სულისათვის, ჩემო ლევან, ჩემო ლევიკო!

მამუკა არსენიძე.

---

ლენა კაპანაძე ოჯახით თანაუგრძნობს ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

ციალა, მარინა, ირაკლი, თემურ ანდრიაძეები, ნატა იაშვილი, თენგიზ ქრისტესიაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

ჯემალ ჯიქურაული ოჯახით თანაუგრძნობს ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილებს მამის
ხვთისო შოშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის მეხილეობისა და სუბტროპიკული კულტურების კათედრა, საბურთალოს რაიონის ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამამულო ომის მონაწილე, ცნობილი მეხილე-სელექციონერი, მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხეხილის სელექციის განყოფილების ყოფილი გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი
შარდენ ნიკოლოზის ძე ახვლედიანი
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ქალბატონ რაისა ქარაიას ძმის
ზურაბ კონსტანტინეს ძე ჩიკვაიას
გარდაცვალების გამო.

---

„საქართველოს ტელერადიოცენტრის" თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ გენერალურ დირექტორს გიორგი დეკანოსიძეს დედის
ანა (ალყა) კობერიძის
გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი და საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ დამასკოში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცენატის ლევან საღარაძის მეუღლე
ევგენია ივანეს ასული გოლუბი-საღარაძე
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი განყოფილების გამგე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ალექსანდრე იოსების ძე ბრეგვაძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შპს „საქტელერადიოცენტრის" გენერალური დირექტორის გია დეკანოსიძის დედის, შპს „კავშირგაბმულობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის" დირექტორის მოადგილის ელდარ დეკანოსიძის მეუღლის, სს „ელექტროკავშირის" უფროსი ეკონომისტის
ანა (ალყა) კობერიძე-დეკანოსიძის
გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

---

საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი კახეთის მხარეში მწუხარებას გამოთქვამს სოციალისტური შრომის გმირის, ომისა და შრომის ვეტერანის, სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკის
არსენ ალექსის ძე კობაიძის
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები თეიმურაზ, ნუგზარ დვალები, რძლები ლია მიროტაძე, ლელა წიკლაური, შვილიშვილები იოანე, ანა, ქეთევანი, ნინო, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
მედეა ივლიანეს ასული კანდელაკი-დვალი
პანაშვიდი 30 V, 5 სთ, მოსკოვის პროსპექტი №35. კორპუსი №3 ბინა 11. დაკრძალვა 3 ივნისს 3 სთ. სოფელ ბუგეულში (ამბროლაურის რაიონი).

---

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ ბელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
რუსლან რუსია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი 20.